ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

17 აპრილიდან!
„ახალი თაობა“
+
ლეონარდო და ვინჩი
8 ლარი



ოთხშაბათი, 17 აპრილი, 2013 №90 (6091) ფასი: 30 თეთრი

განხეთქილება ნაციონალებში

გვ.2

დათა ახალაია, სოსო თოფურიძე და მეგიზ ქარდავა საქართველოში 18 აპრილს ჩამოვლენ?

არჩილ კბილაშვილი: „აფრასიძეების საქმე მალე გაიხსნება“

გვ.2

შალვა ხაჭაპურიძე: „ნაციონალები მკვდარი ძალაა და ახლა ფართხალებენ“

გვ.4

კახა ძაგანია: „კბილაშვილის უწყების დასკვნას არც ერთი საერთაშორისო ორგანიზაცია არ მიიღებს“

გვ.5

ბიზნესკომპანიები შრომის კოდექსში შესატან ცვლილებებს აპროტესტებენ

გვ.6

სოსო ცისკარიშვილი: „ახალაიას განცხადება „ნაციონალური მოძრაობის“ წევრებს შორის სერიოზული რღვევის დასაწყისია“

გვ.2

„თსუ, ყველა მონაცემის მიხედვით, წამყვანი უნივერსიტეტია“

გვ.4

ISSN 1987-9385

2 მარტში საქართველოში 112 მილიონი დოლარი გადმოირიცხა

6 რა პრობლემები ექმნებათ აჭარელ ეკომიგრანტებს

7 რა უნდა უგულავას ოქრუაშვილისგან

6 ნინო ბურჯანაძე: „არ არსებობს მიზანი, რომელიც ბოსტონში მომხდარ ტერაქტს გაამართლებს“

არჩილ კბილაშვილი: „აფრასიძეების საქმე მალე გაიხსნება“

შორენა კოწოწაშვილი

ივანიშვილის ხელისუფლების მიერ აგვისტოს ომის გამოძიებას საზოგადოებრივ და პოლიტიკურ წრეებში განსხვავებული რეაქციები მოჰყვა. სააკაშვილის ხელისუფლების მხარდამჭერები და ნაცმოძრაობის მომხრეები ფიქრობენ, რომ 2008 წლის 8 აგვისტოს ომი გამოძიებას, უფრო სწორად, დამატებით გამოძიებას აღარ საჭიროებს, რადგან ტალიავინის დასკვნაში ცალსახად წერია, ომი ვინ დაიწყო ანუ რუსეთი რომ ოკუპანტია, ეს კითხვის ნიშნის ქვეშ არ დგას.

რაც შეეხება კოალიცია „ქართულ ოცნებაში“ შემავალ პოლიტიკურ ძალებს და ნეიტრალურ ადამიანებს, აგრეთვე იმ პოლიტიკოსებს, რომლებიც სამართლიანობის მომხრენი არიან, მიიჩნევენ, რომ ომის თემა აუცილებლად უნდა იქნეს გამოძიებული და დამნაშავე პირები დასჯილნი.

აგვისტოს ომის გამოძიება იყო ერთ-ერთი მთავარი საკითხი გუშინ მთავარ პროკურატურაში ჟურნალისტებთან გამართულ შეხვედრაზეც. მთავარმა პროკურორმა არჩილ კბილაშვილმა პრესის წარმომადგენლებს კიდევ ერთხელ აუხსნა მიზეზი, რატომ უნდა მოხდეს. ამასთან, მთავარმა პროკურორმა იქვე განმარტა, რომ აგვისტოს ომთან დაკავშირებით საქართველოში დაგეგმილი გამოძიების ფარგლებში რუსული მხარის წარმომადგენლების დაკითხვა ვერ მოხდება.

– ეს თემა ბოლო პერიოდში წამოიჭრა მას შემდეგ, როდესაც გაცხადდა ახალი ხელისუფლების გადაწყვეტილება, რომ აუცილებლად უნდა იქნეს გამოძიებული აგვისტოს ომის სამართლებრივი მხარე. ვიმეორებ, აქ საუბარი არის იმის დადგენაზე, ჰქონდა თუ არა ადგილი ომის დანაშაულს. ეს არის წმინდად სამართალდამცველი ორგანოების ფუნქცია. ჩვენ არ ვახორციელებთ მომხდარის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ შეფასებას, არ შევეხებით თემას ამა თუ იმ საომარი მოქმედებების მიზანშეწონილობის შესახებ. ჩვენ მხოლოდ და მხოლოდ გვაქვს ერთი კონკრეტული მოცემულობა, დავადგინოთ, იმ კონფლიქტის დროს ჰქონდა თუ არა ომის დანაშაულს ადგილი და თუ ჰქონდა, ვინ ჩაიდინა ის, განურჩევლად ეროვნებისა, – აღნიშნა პრესკონფერენციაზე არჩილ კბილაშვილმა. მისი თქმით, საგამოძიებო ჯგუფი იქმნება და ის გამომძიებლებისგან იქნება შემდგარი და მას ერთ-ერთი პროკურორი უხელმძღვანელებს.

რაც შეეხება იმას, თუ ვინ უნდა იქნეს დაკითხული ამ გამოძიების ეტაპზე, როგორც პრესკონფერენციაზე ითქვა, ეს ყველაფერი გამოძიების ეტაპზე გამოიკვეთება.

– ვინ უნდა იქნეს დაკითხული, ამასთან დაკავშირებით წინასწარ არანაირი განსაზღვრულობა არ არის. როცა ჯგუფი შეიქმნება, საგამოძიებო გეგმა ჩამოყალიბდება, გამოვლინდება იმ პირთა დაკითხვის აუცილებლობა, ვინც თემასთან არის შემხებლობაში. ზოგადი ლოგიკით, შესაძლებელია, რომ მოხდეს ან გათვალისწინებული პრეზიდენტის დაკითხვაც, – განაცხადა მთავარმა პროკურორმა. მისი თქმით, ეს მხოლოდ კომპონენტია და არა თვითმიზანი. იგი არ გამორიცხავს, რომ თავდაცვის მინისტრიც დაიკითხოს.

საზოგადოების და, ბუნებრივია, მედიის ყურადღებას პრეზიდენტის შესაძლო დაკითხვა იწვევს, რასაც იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი და მთავარი პროკურორი არ გამორიცხავენ.

არჩილ კბილაშვილის თქმით, პრეზიდენტის დაკითხვაზე იძულებით მიყვანის სამართლებრივი მექანიზმი გათვალისწინებული არ არის. ამის თაობაზე თავად პრეზიდენტისთვისაც ცნობილია და ის ცალსახად აფიქსირებს, რომ არც ერთ შემთხვევაში არ ითანამშრომლებს გამოძიებასთან და არ მივა დაკითხვაზე.

– თუ პრეზიდენტი უარს ამბობს დაკითხვაზე, მაშინ ვერავითარი პროცედურა ვერ ჩატარდება, რადგან პრეზიდენტის იძულებით მიყვანა კანონით არ შეიძლება. ვიდრე ის თანამდებობაზე იქნება, ეს პროცედურა გაჩერდება, რადგან რაიმე სამართლებრივი მექანიზმი პრეზიდენტის დაკითხვაზე იძულებით მიყვანის გათვალისწინებული არ არის, – განაცხადა მთავარმა პროკურორმა და დაამატა, რომ როდესაც იგი თანამდებობაზე აღარ იქნება და იმუნიტეტი არ დაიცავს, მისი დაკითხვა ჩვეულებრივ განხორციელდება, თუ ეს საკითხი დღის წესრიგში დადგება.

რაც შეეხება რუსულ მხარეს, როგორც პრესკონფერენციაზე ითქვა, საქართველოს ხელისუფლების მხრიდან მათი დაკითხვა ვერ მოხდება და შესაბამისი კითხვები გადაეცემა რუსულ მხარეს. თუმცა წინასწარ პროგნოზირება, რამდენად წარმატებული იქნება ეს ნაბიჯი და შეასრულებენ თუ არა ისინი დაკითხვის მოვალეობას, საქართველოს მთავარი პროკურორისთვის უცნობია.

პრესკონფერენციაზე კითხვები დაისვა ცნობილ ციხის კადრებთან დაკავშირებით. როგორც საზოგადოებისთვის ცნობილია, ამის შემდეგ მუდმივად მუსირებს აზრი იმის შესახებ, ხომ არ იყო ამ კადრების გავრცელებით თავად სააკაშვილის ხელისუფლების ხერხემალი – ვანო მერაბიშვილი დაინტერესებული?!

როგორც გუშინ არჩილ კბილაშვილმა ჟურნალისტებთან განმარტა, ციხის კადრების საქართველოდან გატანა ვანო მერაბიშვილთან დაკავშირებული არ არის. მისი თქმით, „ციხის კადრების გატანა საქართველოს ფარგლებს გარეთ ვანო მერაბიშვილს არ უკავშირდება და ეს წყაროებით მოხდა. თუმცა, თუ დათა ახალაიას ამის დამადასტურებელი მტკიცებულება გააჩნია, გამოძიება აუცილებლად დაინტერესდება“.

აქვე უნდა ითქვას, რომ სოციალურ ქსელებში დათა ახალაიას სახელით შემდეგი შინაარსის განცხადება გავრცელდა: „სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ და მე ასევე გამაჩნია ამის მტკიცებულებები, რომ სწორედ ვანო მერაბიშვილმა, ჩემს ძმაზე შურისძიების მიზნით, ამირან მესხელის ხელით უზრუნველყო ციხის ამაზრზენი კადრების შექმნა და საზღვარგარეთ უსაფრთხოდ მარშრუტირება, რამაც საბოლოოდ დაანგრია ჩვენი ხელისუფლების ისედაც დაზიანებული იმიჯი გადამწყვეტი როლი ითამაშა ჩვენ დამარცხებაში“.

დათა ახალაიას ზემოაღნიშნულ განცხადებაში არის თუ არა სიმართლე, ამას დრო დაადგენს, თუმცა ფაქტია, რომ ჟურნალისტ ირმა ინაშვილის ინფორმაციით, მას ციხის კადრები შს ყოფილი მინისტრის ვანო მერაბიშვილის დავალებით გადასცეს.

პრესკონფერენციაზე მთავარმა პროკურორმა თბილისის საქალაქო სასამართლოში მიმდინარე ბაჩო ახალაიას პროცესზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ თავდაცვის ყოფილი მინისტრის სასამართლო პროცესების მსვლელობისას დარბაზის მხრიდან პროკურორებსა და მოწმეებზე ზეწოლა ხორციელდება.

არჩილ კბილაშვილმა სასამართლოს მოუწოდა, ბაჩო ახალაიას სასამართლო პროცესის გამართული წარმართვა უზრუნველყოს.

– დარბაზი შევსებულია იმ ადამიანებით, ვინც ახალაიას გულშემატკივრები არიან, მაგრამ პროცესი მიმდინარეობს პროკურორებსა და ბრალდების მოწმეებზე გაუმართლებელი ზეწოლის პირობებში. ადგილი აქვს ხმამაღალ გინებას, წყევლა-კრულვას. როგორც მითხრეს, ერთ-ერთ მოწმეზე ლამის მთელმა დარბაზმა ხელით გაიწია. სასამართლო, ნებსით თუ უნებლიეთ, დარბაზში დამსწრე პირების მიმართ ტოლერანტობას იჩენს. მართალია, ჩვენ მოვუწოდებთ პროკურორებს, რომ ისინი ემოციებზე მაღლა იდგნენ, მაგრამ ბუნებრივია, ისინიც ადამიანები არიან და ეს ხელს უშლის. სასამართლოს ევალება, რომ ყველაფერი აღკვეთოს. შეუძლია ორი-სამი მანდატური დააყენოს პირისახით დარბაზისკენ და თუ ვინმე რეპლიკას წამოიძახებს, მოსამართლეს მოახსენონ და იგი რეაგირებას მოახდენს. ასევე შეუძლიათ დააყენონ ვიდეოთვალი სახით დარბაზისაკენ, – განაცხადა არჩილ კბილაშვილმა.

მისი თქმით, პროცესზე დამსწრე უცხოელმა დამკვირვებელმაც კი სხდომის ამგვარი მიმდინარეობის გამო გაკვირვება გამოხატეს.

– მათ უკვირთ, რატომ დუმს სასამართლო პროკურატურის მიმართ ასეთი დამოკიდებულების გამო. მოვუწოდებთ სასამართლოს, პროცესის გამართული წარმართვა უზრუნველყოს, – აღნიშნა მთავარმა პროკურორმა.

ჟურნალისტები აგრეთვე დაინტერესდნენ, მიმდინარეობს თუ არა პროკურატურაში უკანონო მოსმენებთან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმის გამოძიება, რაზეც მთავარი პროკურატურისგან უარყოფითი პასუხი მიიღეს.

მთავარმა პროკურორმა სასჯელაღსრულების იმ ხელმძღვანელ პირებზეც ისაუბრა, რომელიც ბოლო დღეებში იქნენ დაპატიმრებული.

– ბოლო სამი-ოთხი დღის განმავლობაში სასჯელაღსრულების სამი დაწესებულების ხელმძღვანელი პირები არიან დაკავებული. დაკავებულია ქსნის მე-15 დაწესებულების დირექტორი თოლორდავა და კიდევ ორი მაღალი რანგის თანამშრომელი. რუსთავის მეექვსე დაწესებულების დირექტორი ცხვედიანი და გუშინ დავაკავეთ ქუთაისის მეორე დაწესებულების ყოფილი დირექტორი ჯიჭონაია. მათ ბრალად ედებათ არაადამიანური მოპყრობა, ცემა და წამება. მათი დაკავება მოხდა სასამართლოს მიერ გამოტანილი განჩინების საფუძველზე. პროკურატურამ მიმართა სასამართლოს შუამდგომლობით და სასამართლომ დააკმაყოფილა. ჯიჭონაიას დაკავება მაშინ მოხდა, როცა ის საქართველოს ტოვებდა, – განაცხადა არჩილ კბილაშვილმა.

მთავარმა პროკურორმა კომენტარი გააკეთა აფრასიძეების გახმაურებულ საქმესთან დაკავშირებით. არჩილ კბილაშვილის განცხადებით, აფრასიძეების საქმესთან დაკავშირებით გამოძიების მნიშვნელოვანი ნაწილი დადგენილია. კბილაშვილი თქმით, პროკურატურას ეწერში ჯგუფი ჰყავდა მივლინებული, სადაც საგამოძიებო მოქმედებები ჩატარდა.

– ამ სტადიაზე გამოძიების მნიშვნელოვანი ნაწილი დადგენილია, მაგრამ იმისათვის, რომ საქმის გამოძიება დასრულებულად გამოვაცხადოთ, კიდევ რაღაც გარემოებები დასადგენია, – აღნიშნა კბილაშვილმა.

როგორც პრესკონფერენციაზე ითქვა, გამოძიება წარმოებს თავდაცვის უწყებაში ფინანსური სახსრების მიზნობრივად ხარჯვის შესწავლის მიზნითაც.

არჩილ კბილაშვილის განცხადებით, თავდაცვის სამინისტროში 2005-2012 წლებში რამდენიმე ასეული მილიონი ლარის ფინანსური დანაკლისი ვლინდება. მთავარი პროკურორი ამბობს, რომ დღეს თავდაცვის სამინისტროში კომპლექსური საგამოძიებო მოქმედებები და რევიზიები ხორციელდება და გარკვეული შუალედური დასკვნები უკვე არსებობს.

– ვლინდება დიდი ოდენობის ფინანსური დანაკლისი, თუმცა გამოძიების დასრულებამდე ზუსტი ოდენობის განსაზღვრა არ შეიძლება, – განაცხადა კბილაშვილმა. ამასთან, პროკურორმა თავდაცვის სამინისტროში არსებულ ფინანსურ დანაკლისთან დაკავშირებით თავდაცვის მინისტრების პასუხისმგებლობის საკითხის დადგომის შესაძლებლობა არ გამორიცხა. თუმცა, მისი თქმით, ჯერ დანაკლისი უნდა დადგინდეს და იმ პირთა განსაზღვრა შემდეგ უნდა მოხდეს.

მთავარმა პროკურორმა ისაუბრა აგრეთვე ზურაბ ჟვანიას საქმესთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ ჟვანიას საქმეზე ძალიან საგულისხმო სიახლეები იკვეთება. მისი თქმით, ჟვანია საქმე ეს ისეთი შემთხვევაა, რომელსაც ყველაზე მეტად მშვიდი და წყნარი გამოძიება ესაჭიროება.

მარტში საქართველოში 112 მილიონი დოლარი გადმოირიცხა

საქართველოს ეროვნული ბანკის ინფორმაციით, 2013 წლის მარტში, ქვეყანაში შემოსული ფულადი გზავნილების ნაკადების მოცულობამ 112.7 მლნ აშშ დოლარი, ანუ 187.0 მლნ ლარი შეადგინა, რაც 4.6 მლნ აშშ დოლარით (8.2 მლნ ლარით), ანუ 4.3 პროცენტით მეტია 2012 წლის მარტის ანალოგიურ მაჩვენებელზე.

მოცემულ საანალიზო პერიოდში, საქართველოში ფულის ყველაზე დიდი რაოდენობა რუსეთიდან, საბერძნეთიდან და იტალიიდან გადმოირიცხა, რომლებსაც აშშ, უკრაინა და თურქეთი მოსდევს.

საქართველოდან საზღვარგარეთ კი, 2013 წლის მარტში 11.3 მლნ აშშ დოლარი (18.7 მლნ ლარი) გადაიგზავნა.

ნიუსპრესი

სოსო ცისკარიშვილი: „ახალაიას განცხადება „ნაციონალური მოძრაობის“ წევრებს შორის სერიოზული რღვევის დასაწყისია“

ექსპერტი პოლიტიკურ საკითხებში სოსო ცისკარიშვილი მიიჩნევს, რომ კონსტიტუციური უსაფრთხოების ყოფილი შეფისა და თავდაცვის მინისტრის ყოფილი მოადგილის მიერ, სოციალურ ქსელ ფაცებოოკ-ის მეშვეობით გაკეთებული განცხადება, ყოფილ თანაპარტიელებს შორის რღვევის დასაწყისია.

როგორც ცისკარიშვილმა „ნიუსპრესთან“ საუბარში აღნიშნა, ასეთი პროცესების პროგნოზირება შესაძლებელი იყო, რადგან თანაპარტიე-



ლებს შორის ურთიერთობა სცილდებოდა პარტიის საქმეს და მაფიოზურ სექტანტურ ურთიერთობებს უკავშირდებოდა. მისივე თქმით დადგა დრო, როდესაც ერთმანეთის მიმართ პრეტენზიები საჯარო გახდა, რადგან, როგორც ექსპერტი აცხადებს ახალაიების კლანს თავი დაჩაგრულად მიაჩნია.

„დადგა დრო, როდესაც ერთმანეთის მიმართ პრეტენზიები საჯარო გახდა, რადგან ახალაიების კლანს თავი დაჩაგრულად მიაჩნია. როდესაც უთანხმოება კულუარული კომუნიკაციებით აღარ რეგულირდება, ეს ყოველივე საჯარო ხდება და ჩვენ, დღეს ამ პროცესების მოწმენი ვართ. ეს რღვევის დასაწყისია. რაც შეეხება თარიღს, თუ რატომ მოხდა ეს 19 აპრილამდე, ვფიქრობ გარკვეული კატალიზატორი ამ შემთხვევაში ის იყო, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ საპრეზიდენტო კანდიდატი არჩევნებზე, შესაძლოა ყოფილიყო ადამიანი რომელის მიმართაც ახალაიებს ბევრი საყვედურის საფუძველი გააჩნიათ“-განაცხადა ცისკარიშვილმა.

შეგახსენებთ, რომ დათა ახალაიამ ფაცებოოკ-ის საკუთარ გვერდზე, გუშინ, ვანო მერაბიშვილი სახელისუფლებო გუნდის ღალატში დაადანაშაულა და განაცხადა, რომ საქართველოში მალე დაბრუნდება.

ნიუსპრესი

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაგურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

განხეთქილება ნაციონალებში

დათა ახალაია, სოსო თოფურიძე და მეგიზ ქარდავა საქართველოში 18 აპრილს ჩამოვლენ?

შორენა მარსაგიშვილი

ნაციონალური მოძრაობა საგონებელშია ჩავარდნილი. 19 აპრილის აქციის სამზადისში ჩაფლულებს, დათა ახალაიას სახით თავს ფათერაკი დაატყდათ. საქართველოდან გადახვეწილმა დათა ახალაიამ ფეისბუქის გვერდზე 15 აპრილს გვიან საღამოს განცხადება გაავრცელა. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ახალაიას პროფილი ფეისბუქზე ამ განცხადების გავრცელებამდე რამდენიმე წუთით ადრე შეიქმნა.

განცხადების გავრცელებიდან რამდენიმე წუთში ნაციონალებსა და მეოცნებეებში დიდი გნიასი შეიქმნა. ნაცმოძი აშკარად შეშფოთებული იყო. ახალაია მათ იუბილარ ლიდერ ვანო მერაბიშვილს სერიოზულ ბრალდებებს უყენებდა.

დათა ახალაიას განცხადებით, საქართველოში დატრიალებული მრავალი უბედურების სათავე ერთი კაცია, კაცი, რომელმაც ჩვენთან – ჩემთან და ჩემს ძმასთან ბრძოლას გადააყოლა ხელისუფლება და ქვეყანა.

– აგერ უკვე მეშვიდე თვეა, სამშობლოდან გადახვეწილი ვაკვირდები ქვეყანაში მიმდინარე მტკივნეულ პროცესებს. ვფიქრობ, ვაანალიზებ წარსულს და სულ უფრო მიმყარდება რწმენა იმისა, რომ საქართველოში დატრიალებული მრავალი უბედურების სათავე ერთი კაცია, – კაცი, რომელმაც ჩვენთან – ჩემთან და ჩემს ძმასთან ბრძოლას გადააყოლა ხელისუფლება და ქვეყანა. ამ ერთი კაცის დაუოკებელმა ლტოლვამ ძალაუფლებისაკენ, ანგარებამ და უბინძურესი ფორმებით წარმოებულმა ფარულმა ომებმა შეიწირა ჩვენი ხელისუფლება. მე ღრმად მწამს, რომ არა ვანო მერაბიშვილი, „ნაციონალური მოძრაობა“, მიუხედავად შეცდომებისა, ასე გამანადგურებლად არ დამარცხდებოდა არჩევნებში. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ და მე გამაჩნია ამის მტკიცებულებები, რომ ლაფანყურის ავანტიურა ჩემი ძმის – ბაჩო ახალაიას წინააღმდეგ დაგეგმა და გიორგი ლორთქიფანიძის ხელით განახორციელა ვანო მერაბიშვილმა, გაწირა რა სასიკვდილოდ ჩვენი მებრძოლები, უკიდურესად გაგვირთულა ურთიერთობები ჩვენს ქისტ ძმებთან და რეალური საშიშროების წინაშე დააყენა ქვეყნის უსაფრთხოება და საერთაშორისო იმიჯი. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ და მე ასევე გამაჩნია ამის მტკიცებულებები, რომ სწორედ ვანო მერაბიშვილმა, ჩემს ძმაზე შურისძიების მიზნით, ამირან მესხელის ხელით უზრუნველყო ციხის ამაზრზენი კადრების შექმნა და საზღვარგარეთ უსაფრთხოდ მარშუტირება, რამაც საბოლოოდ დაანგრია ჩვენი ხელისუფლების ისედაც დაზიანებული იმიჯი და გადამწყვეტი როლი ითამაშა ჩვენს დამარცხებაში. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ ვანო მერაბიშვილმა დაგეგმა და შალვა ჯანაშვილის ხელით განახორციელა იაღლუჯაზე ჩვენი ჯარისკაცების მიმართ განხორციელებული ძალადობა და არაადამიანური მოპყრობა, რისთვისაც ახლა ჩემს ძმას ასამართლებენ. აქვე დავძენ, რომ მე არ ვამტკიცებ, თითქოს ვანო მერაბიშვილი გარიგებული იყო მაშინდელ ოპოზიციასთან, მაგრამ ერთი რამ დღესავით ნათელია – საკუთარ ყოვლისშემძლეობაში ბრიყვულად დარწმუნებულმა მერაბიშვილმა ივარაუდა, რომ მხოლოდ ახალაიები დაზარალდებოდნენ მისი დანაშაულებრივი ავანტიურების წყალობით და თვითონ კვლავ ხელისუფლების ოლიმპზე დარჩებოდა, რადგანაც არჩევნებში გამარჯვება გარანტირებული ეგონა. არასოდეს გავქცევივარ პასუხისმგებლობას, არც მაშინ, როცა ორგანიზებულ კრიმინალ და კორუფციას ვებრძოდი, არც რუსეთ-საქართველოს ომის დროს და არც ახლა ვაპირებ ემიგრაციაში თავის შეფარებას. მყარად მაქვს გადაწყვეტილი, უახლოეს მომავალში ჩემს მეგობრებთან ერთად დავბრუნდე საქართველოში და ყველა კითხვას გავცე პასუხი, – ნათქვამია წერილში, რომელსაც დათა ახალაიას სახელით გამოქვეყნდა.

ამ განცხადებას მალევე გამოეხმაურა დათა ახალაიას ადვოკატი ლევან ზაქარეიშვილი. მისი განცხადებით, ფეისბუქზე წერილი მართლაც ახალაიამ გამოაქვეყნა.

ამ წერილში ვანო მერაბიშვილი საფუძვლიანად იყო შემკობილი. წესით და რიგით, ნახერხემლარი მალევე უნდა გამოხმაურებოდა ამ ბრალდებებს. ერის დიდმა ნაწილმა ფეისბუქთან გაათია ღამე. ყველა მერაბიშვილის პასუხს ელოდებოდა. ლოდინმა კარგა ხანს მოუწია ერს. ბოლოს ვანოს განცხადებამაც გამოანათა. ვანო ამჯერად ძალიან მოკლე განცხადებით შემოიფარგლა.

– მიუხედავად იმისა, მართლა დათა ახალაიას ეკუთვნის, თუ არა, გუშინ გავრცელებული განცხადება, საქმე გვაქვს ისეთ აბსურდთან, რომელზეც სერიოზული კომენტარის გაკეთებას არც ახლა და არც მომავალში არ ვაპირებ. ეს ბრალდებები წარმოადგენს ყოველგვარ საფუძველს მოკლებულ ბოდვას. ცხადია, ეს ყველაფერი მთავრობას დასჭირდა 19 აპრილის წინ, რათა ყველანაირად ხელი შეუშალოს დაგეგმილ აქციას. სწორედ ამიტომ 19 აპრილს 16 საათზე ყველას გელოდებით რუსთაველის გამზირზე! – ნათქვამია მერაბიშვილის განცხადებაში.

მერაბიშვილის მსგავსად, სხვა ნაციონალებმაც ანალოგიური განცხადებები გააკეთეს და ერი რუსთაველის გამზირზე სამიტინგოდ დაპატიჟეს.

თბილისის მერ გიგი უგულავას კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის ყოფილი უფროს დათა ახალაიას სახელით გავრცელებული განცხადება ირაკლი ოქრუაშვილის ბალადას აგონებს.

უგულავას თქმით, საჭიროა ახალაია ქვეყანაში ჩამოვიდეს ან დაადასტუროს, რომ ეს წერილი ნამდვილად მას ეკუთვნის.

– დადასტურდება თუ არ დადასტურდება, ეს მისი პირადი საქმეა. მე ეს ძალიან მაგონებს ოქრუაშვილის ბალადას. წერილში ახალი ისეთი არაფერი ეწერა, რაც ამ შვიდი თვის განმავლობაში გაზეთებში ან ტელევიზიებში არ ყოფილა, ამიტომ შინაარსზე საუბარი ზედმეტად მიმაჩნია, იმდენად აბსურდული რამეა. ჩემთვის უფრო მნიშვნელოვანია გია ხუხაშვილის გუშინდელი გამოსარჩლება, რაც პირდაპირ მიუთითებს იმაზე, რომ რაღაც ორკესტრირებულ მოქმედებას აქვს ადგილი. ეს მხოლოდ ერთადერთი რამით იხსნება. ამ ხელისუფლებას ეშინია 19 აპრილის აქციის. რაც შეეხება ახალაიას, მან ან უნდა დაადასტუროს ან უნდა ჩამოვიდეს. რაც უნდა, ის მოუყოლია, ეს მისი საქმეა, მაგრამ, ვიმეორებ, ეს ყველაფერი ძალიან ჰგავს ოქრუაშვილის ეპოპეას. ახალაიას თანამშრომლების 80 პროცენტი, თუ მეტი არა, ისევ იმ ადგილებზეა და ახლა უკვე ნამდვილად პოლიტიკური ოპონენტების დევნით არიან დაკავებული. ასე რომ, იმ ბრძოლაში, რომელშიც ახლა ჩვენ ვიმყოფებით, შეიძლება, ბევრს ნერვებმა უმტყუნოს, ბევრი რაღაც გარიგებაშიც შეიძლება შევიდეს. ძალიან დასანანია, თუ დადასტურდა, რომ ეს ასე იქნება, მაგრამ, ცხადია, ეს ყველაფერი 19 აპრილის აქციას უკავშირდება. აქციამდე რამდენიმე დღეა დარჩენილი და შეიძლება საზოგადოებამ ხუხაშვილის თავში მოხარშული კიდევ ბევრი ავადმყოფობა იხილოს, – განაცხადა გიგი უგულავამ.

ლაფანყურში ჩატარებულ სპეცოპერაციაში მერაბიშვილის მონაწილეობა კატეგორიულად უარყო გია ლორთქიფანიძემ, რომელიც იმხანად შს მინისტრის მოადგილე იყო. ლორთქიფანიძის თქმით, ოპერაცია ბაჩო ახალაიამ ჩაატარა.

„თავისუფლებისა და მხარდაჭერის ცენტრის“ აღმასრულებელ დირექტორ თეა თუთბერიძეს აინტერესებს, გაწირეს თუ არა „ნაციონალებმა“ შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრი ბაჩო ახალაია.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ თუთბერიძემ განუცხადა, ბაჩო ახალაია ამდენი ხანია დაკავებულია და ვანო მერაბიშვილის მხრიდან არ გაკეთებულა არც ერთი განცხადება, როდესაც მისი მინისტრთა კაბინეტის ერთადერთი მინისტრია დღეს ციხეში.

თუთბერიძის თქმით, ასევე გაუგებარია, „ნაციონალური მოძრაობის“ სხვა ლიდერების მხრიდან რატომ არ კეთდება განცხადებები ბაჩო ახალაიას უკანონო პატიმრობასთან დაკავშირებით, ასევე გაუგებარია, რატომ აძლევენ ბაჩო ახალაიას წინააღმდეგ ჩვენებებს ვანო მერაბიშვილის ყოფილი მოადგილეები შალვა ჯანაშვილი და მისი უახლოესი გარემოცვის წარმომადგენელი ზურაბ არსოშვილი.

– ბევრი რამეა გაუგებარი. კითხვები ჩნდება ჩვეულებრივ მოქალაქეებში. მათ შორის, მეც მეკითხებიან სასამართლო პროცესებზე, თუ რატომ არ დადიან სასამართლოში „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერები, რატომ არ მოდის იგივე ვანო მერაბიშვილი, რატომ არ გააკეთა განცხადება. ძალიან ბევრ კითხვას მისვამენ მე პირადად და მეც ვერ ვცემ მათ ამაზე პასუხს ანუ გამოვიდა, რომ გაწირეს ეს ადამიანი, თუ კიდევ რამე სხვა არის ამ ყველაფრის უკან, – აღნიშნა თუთბერიძემ.

რაც შეეხება იმას, თავად ბაჩო ახალაიას თუ აქვს კითხვები ვანო მერაბიშვილთან და „ნაციონალური მოძრაობის“ სხვა ლიდერებთან, მისი თქმით, ამ საკითხზე ყოფილ მინისტრთან ჯერ არ უსაუბრია.

ამასთან, თეა თუთბერიძე სოციალური ქსელით დათა ახალაიას სახელით გავრცელებულ განცხადებასაც გამოეხმაურა და აღნიშნა, რომ როგორც მისთვის არის ცნობილი, ეს განცხადება დათა ახალაიას არ ეკუთვნის.

– მე ვესაუბრე იმ ადამიანებს, რომლებსაც დათასთან პირდაპირი კავშირი აქვთ და ისინი ამას არ ადასტურებენ, თუმცა მე ვერ გეტყვით, რაზეც განცხადებაშია საუბარი, ეს სიმართლეა თუ სიცრუე და რა დგას ამ ყველაფრის უკან, – განაცხადა თეა თუთბერიძემ.

მისივე თქმით, თუ ეს სიმართლეა, ამის შესახებ ინფორმაცია, ალბათ, შესაბამისი სამინისტროს სპეცსამსახურებს ექნებათ და სრულიად შესაძლებელია, ეს მათი მხრიდან 19 აპრილის აქციასთან დაკავშირებით იყოს გავრცელებული, რათა „ნაციონალური მოძრაობის“ მხარდამჭერებში დაბნეულობა შეიტანონ.

სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიულ საკითხთა დახმარების მინისტრის სოზარ სუბარის განცხადებით, ციხის კადრებში ფაბრიკაცია არ ყოფილა და დაპირისპირება მხოლოდ „ნაციონალურ მოძრაობაში“ არსებულ განხეთქილებაზე მიუთითებს.

– ეს კადრები, რომლებიც გავრცელდა, არის ზღვაში წვეთი. არსებობს ათასობით მოწმის ჩვენება, რომლებიც აღწერენ გაცილებით მძიმე და საშინელი წამების ფაქტებს, ვიდრე საზოგადოებამ ვიხილეთ. ფაბრიკაციაზე ლაპარაკი არ შეიძლება, ყოფილ ხელისუფლებაში დაპირისპირება რომ არსებობს, ეს ფაქტია, ამის დამადასტურებელი სხვა ინფორმაციაც არსებობს, თუმცა მისი საჯაროდ გამოქვეყნებისაგან თავს შევიკავებ, ყველაფერს თვითონ ნახავს საზოგადოება, – განაცხადა სუბარმა.

მამუკა არეშიძის შეფასებით, მერაბიშვილსა და ახალაიებს შორის არსებული დაპირისპირების შესახებ გავრცელებული ინფორმაცია დასტურდება.

არეშიძის განცხადებით, ის ფლობდა ინფორმაციას, რომლის მიხედვითაც ძმებ ახალაიებსა და მერაბიშვილს შორის დაპირისპირება გარკვეულ საკითხებთან დაკავშირებით არსებობდა. მათ შორის ერთ-ერთი იყო ლაფანყურის სპეცოპერაციის საქმე.

სხვათა შორის, მამუკა არეშიძემ ამ ამბამდე რამდენიმე დღით ადრე თქვა, რომ ახალაიებსა და სხვა ნაციონალებს შორის დიდი დაპირისპირებაა.

ექსპერტ გია ხუხაშვილის აზრით კი ახალაიები ვანო მერაბიშვილის, მიხეილ სააკაშვილისა და ზურაბ ადეიშვილის მკაცრი რეჟიმის მსხვერპლნი იყვნენ.

– გარკვეულწილად, შეიძლება ითქვას, რომ მიუხედავად ბევრი დანაშაულისა, ძმები ახალაიები მაინც იყვნენ სააკაშვილის, მერაბიშვილისა და ადეიშვილის მკაცრი რეჟიმის მსხვერპლნი. ისინი იყვნენ შემსრულებლები და ეს განცხადება ამას ადასტურებს. დათა ახალაიას ამ ყოველივეს გასაცნობიერებლად და იმის დასანახად, რომ ეს ყველაფერი სხვების მიზნების ასრულებისთვის მხოლოდ ინსტრუმენტი იყო, გარკვეული დრო დასჭირდა. დღეს დადგა რეალობის წინაშე, როდესაც მისი ძმა ციხეშია და მასაც მსგავსი სანქციები ემუქრება, სამწუხაროდ, ძალიან ბევრი დანაშაულის გამო და გააცნობიერა, რომ ის მიზანი, რომლის მიხედვითაც ქვეყანას ემსახურებოდნენ, სინამდვილეში ეს ყველაფერი ძალაუფლების მოყვარული ადამიანების მანიპულირების ინსტრუმენტი აღმოჩნდა, – განაცხადა ხუხაშვილმა.

ხმები ახალაიების კლანსა და ვანო მერაბიშვილის დაპირისპირებაზე უკვე დიდი ხანია დადის. თავიდან ახალაიები ვანოს ხალხად ითვლებოდნენ. მაგრამ გამოხდა ხანი და ახალაიები დამოუკიდებელ კლანად ჩამოყალიბდნენ, ამასთან, სერიოზულად გაძლიერდნენ და სააკაშვილის კარზე დამოუკიდებლად დაიწყეს თამაში. ამან კი ვანო მერაბიშვილის გაღიზიანება გამოიწვია.

ბაჩო ახალაიამ თავის დროზე თავდაცვის სამინისტროდან სპეცრაზმელები ბლომად გაუშვა. მერაბიშვილმა ისინი შინაგან საქმეთა სამინისტროში დაასაქმა. მათ შორის დაპირისპირება მაშინ გამწვავდა, როცა მერაბიშვილი პრემიერად გადაიყვანეს. ვანოს შს მინისტრად თავისი კადრის დანიშვნა სურდა. ეს ამბავი არ გამოუვიდა და შს მინისტრის პოსტი ბაჩო ახალაიამ ჩაიბარა.

მთავრობის დამტკიცების შემდეგ პრემიერმა მერაბიშვილმა პარლამენტში განცხადება გააკეთა. მან განაცხადა, რომ ახალაიას შს მინისტრობა გაუჭირდებოდა.

ბოროტი ხმები მაშინვე ამბობდნენ, რომ ახალაიას ვანო რაღაცას გაუჩალიჩებდა. ასე აგიხდათ ყველაფერი კარგი. არჩევნებამდე 2 კვირით ადრე ციხის სკანდალი აგორდა, რის შემდეგაც ახალაიამ თანამდებობა დატოვა, ითქვა, რომ ამ კადრების საქართველოდან გატანის უკან მერაბიშვილი იდგა.

პრესაში არაერთხელ დაიწერა, რომ არჩევნების მეორე დღეს ახალაიები ვანოსთვის სამაგიეროს გადახდას აპირებდნენ. ამბობენ, რომ ისინი სააკაშვილის დავალებით გააძევეს საქართველოდან.

ბაჩო ახალაია საქართველოში ნოემბერში დაბრუნდა. ის მალევე დაატპატიმრეს. დათა ახალაიაზე კი ძებნაა გამოცხადებული. ერთ-ერთი ვერსიით, ის და სოსო თოფურიძე თავს თურქეთში აფარებენ. სოსო თოფურიძე თურქეთში რამდენჯერმე შენიშნეს.

13 აპრილს სოციალური ქსელებით გავრცელდა ინფორმაცია, რომ დათა ახალაია და მეგიზ ქარდავა საქართველოში, კერძოდ კი ზუგდიდში იმყოფებიან. სანდო წყარო ამტკიცებდა, რომ ქარდავა-ახალაია 19 აპრილისთვის პროვოკაციების მოწყობას გეგმავენ.

გუშინ გავრცელებული ინფორმაციით კი მეგიზ ქარდავა, დათა ახალაია და სოსო თოფურიძე საქართველოში 18 აპრილს ჩამოვლენ. არსებული ჭორებით მათ, შესაძლოა, მერაბიშვილის წინააღმდეგ მისცენ ჩვენება.

გუშინ გავრცელდა ინფორმაცია, რომ მერაბიშვილის, გიგა ბოკერიასა და დიმიტრი შაშკინის წინააღმდეგ ჩვენების მიცემას აპირებს ბაჩო ახალაიაც. სხვათა შორის, ამას მეოცნებეები კარგა ხანია ელიან.

დღეს ბაჩო ახალაია ნაციონალებისთვის არის ძალიან საშიში. მას ბევრი სკანდალური ინფორმაციის გაჟღერება შეუძლია. არც ის და არც მისი ძმა ანგელოზები არ ყოფილან, თუმცა, ისიც ფაქტია, რომ დანაშაულს ვიღაცების მითითებებით ჩადიოდნენ.

ახლა ეს ვიღაცები მის დასაცავად ხმასაც კი არ იღებენ. მიხეილ სააკაშვილი და ვანო მერაბიშვილი ყველა ნაციონალზე ჩივიან, ვისაც კი მეოცნებეები ცუდად შეხედავენ. ბაჩოს დაკავება კი არც ერთ მათგანს არ გაუპრტესტებია.

გიგა ბოკერიას მეუღლე თამარ ჩერგოლეიშვილმა დათა ახალაიას მანიაკი უწოდა, რასაც დიდი მითქმა-მოთქმა მოჰყვა.

საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერი ლევან ბერძენიშვილი მიიჩნევს, რომ მანიაკალური – უცნაური დაავადების ნიშნებს თამარ ჩერგოლეიშვილიც ატარებს.

როგორც „ივერონს“ ბერძენიშვილმა განუცხადა, ნაციონალებში დიდი ხანია პრობლემებია და ისინი იმაზე ნაკლებ ყურადღებას იმსახურებენ, ვიდრე მას საზოგადოება ანიჭებს.

– ამდენ ხანს მათში არსებული პრობლემები იმის გამო არ გამოვლინდა, რომ პრესაში ისინი ჯერ კიდევ იმაზე მეტი ყურადღებით სარგებლობენ, ვიდრე საზოგადოებაში. ეს რატომ ხდება, არ ვიცი, მაგრამ ნებისმიერ ქვეყანაში, როცა პოლიტიკური ძალა არჩევნებს წააგებს, ის პრესისთვის უმნიშვნელო ხდება, თუმცა საქართველო არ არის ნებისმიერი ქვეყანა, რაც იმას ნიშნავს, რომ პრესაში დღის წესრიგს ისევ ნაციონალები განსაზღვრავენ. არ ვიცი, დათა ახალაიას განცხადება ნამდვილია თუ არა, მაგრამ, არ გამოვრიცხავ, რომ ძმებმა გამოძიებასთან ითანამშრომლონ. ფაქტია, იმ დაპირისპირებამ ახლა იჩინა თავი, როცა მათი გემი იძირება და არ ვიცი, რა მნიშვნელობა აქვს ამ დაპირისპირებას მათთვის. დათა ახალაიამ რაც უნდა თქვას, ის ისევე ნაწილია დანაშაულებრივი სისტემისა, როგორც მამამისი, ბაჩანა ახალაია, მათი მეგობრები თუ მათი მტრები ადეიშვილი-მერაბიშვილი-სააკაშვილის სახით. ეს ხალხი დაახლოებით ერთი ტიპისაა. გასაგებია, რომ წინააღმდეგობა აქვთ. რაც შემიძლია დაგიდასტუროთ, არის ის, რომ თამარ ჩერგოლეიშვილს დათა ახალაია ნამდვილი ჰგონია და მას მანიაკი უწოდა. თურმე მე მარტო არ მგონია, რომ ძმები ახალაიები მანიაკები ყოფილან. თურმე ამ საქმეში ისეთი მეგობარი მყოლია, როგორიც არის თამარ ჩერგოლეიშვილი, რომელიც, ვფიქრობ, ამ უცნაური დაავადების ნიშნებს ატარებს, – განაცხადა ბერძენიშვილმა.

ვერაფერს იტყვი, წინ საინტერესო მოვლენები გველოდება. აქ შესაძლოა ისეთი კომპრომატები აფრიალდეს, 19 აპრილისთვის აქციის ჩამტარებელ ნაციონალებს სანთლით დავუწყოთ ძებნა.

შალვა ხაჭაპურიძე: „ნაციონალები მკვდარი ძალაა და ახლა ფართხალებენ“

ნონა ცაბაძე

ინტერვიუ ადვოკატ შალვა ხაჭაპურიძესთან

– ბატონო შალვა, როგორ ფიქრობთ, რა ხდება? დაიწყო კომპრომატების ომი ნაციონალურ მოძრაობაში თუ როგორ ხსნით თქვენ დათა ახალაიას პასკვილს, რომელიც ფეისბუქის საშუალებით გამოგვიგზავნა. ვანო უნდა გაიწიროს? თუ რა თამაშს თამაშობენ ნაციონალები?

– მე ვთვლი, რომ ეს შიდა ომია. საერთოდ, ნაკლებად მინდა, რომ ვილაპარაკო ნაციონალებზე. ეს არის შავბნელი დანაშაულებრივი ორგანიზაცია და ახლა ვინ რას გამოაგორებს, ვანო კაი ბიჭი იყო, ვანო ცუდი ბიჭი იყო... ათასი ჭორი დადიოდა, ვიღაცის ცოლთან ურთიერთობის, არ დავაკონკრეტებ, არა ვარ მე ჭორიკანა კაცი. დადგნენ და იჭორიკნონ, მეტი რაღა საქმე აქვთ. ნაციონალებს მეტი არაფერი დარჩენიათ, ლეგენდები უნდა თხზან, რომ იქიდან ის მოდის თეთრ ცხენზე ამხედრებული და ასე შემდეგ. მკვდარი ძალაა და ახლა ფართხალებენ რაღაცას. იფართხალონ და იყვნენ. მალე მოვა მაგათი 19 აპრილიც... სხვათა შორის, ჰიტლერის დაბადების დღეს ვულოცავ ნაციონალურ მოძრაობას. ამ დღეს აქვს ჰიტლერს დაბადების დღე და ზუსტად დაამთხვიეს ამ დღეს. დაახლოებით ბუდარასა და ბუდარიხას ამბები ტრიალებს მანდ და გაარკვიონ თვითონ უჩვენოდაც.

– შინაგან საქმეთა მინისტრმა განაცხადა, რომ 19-ში პროვოკაციებს გეგმავენ.

– თუ რამეს გეგმავენ, მოვუწოდებ შინაგან საქმეთა მინისტრს, სწორედ ასეთ ადამიანებზე გაატაროს მკაცრი სანქციები. ერთი-ორი ტვინგახურებული თუ გამოვარდება, უნდა სტაცო ხელი და გაუშვა იქ, სადაც ჯერ არს. ნუ აქცევთ ამ ყველაფერს სერიოზულ ყურადღებას. მაშინაც დიდი შეცდომა იყო, 2003 წელს რომ მოაბრძანა პატივცემულები ხელისუფლებაში. ის უნიათო ხელისუფლება იყო და დღევანდელ ხელისუფლებას შეწევს იმის უნარი, რომ თავის ადგილზე ჰყავდეს ასეთი მარგინალური ძალა. თუ ხელისუფლებას გაუჭირდება, მაშინ ხალხი დავეხმარებით და უცებ დავამთავრებთ, პრობლემა არ არის.

– თქვენ ფიქრობთ, რომ 19-სთვის მართლა ჩამოვა დათა ახალაია?

– ჩამოვა და ჩამოვიდეს. რა, ზვიად გამსახურდია გაცოცხლდა თუ მერაბ კოსტავა? ეგეც დიდი ვინმე არ მყავდეს. ვიმეორებ, ბუდარასა და ბუდარიხას ამბავია. ვინ ვის ლოგინში ტრიალებდა, რა ცოდო-მადლი ტრიალებდა, ჯერ სადა ხართ, აწი დაიწყება, გაზეთებში რომ დაიწყებენ წერას, მე შენს ცოლთან დავრბოდი, შენ ჩემს ცოლთან დარბოდი, ჩემი შვილი შენი შვილია და შენი ჩემიაო და ასე შემდეგ. ეს არის უზნეო ხალხი, ეს უკვე წარსულია და გუშინდელი დღეა. გეტყვით იმასაც, რომ მე ამ ხალხს არ ვთვლი ოპოზიციად და კარგი იქნება, დროზე თუ ჩატარდება ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები და ეგენი გამოიყარონ პარლამენტიდან.

– საკმაოდ აქტუალური თემა გახდა ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები, ბევრი საუბრობს ამ საკითხზე, თქვენც მიგაჩნიათ, რომ აუცილებელია ვადამდელი არჩევნები?

– რა თქმა უნდა, უნდა ჩატარდეს ვადამდელი არჩევნები, რადგან ეს პარლამენტი ნამდვილად არ გამოხატავს ქვეყანაში არსებულ პოლიტიკურ რეალობას. ნუ გადამრიეთ, რომელ მეორე ადგილზეა დღეს ნაციონალური მოძრაობა. ჩემს ადგილზე ზის ერთ-ერთი პატივცემული და იმას რა ჰგონია ახლა, თავს დავანებებ? მთელი ცხოვრების განმავლობაში ვაპატიებ თუ რა?! ასე ზის ნორმალური პოლიტიკოსებისა და ღირსეული ადამიანის ადგილას ბევრი უღირსი ადამიანი და რატომ უნდა იჯდეს, ვერ გავიგე?! რა, ნაციონალები აირჩია ქართველმა ხალხმა?! ახლა გამოჩნდება 19-ში ვინ აირჩია ქართველმა ხალხმა, რამდენი კაცი გამოვა ერთი, ხომ მოუწოდებენ ყველას, გადავამრავლოთ ის ციფრი ორზე, თუ გინდა სამზე და ვნახავთ ერთი, რას მივიღებთ. რა თქმა უნდა უნდა, ჩატარდეს ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები. რაც შეეხება ახლა ჰააგას და ჰააგის ტრიბუნას, ვაფრთხილებდი მე პატივცემულ ნაციონალურ მოძრაობას და პატივცემულ სააკაშვილს, რომ გავაკეთებ ისე, რომ მოგიწევთ იქ ჯდომა-მეთქი. დაეწყოთ ამ ყველაფრის ახდენა? ჩავიტანე ჰააგაში ეგ საჩივარი? ჩამოვიდნენ პროკურორები? დაიწყება დაკითხვები. უფრო მეტსაც გეტყვით, სააკაშვილი დაამთავრებს ჰააგაში. არა მარტო სააკაშვილი, ამოუჯდება გვერდით მერაბიშვილი, გიგი უგულავა და ძალიან ბევრი, ვინც წლების განმავლობაში ჩადიოდნენ იმ დანაშაულებს, რაც მე ჰააგის სასამართლოში მაქვს გაგზავნილი. სირცხვილი იმ ოპოზიციურ პარტიებს, ვინც მაშინდელ ჰააგის საჩივარს არ მოაწერა ხელი. ხომ აჯობა იმ ტაქტიკამ და სტრატეგიამ, რაც მე ავირჩიე.

– ბატონო შალვა, რაც შეეხება აგვისტოს ომს, თქვენს ჰააგის სარჩელში მას საკმაოდ დიდი ადგილი უკავია. მინდა, რომ ამ თემაზეც ვისაუბროთ. ვხედავთ, რა ისტერიკაში არიან ნაციონალები და აცხადებენ, რომ ახალი ხელისუფლება რუსეთის ინტერესებს ემსახურებაო.

– კარგით რა, რა ახალი ხელისუფლება, სად იყო ახალი ხელისუფლება, ჰააგაში სარჩელი რომ შევიტანე 2010 წლის 16 ოქტომბერს. ახალი ხელისუფლება კი არა, ოპოზიციაშიც არ ჩანდა ბიძინა ივანიშვილი. რა სისულელეა. ჩემი სარჩელის მესამე ნაწილი სწორედ რომ ეძღვნება 2008 წელს ცხინვალის მოვლენებს, თუ რა მოხდა და როგორ მოხდა. სააკაშვილი არის სამხედრო დამნაშავე, მას ჩადენილი აქვს კაცობრიობის წინაშე დანაშაული. აგერ არის საიტებზე და გაეცანით კარგად, ბატონებო. ტალიავინის დასკვნაში ის წერია, ეს წერიაო, რომ იძახიან, რა წერია ჰაიდი ტალიავინის დასკვნაში, მე მგონი, ეს საქართველოს სულ ხუთი კაცის მეტს არ წაუკითხავს. ჰააგის სარჩელისთვის რომ დამჭირდა, ეს დასკვნა ნათარგმნიც კი არ იყო, თარჯიმანთა ჯგუფი ავიყვანე და ბოლომდე ვათარგმნინე. საქართველოში ნათარგმნიც არ იყო ეს დოკუმენტი. ამ დოკუმენტში ყველაფერი წერია, თუ რა უბედურებებიც აქვს სააკაშვილს ჩადენილი, როგორ მიჰყავდა როგორც სააკაშვილს, ისე რუსეთის მხარეს სიტუაცია ესკალაციისკენ. ორივე მხარეს შეეძლო, ეს ომი აეცილებინა, მაგრამ არც სააკაშვილმა დათმო, არც რუსეთის მხარემ და ამიტომ მივიღეთ ეს ყველაფერი, ამდენი სისხლი, დაღუპული ბიჭები, დაკარგული ტერიტორიები და ამდენი უსახლკაროდ დარჩენილი ხალხი. რა, ამაზე პასუხი არავინ არ უნდა აგოს?! ის რომ რუსეთმა უნდა აგოს პასუხი, ამას საერთაშორისო სამართალი მიხედავს, მაგრამ ამას რა ვუყოთ, ასე უნდა ისეირნოს სააკაშვილმა? რატომ არ წაიყვანა თავისი ოჯახის წევრები ომში?! სხვისი შვილები რომ ამოხოცა და სისულელეები აკეთა. რომელი რუსეთთან ომის მომგები იყო ეს. ნამდვილი კურდღლები არიან. ზუსტადაც პასუხი უნდა აგონ. თუ არ მოსთხოვს ახალი ხელისუფლება პასუხს, მაშინ ხალხი აგებინებს პასუხს. ხალხის მოთხოვნა ეს და არა მარტო აგვისტოს ომთან დაკავშირებით, სხვა ძალიან ბევრ მოვლენებთან დაკავშირებით. დღეს ისევ თანამდებობებზე რომ არიან წამოჭიმულები.

– მერედა, რატომ აჭიანურებს ამ პროცესს ახალი ხელისუფლება?

– მე აბსოლუტურად ვემხრობი ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკას, რომ არ არის ამ ეტაპზე საჭირო ხმალამოღებული ბრძოლა და ვიღაცების თავების წაგორება. იმ ვიღაცებს რომ ჰგონიათ, რომ ხალხს უკვე დაავიწყდათ რაღაცებიო, არავის არაფერი დაგვიწყებია, ყველა აგებს პასუხს იმისთვის, რაც აქვს ჩადენილი. სწორედ ამისთვის არსებობს სახელმწიფო. დღეს ნაციონალები შოკში არიან, ისევ იმაზე ფიქრობენ, რა ხდება, ციხეში რატომ არა ვართო. აგვისტოს ომის დროს რომ გაიქცა მაშინდელი ნაციონალური მოძრაობის ხელმძღვანელობა, დააკვირდით, დღეს არც ერთი მათგანი გაქცეული არ არის ანუ ისინი ფიქრობენ, რომ დღევანდელი ხელისუფლება მათ პასუხს აღარ მოსთხოვს, რომ მოხდა კოჰაბიტაცია, ძალიან დიდი შერიგება და ასე შემდეგ. მაგრამ, მინდა ვუთხრა მათ, ძალიან გასაგებად, არავინ არავის არაფერს პატიობს, არც ჩემია სისხლის სამართლის კოდექსი და კანონმდებლობა, არც პეტრესი და არც ივანესი, ეს არის სახელმწიფოსი. სახელმწიფო ვალდებულია, თუ ვინმეს ჩადენილი აქვს კონკრეტული დანაშაული, ასეთ პირს აგებინოს პასუხი. არსებობს ამნისტიებიც, ეს ამნისტია იყო ერთხელ უკვე. სააკაშვილს შესთავაზეს მეორე ტიპის ამნისტია, სააკაშვილმა უარი განაცხადა. შესაბამისად, კანონი დაიწყებს მოქმედებას. საზოგადოებაში არის ძალიან დიდი გულისწყრომა, რომ რა არის, ისევ ნაციონალები არიან ხელისუფლებაში წამყვან თანამდებობებზე, არავის დაჭერა არ ხდება და ასე შემდეგ. მინდა, ვუთხრა ყველას, ჯერ კიდევ ყველაფერი წინ არის, ჯერ კიდევ არაფერი დაწყებულა ამ მიმართულებით. ძალიან ბევრისგან მოვისმინე, რომ სამართლიანობა აღდგა, ბრიფინგებს ატარებენ და არიან ერთ ამბავში. იცით, რას ვეტყვი ამ ხალხს? ცხრა წელიწადი ვუყურე მაგათ ცოდომადლს, ოპოზიციური პარტიების, სააკაშვილთან ჭიდილში. ასევე ვხედავდით იმასაც, რა გარიგებები იყო და რა უბედურებაც ხდებოდა. ვეტყვი მათ, რომ დაწყნარდნენ და დამშვიდდნენ. ბევრი იმასაც ამბობდა, ივანიშვილი არჩევნებით ვერ მოიგებსო. ხომ მოიგო? თუ იმის უნარი გვქონდა, რომ მოგვეგო არჩევნები, იმასაც გავაკეთებთ და იმასაც ვაჩვენებთ ქართველ ხალხს, რომ დაუსჯელი არ დარჩება არც ერთი ადამიანი. ყველაფერს აქვს თავისი დრო და თავისი მომენტი. ეს პოლიტიკაა, ეს არ არის ბოქსი. თუ ვინმეს უნდა პოლიტიკაში ყოფნა, მოიქცეს, როგორც პოლიტიკოსი.

– ბატონო შალვა, როგორც იურისტი, ასევე ყოფილი მოსამართლე, როგორ ფიქრობთ, რა ახალი დეტალები შეიძლება გაირკვეს ამ აგვისტოს ომის გამოძიების შედეგად, რაც ჯერ საზოგადოებისთვის უცნობია, რაც ზედაპირზე არ დევს? არის კიდევ ისეთი რამ, რაც არ იცის ხალხმა?

– გეტყვით, რომ რუსეთსა და სააკაშვილს შორის არსებობდა გარიგება. სააკაშვილს ამაში ფულიც ჰქონდა გადახდილი, უნდა შესულიყო ცხინვალში, ვითომ აეღო ცხინვალი, ჩაეტარებინა იქ ბრიფინგი, რომ იყო გამარჯვებული და წასულიყო შემდეგ მოლაპარაკებები ცხინვალთან დაკავშირებით. ამაში ძალიან დიდი ფული იყო გადახდილი. ნაციონალური მოძრაობიდან ამაში რამდენიმე პირი მონაწილეობდა, რუსებმა გადააგდეს პატივცემული სააკაშვილი და ამ გადაგდებას შეეწირა უამრავი ადამიანის სიცოცხლე. მინდა გითხრათ, რომ ეს გამომჟღავნდება, ყველა ეს მასალა დაიდება. აი, ამის ეშინიათ პატივცემულ სააკაშვილს, უგულავასა და ძმათა მათთა. კიდევ სხვა უბედურებები, მერე რა მოხდა, ხალხი როგორ მიატოვეს, როგორ გამორბოდნენ და აბსოლუტურად მოუმზადებლები რომ იყვნენ... ძალიან ბევრი რაღაც გაირკვევა. მე ძალიან მეეჭვება, რომ საერთოდ რუსეთს უნდოდეს ამ საქმის გამოძიება. ნაციონალების საყვარელი თემა რომ არის, აი, რუსებს უნდათ, არ უნდათ რუსებს ამის გამოძიება, გაიგეთ, ხალხო! აბსოლუტურად ყველა საელჩო გამოეხმაურა მაშინ ჩემს ჰააგის სარჩელს. ერთადერთი, ვინც არც კი გამოეხმაურა და კრიტიკულადაც კი მოიხსენია, რუსეთი იყო. მეტსაც გეტყვით, არ გახსოვთ, არჩევნებამდე ერთი კვირით ადრე გამოვიდა მედვედევი და განაცხადა, ომი ჩვენ დავიწყეთო. სააკაშვილი არის რუსეთის აგენტი, რუსეთის კაცი! სააკაშვილს თავიდან ბოლომდე რუსეთი მართავს. მას ჯერ კიდევ დარჩენილი აქვს დავალებები და საქმეები აქვს გასაკეთებელი. აი, იმ დავალებებს ასრულებს ახლა სააკაშვილი.

– როგორ ფიქრობთ, ითანამშრომლებს სააკაშვილი გამოძიებასთან?

– ახლა ამბობს, არ ვითანამშრომლებო. დაუმთავრდება ეს იმუნიტეტი და მერე ითანამშრომლებს, აბა, რას იზამს?! დაიბარებენ და დაკითხავენ, იმუნიტეტი აღარ ექნება და ამით მორჩება. მაგნაირები დაუკითხავთ?! ახლა მაგაზე არ ვიშალოთ ნერვები, დასაკითხია ბევრი, დაიკითხებიან და ბოლოს დაიკითხება სააკაშვილიც, სად წავა რომ? მინდა გითხრათ, რომ დედამიწა ძალიან პატარაა ამ გლობალიზაციის პირობებში. მე ყველაზე მეტად ქართული ოპოზიციის დიდ ნაწილზე მწყდება გული, იმდენად უნიათო შეიქმნა ეს ყველაფერი, პირველ რიგში შევარდნაძის ხელისუფლება, რომელმაც ეს დოყლაპია ძალა მოუშვა ხელისუფლებაში. მერე იმ ოპოზიციაზე, რომელმაც ეს დოყლაპია ძალა 9 წელიწადი წამოასვა ქართველი ხალხის კისერზე და დღეს, რა თქმა უნდა, საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარების შემდეგ დადგება ის ეტაპი, რომ უნდა ჩატარდეს ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები. ჯერ, რა თქმა უნდა, არა. საპრეზიდენტო არჩევნებამდე ამის ჩატარება მიმაჩნია, რომ აბსოლუტური პოლიტიკური სიბეცე იქნება. ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები, ნორმალური პრეზიდენტი და ქვეყანა უნდა დაბრუნდეს ნორმალური პოლიტიკური ცხოვრების ჭრილში. ქვეყანაში უნდა იყოს ისეთი ხელისუფლება, რომელიც იფიქრებს ხალხსა და ქვეყნის აღმშენებლობაზე. მე არ ვთვლი, რომ ნაციონალური მოძრაობა ოპოზიციაა. ისინი არ იმსახურებენ იმას, რომ ეს სტატუსი ატარონ.

„თსუ, ყველა მონაცემის მიხედვით, წამყვანი უნივერსიტეტია“

როლანდ ხოჯანაშვილი

„ახალი თაობის“ იმერეთის ბიურო

ისეთი სახელმწიფოსათვის, როგორიცაა საქართველო, ძალიან მნიშვნელოვანია საგანმანათლებო სფერო და ბუნებრივია, მას სტრატეგიული დანიშნულებაც აქვს. საშუალო და უმაღლესი განათლების შესახებ პოლემიკა არ წყდება, ზოგი თვლის, რომ ქართული საგანმანათლებო სისტემა პროგრესირებადია, ზოგი თვლის, რომ განათლების რეფორმა ჩაიძირა. ამ საკითხებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის აკრედიტაციის ექსპერტს, თსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილეს, ქალბატონ ნატალია ბარათელს.

– ქალბატონო ნატალია, განათლების სფეროში მიმდინარე პროცესები რეფორმაა თუ ექსპერიმენტი?

– საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მისიაა საზოგადოების მონაწილეობით ჩამოაყალიბოს თანამედროვე, ინოვაციური საგანმანათლებლო და სამეცნიერო გარემო, რომელიც ხელს შეუწყობს ადამიანებს, შეიძინონ და განავითარონ საჭირო ცოდნა და უნარები თვითრეალიზებისა და სოციალური წარმატებისათვის. თუ განათლების სფეროში მიმდინარე პროცესები საზოგადოების ნდობას იმსახურებს, ისინი მის მიერ რეფორმად აღიქმება. განათლების სფეროში დაწყებული რეფორმებით თვალსაჩინო უნდა გახდეს საზოგადოებისათვის ამ სისტემის ეფექტურობა. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო საზოგადოებას ეტაპობრივად და სრულყოფილად აწვდის ინფორმაციას კონკრეტული გეგმებისა და პროექტების შესახებ და იმედი მაქვს, კითხვა, განათლების სფეროში მიმდინარე პროცესები რეფორმაა თუ ექსპერიმენტი, მალე აქტუალობას დაკარგავს.

– როგორ შეაფასებდით 12-წლიან საშუალო განათლებას? საზოგადოებაში არის აზრი, რომ ადრე 10 წლის სწავლა-სწავლება უფრო ეფექტიანი იყო, ვიდრე ამჟამინდელი 12– წლიანი.

– მსჯელობა სწავლა-სწავლების ეფექტურობის შესახებ სპეციალურ კვლევებს უნდა ეფუძნებოდეს და არა კონკრეტული პირის ან პირების მოსაზრებებს. საერთაშორისო კვლევა და შიდა კვლევა უნდა ტარდებოდეს გარკვეული პერიოდულობით. სწორედ პროფესიული სიღრმისეული კვლევებით უნდა გამოიკვეთოს განათლების ძირითადი ტენდენციები: განათლების დონე სოფლებსა და ქალაქებში; მასწავლებლების პროფესიონალიზმი; განვითარებული ინფრასტრუქტურის გავლენა განათლების ხარისხზე; მშობლების დამოკიდებულება საგანმანთლებლო დაწესებულების მიმართ; ახალი სასწავლო გეგმის, ახალი სახელმძღვანელოსა და სწავლების ახალი მეთოდების გავლენა სასწავლო პროცესზე და ა.შ. საზოგადოება უნდა იყოს ინფორმირებული კვლევის შედეგების შესახებ და აქტიურად უნდა იყოს ჩართული კვლევის შედეგებით გამოვლენილი პრობლემების გადაჭრაში. საბოლოოდ ასეთი კვლევის შედეგებით უნდა დადგინდეს საშულო განათლება 10– წლიანი იქნება ეფექტური თუ 12– წლიანი.

– მახსენდება, რომ დავით ზურაბიშვილმა ეთერში კანონი უმაღლესი განათლების შესახებ გააკრიტიკა და თევზაძეს დაუწუნა კანონშემოქმედება. რა რეკომენდაციებს და შენიშვნებს მისცემდით მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის ხელისუფლებას?

– ფუნდამენტურ და გამოყენებით კვლევებზე სოციალურ და საგანმანათლებლო საჭიროებებზე დამყარებული უმაღლესი განათლების განვითარების ახალი სტრატეგია სწრაფად უნდა იქნეს შემუშავებული. ხელი-

გაგრძელება მე-6 გვერდზე

კახა ძაგანია: „კბილაშვილის უწყების დასკვნას არც ერთი საერთაშორისო ორგანიზაცია არ მიიღებს“

შორენა კოწოწაშვილი

ტობრივად, მარტო ბაჩო ახალაიაა, რაც საზოგადოების უკმაყოფილებას იწვევს.

„მემარცხენე ალიანსი“ აგვისტოს ომის გამოძიების მომხრეა და აცხადებს, რომ ეს საქმე არა ივანიშვილის პროკურატურამ, არამედ საერთაშორისო სასამართლომ უნდა გამოიძიოს და ვერდიქტიც მან გამოიტანოს.

„მემარცხენე ალიანსის“ წევრი კახა ძაგანია დარწმუნებულია, რომ საბოლოოდ მიხეილ სააკაშვილს მაინც მოუწევს ომის გამო პასუხისგება, მიუხედავად იმისა, რომ დღეს აცხადებს, გამოძიებასთან არ ვითანამშრომლებო.

განიცადა თუ არა კრახი სამართლიანობის აღდგენის პროცესმა და ვინ უნდა აირჩიოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრები? – ამ საკითხების ირგვლივ

გთავაზობთ ინტერვიუს „მემარცხენე ალიანსის“ ერთ-ერთ ლიდერ კახა ძაგანიასთან.

– ბატონო კახა, უნდა გამოიძიოს თუ არა ახალმა ხელისუფლებამ აგვისტოს ომის საქმე და საპარლამენტო უმცირესობა ფიქრობს, რომ ტალიავინის კომისიამ ობიექტური დასკვნა დადო.

– სახელისუფლებო ტელევიზია არ ეშვება ისევ პოლიტიკური პროცესების იმ გზით წარმართვას, რომელ მავნე ტრადიციასაც სააკაშვილის ხელისუფლების პირობებში ახორციელებდა. მართლაც, დღეს არასაპარლამენტო ოპოზიციის ის ნაწილი, რომელიც ფიქრობს, რომ აგვისტოს ომის გამოძიება არ უნდა მოხდეს, პრეზიდენტი სააკაშვილი არ უნდა დაიკითხოს და სიმართლე არ უნდა ითქვას, ის ოპოზიცია გამოხტა „რუსთავი 2“-ზე და მათ მიერ შექმნილი პოლიტიკური ფონის შემდეგ ვიხილეთ სააკაშვილის ცნობილი განცხადება პირდაპირ ეთერში. მე ვფიქრობ, რომ ის ოპოზიცია, რომელიც ამბობს, რომ სააკაშვილი არ უნდა დაიკითხოს, ის პირდაპირ სააკაშვილის დავალებას ასრულებს.

– რაზე მიანიშნებთ, სააკაშვილი არასაპარლამენტო ოპოზიციის ნაწილს დღესაც მართავს?

– არასაპარლამენტო ოპოზიციის იმ ნაწილს მართავს, რომელიც ამტკიცებს, რომ პრეზიდენტის დაკითხვა შეიძლება საქართველოსთვის დამღუპველი იყოს. ნებისმიერი მოტივით პრეზიდენტის დაკითხვაზე ასეთი ნეგატიური ემოციის გამოხატულება არასაპარლამენტო ოპოზიციისა ზუსტად არის მტკიცებულება იმისა, რომ ისინი სააკაშვილის დავალებას ასრულებენ. ტალიავინის დასკვნა – ეს არ არის საერთაშორისო სასამართლოს დასკვნა. „მემარცხენე ალიანსის“ დამფუძნებლები ვთვლით, რომ აუცილებლად უნდა მოხდეს სააკაშვილის დაკითხვა, აუცილებლად უნდა მოხდეს ომის გამოძიება, ოღონდ ეს უნდა მოხდეს საერთაშორისო სასამართლოს მიერ, რომელშიც ტალიავინის დასკვნაც იქნება გამოყენებული, ოღონდ, როგორც ერთ-ერთი მტკიცებულება. ჩვენთვის ამ საერთაშორისო სასამართლოს მიერ აგვისტოს ომის გამოძიება, პრეზიდენტის დაკითხვა და შემდეგ ვერდიქტის გამოტანა მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც საქართველოში გამოძიების სრულფასოვნად ჩატარების შიდა პოლიტიკური რესურსი არ არსებობს და არ არსებობს აგრეთვე სამართლებრივი რესურსი, რათა სამართლიანად, სამართლებრივად და მორალურად სწორედ იქნეს გამოძიებული აგვისტოს ომი. არ არსებობს საკანონმდებლო რესურსი, რომ სააკაშვილი სამართლებრივად და მორალურად სწორედ იქნეს დაკითხული. ამიტომ ჩვენ მოვითხოვთ, ჩატარდეს გამოძიება საერთაშორისო სასამართლოების მიერ და ვერდიქტიც მათ გამოიტანონ. ამ სასამართლოს ფუნქციას თავისუფლად შეასრულებს ჰააგის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო, რომელიც განიხილავს გენოციდს, კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულებს, ომს. ჩვენ ვთვლით, რომ სააკაშვილისა და მისი ხელისუფლების ქმედებებში არის ყველა იმ დანაშაულის ნიშნები, რომელსაც ჰააგის სასამართლო იხილავს და აგვისტოს ომის საქმეც უნდა გამოიძიოს.

– რატომ ფიქრობთ, რომ ივანიშვილის ხელისუფლება პოლიტიკური ინტერესებით იმოქმედებს ომის გამოძიებისას?

– რა თქმა უნდა, ახალი ხელისუფლების პირობებშიც ვერ იქნება აგვისტოს ომის საქმე სწორად გამოძიებული. ერთი ის, რომ სამართლებრივი მხარე, საკანონმდებლო ბაზა არ არის სრულყოფილად ჩამოყალიბებული. ამ საკანონმდებლო ბაზის სრულყოფილად შემსრულებელი პროკურორები არ არიან ჯერ კიდევ იმ დონემდე მისული, რომ ესოდენ მნიშვნელოვანი საქმე დაძლიონ. ამიტომ, ვფიქრობ, რომ უმრავლესობამ ძველი ხელისუფლების საქმე არ უნდა განიხილოს. ეს მართლა შეიძლება პრობლემებთან იყოს დაკავშირებული. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ინტერესთა კონფლიქტია. როგორ წარმოგიდგენიათ, საპარლამენტო უმრავლესობაში შექმნილი დროებითი კომისია მოქმედ პრეზიდენტს იბარებს და კითხავს?! როგორი ფორმით შეიძლება, ეს მოხდეს? ამიტომ ვამბობ, თუ გვინდა ობიექტური გამოძიება, საერთაშორისო სასამართლომ უნდა გამოიძიოს. თუ გვინდა, მივიღოთ ის, რომ შთამომავლობამ ზუსტად იცოდეს, რა მოხდა, საერთაშორისო დონეზე უნდა მოხდეს ამ ომის გამოძიება. ამ შემთხვევაში ჰაგის საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლომ უნდა გამოიძიოს.

– რაზე მიანიშნებთ, სახელმწიფოს ომის საქმის გამოძიება არ შეუძლია?

– რაზეც მეკითხებით, ფორმალურად ეს საქმე უკვე გამოძიებულია. ის სამართლებრივი ფორმალობები, რომლებიც დასაცავია, უკვე დაცულია. დავითაიას საპარლამენტო კომისიამ უკვე აწარმოვა მოკვლევა და ჩაატარა გამოძიება. შესაბამისად, რაღაც გადაწყვეტილებაც მიიღო. ახლა საპარლამენტო უმრავლესობა თუ იმავე გამოძიებას ჩაატარებს, ეს იქნება იმავე თაროზე შემოსადები დასკვნა, როგორც დავითაიას კომისიამ დადო. უმრავლესობის წევრები, პრემიერიდან დაწყებული, იუსტიციის მინისტრის ჩათვლით, ამბობენ, ეს გამოძიება იმიტომ ტარდება, რომ ვინმე უნდა დავსაჯოთ... ანუ ისინი უკვე აძლევენ ამ საქმეს პოლიტიკურ მიმართულებას და გამომძიებლებს მიანიშნებენ, როგორ უნდა იმოქმედონ. ამიტომ ვამბობ, ამ ხელისუფლების მიერ გამოძიებული ომის საქმეც არ იქნება ისეთი წონიანი, როგორსაც საერთაშორისო სასამართლო ჩაატარებს. აგვისტოს ომზე ისეთი დასკვნა უნდა დაიდოს, რომელსაც საერთაშორისო ორგანიზაციები აპრიორ დასკვნად აღიარებენ. ამიტომ ვამბობთ, რომ დღეს ჩატარებული გამოძიებაც იქნება ისეთივე ფორმალური, როგორიც იყო დავითაიას დროს. როგორც მთავრობის წარმომადგენლები ამბობენ, ჩვენ ეს გამოძიება იმიტომ უნდა ჩავატაროთ, რომ ამას ჰაგის საერთაშორისო სასამართლოს რომის სტატუტი გვავალდებულებსო, აბსოლუტურად ვეთანხმები. რომის სტატუტი ავალდებულებს, რომ შიდა მოკვლევითა და შიდა გამოძიებით იქნეს ჩატარებული და შემდეგ უნდა გადაეცეს საერთაშორისო სასამართლოს. მაგრამ ეს გამოძიება სამართლებრივად და ფორმალურად უკვე გაკეთებულია. ამიტომ უკვე თავისუფლად შეიძლება უკვე ამ საკითხის გამოძიება საერთაშორისო სასამართლოს მიერ. ეს გამოძიება ბევრად უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე კბილაშვილის უწყების მიერ ჩატარებული. კბილაშვილის უწყების დასკვნას არც ერთი საერთაშორისო ორგანიზაცია არ მიიღებს და ეს უფრო სასაცილო იქნება.

– დაბოლოს, ბატონო კახა, სამართლიანობის აღდგენის პროცესი 6 თვეა მიმდინარეობს და ციხეში, ფაქ-

– „ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო დაპირებამ სამართლიანობის აღდგენის თაობაზე, პრაქტიკულად, კრახი განიცადა. ეს მარტო ჩემი აზრი არ არის. ასე ფიქრობს უამრავი ადამიანი, რომელმაც ხმა ოცნებას მისცა. ხალხს ეგონა, რომ სამართლიანობა იქნებოდა აღდგენილი და ის პროკურორები კანონის წინაშე აგებდნენ პასუხს, რომლებმაც მათი ოჯახები დაანგრიეს, უკანონოდ ადამიანები ციხეში გამოამწყვდიეს და მათი ქონება გაასხვისეს. ვეღარ დაადგა საშველი საერთო სასამართლოების შესახებ კანონის მიღებასაც. ჩვენ ვფიქრობთ, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრები ხალხმა უნდა აირჩიოს და არა პარლამენტმა. ესეც ერთი პოლიტიკური ძალიდან ძალაუფლების მეორე ძალაზე გადაცემის პროცესს ჰგავს ანუ გრძელდება იმავე მეთოდებით ბრძოლა, რასაც ნაცმოძრაობა მიმართავდა. ისიც ცვლიდა კანონებსა და კონსტიტუციას და ჩოხასავით ირგებდა ტანზე. ეს ხელისუფლებაც იმავეს აკეთებს. დღესაც იგივე პროკურორები და მოსამართლეები მუშაობენ, რომლებსაც საშინელი ვერდიქტები გამოჰქონდათ. როგორც ვიცი, არც ერთ ბიზნესმენს არ დაუბრუნდა არც ერთი თეთრი, რომლებიც სააკაშვილის ხელისუფლების მიერ იქნენ დატერორებულნი.

რბევა – ვარდების რევოლუციის მიზანი

იოსებ ჭუმბუჰიძის წერილის – „ცხრა წლის შემდეგ მეცხრე ახზე ანუ ბედის ირონია „იბერიიდან" იმედამდე" („ჰეზონანსი", 2003, 27 თებერვალი) – P.S.-ში დასმული კითხვა გავიხსენოთ:

ნეტავ ეს გადაცემა (საუბარი მეცხრე არხის ჟურნალისტურ გამოძიებაზე – „გამოცხადებული რბევის ქრონიკა“, რომელიც „ომეგა ჯგუფის“ ვაშლიჯვრის ოფისში სპეცრაზმელების შეჭრას, საერთოდ, ამ ფირმის წინააღმდეგ განხორციელებულ ვანდალურ რბევას შეეხება) თუ ნახეს ჩიორა თაქთაქიშვილმა, აკო მინაშვილმა, გოკა გაბაშვილმა და სხვებმაო. „იქნებ მიმხვდარიყვნენ, რა არის დარბევა, – 8 თებერვალი თუ 19 თებერვალი? თუ მაინც ვერ მიხვდებოდნენ?“

მერწმუნეთ, ვერ მიხვდებოდნენ. ამიტომ სჯობდა, კითხვის ნიშნის მაგიერ ძახილის ნიშანი დაგვესვა.

ვერ მიხვდებოდნენ იმიტომ, რომ საკუთარი ცხვირის იქით ვერ იხედებიან, ვერ იაზრებენ, რა დათესეს, რა დაამკვიდრეს, რა დააკანონეს, რის ნაყოფს იმკიან...

ვერ მიხვდებოდნენ იმიტომ, რომ სხვის თვალში ბეწვს ეძებენ, საკუთარში დირეს ვერ ხედავენ...

ვერ მიხვდებოდნენ იმიტომ, რომ მათთვის შავი თეთრია, მართალი ტყუილია, სამართალი უკანონობაა და ასე დაუსრულებლად...

ვერ მიხვდებოდნენ იმიტომ, რომ ძალადობით მოსულებმა ძალადობით უნდა გაიტანონ ლელო...

მოკლედ, ვერ მიხვდებოდნენ! არც მიხვედრა, არც გაგება, არც აღიარება შეუძლიათ, იციან, დანაშაულს დანაშაულის, სიმართლეს სიმართლის სახელი რომ დაერქვას, მარტის თოვლივით გაქრებიან...

მართალია, ძალადობა ძალადობით არ მოისპობა, მაგრამ სად რვა და სად ცხრა წლის წინანდელი 19 თებერვლის ძალადობა?! ფაშისტები არ ანადგურებდნენ ასეთი ხალისით საქვეყნო დოვლათს! იმ ყველაფრით ხომ საქართველოს მოქალაქეთა ერთი ნაწილი სარგებლობდა.

ომეგას სტამბაში ყალბი აქციზური მარკების საბეჭდი კლიშეები აღმოვაჩინეთო, – ირწმუნებოდა მაშინდელი გენერალური პროკურორი ირაკლი ოქრუაშვილი, კვერს უკრავდა შს მინისტრი გია ბარამიძე.

„ომეგა ჯგუფის“ ოკუპაციის ფაქტით ქვეყანაში დამკვიდრდა თავისუფალი ბიზნესის რბევის, თავისუფალი სიტყვის დევნის კლიშე.

ხმას ამოიღებდა ვინმე, ისე დაარბევდნენ, რომ დარბეულიც აღარაფერი დარჩებოდა, გააქრობდნენ, აღგვიდნენ პირისაგან მიწისა.

ვარდებით მოსულებმა ეკალი დათესეს და ახლა უკვირთ, ამ ეკლებმა ზოგიერთს ცხვირი რომ გაუკაწრა.

„სპეცრაზმელები მაშინ კრიმინალებივით მოიქცნენო“ – ამბობს ერთი თანამშრომელი, მეორე აზუსტებს – „მე ყაჩაღები მეგონაო“. რაოდენი სიმართლეა ამ ფრაზებში, იმ ქალბატონებს ვერაფრით წარმოედგინათ, ხელისუფლება თუ ასე არაადამიანურად, კრიმინალივით და ყაჩაღვითი მოიქცეოდა, მეტიც, რასაც ისინი აკეთებდნენ, ზოგიერთ ყაჩაღსა და კრიმინალსაც არ მოაფიქრდებოდა.

ყველაზე ცუდი სწორედ ესაა – ხელისუფლების ქმედება კრიმინალისას რომ ემსგავსება, მეტიც, აჭარბებს კიდეც.

ხელისუფლება ბიზნესის ხელშეწყობაზე, ხალხის დასაქმებაზე და ა.შ. უნდა ზრუნავდეს, ესენი ბიზნესს კლავდნენ, დასაქმებულებს ქუჩაში ყრიდნენ, პროტესტის გამომხატველებს ესროდნენ. გადაცემით ისიც ხომ თვალნათელი გახდა, რომ სპეცრაზმმა ჰაერში კი არ გაისროლა, პირდაპირ ხალხს ესროლა.

ასე ექცეოდა ხელისუფლება ხალხს და ამას აკეთებდა იმის გამო, რომ „ომეგა ჯგუფის“ დამფუძნებელი ზაზა ოქუაშვილი ოპოზიციაში იყო.

ყველაფერს ანადგურებდნენ, მითუმეტეს, ოპოზიციონერის ქონებას რა ვანდალურად სპობდნენ, აშკარად ჩანს გადაცემაში.

ესეც კლიშე იყო, ყოფილი ხელისუფლების დამკვიდრებული კლიშე, ვინც მათ აზრებს მონურად არ იზიარებდა, მის დოვლათს ქარს ატანდნენ, მას, თუ მოახერხებდნენ, ფიზიკურად გაანადგურებდნენ და მორჩა.

ასე მოვიდნენ, ასე იბოგინეს ცხრა წელიწადი.

მართლაც წინასწარმეტყველურია ზაზა ოქუაშვილის სიტყვები, ამის ჩამდენები ქვეყნიდან გაიქცევიან, ქართველი ხალხი ჩამოხსნის მათ ნიღაბსო, რომ ამბობს.

ნიღაბი ჩამოხსნილია, მეფეც და მისი მსტოვრებიც შიშველია...

ორი ამონარიდი კიდევ გავიხსენოთ იოსებ ჭუმბურიძის წერილიდან: „საბედნიეროდ ტყვია არავის მოხვედრია, მაგრამ ამ დარბევას მაინც ჰყავს მსხვერპლი–ერთ-ერთი საუკეთესო ქართველი ჟურნალისტი, გაზეთ „ახალი ეპოქის“ მთავარი რედაქტორი თეიმურაზ მეტრეველი.

ბრწყინვალე კალმოსანი.

სახელმწიფოებრივად მოაზროვნე პუბლიცისტი.

მისმა გულმა ეს უსამართლობა ვერ აიტანა“.

ვინც თემურ მეტრეველს იცნობდა, შეუძლებელია, გული არ ჩაეფუფქოს, არ გაახსენდეს, რაოდენ ღრმად მოაზროვნე, რაოდენ ეროვნული კაცი იყო, მისი მოქალაქეობრივი ვალი იმ რბევის დღეებშიც რომ პირნათლად მოიხადა – ტყვიასაც არ შეუშინდა და ხმამაღლა განაცხადა: პრეზიდენტი დამნაშავე და სისხლისმსმელიაო.

ამის თქმას დიდი გამბედაობა უნდოდა. სიმართლის არც თქმას, არც დაწერას არასოდეს მორიდებია თემურ მეტრეველი.

იოსებ ჭუმბურიძე ბედის ირონიას არქმევს იმას, ცხრა წლის წინათ დარბეული ტელეკომპანია „იბერიის“ ლიცენზია ექვსი წლის წინათ დარბეული „იმედის“ საკუთრებაში რომ აღმოჩნდა.

ესეც ყოფილი ხელისუფლების მიერ ქვეყანაში დამკვიდრებული ერთ-ერთი კლიშე მგონია–ერთი ტელევიზია მეორისთვის წაეკიდებინა, საბოლოოდ, ორივე დაეშანტაჟებინა, ორივე ჯიბეში ჩაესვა.

„იბერია“ ჯიბეში რომ ვერ დაიგულეს, ამიტომაც დაარბიეს და იავარჰყვეს.

ახლა მეორე ნაწყვეტს შევახსენებ მკითხველს იოსებ ჭუმბურიძის წერილიდან:

„პატარკაციშვლის ოჯახზე უკეთ ვინ უნდა იცოდეს, რას ნიშნავს საკუთრების წართმევა.

ამიტომ უნდა ვივარაუდოთ, რომ ის თავის პაკეტში აღმოჩენილ სხვის ლიცენზიას არ დაიტოვებს და ნამდვილ პატრონს დაუყოვნებლივ დაუბრუნებს“

ეს მართლაც ასე უნდა მოხდეს, ორმა დარბეულმა ტელევიზიამ უნდა გაუგოს ერთმანეთს, უფრო სწორად, ექვსი წლის წინათ დარბეულმა ცხრა წლის წინათ იავარქმნილს უნდა დაუბრუნოს ის, რაც მას არ ეკუთვნის.

ყოველივე ყოფილი ხელისუფლების კლიშე მგონია-მეთქი, აღვნიშნე ზემოთ:

ერთმანეთს წაკიდოს, გადაკიდოს, დააპირისპიროს...

იმედია, „იმედი“ ამას არ იზამს.

ჟურნალისტური გამოძიებები უნდა გაგრძელდეს, ამით კიდევ ბევრ რამეს მოეფინება ნათელი, თუნდაც როსტომ ჩხეიძის წიგნში „ორშაბათიც შაბათია“ მოტანილი ფაქტები იხილოს მაყურებელმა.

წაკითხვა ერთია, ნახვას სხვა ეფექტი გააჩნია.

დარბევაცაა და დარბევაც...

„იბერიისა“ და „ომეგა ჯგუფის“ დარბევა მაინც სხვა იყო, სხვა, თანაც პირველი, ვარდოსნების ეკლები...

ელგუჯა თაგბერიძე

ბიზნესკომპანიები შრომის კოდექსში შესატან ცვლილებებს აპროტესტებენ

შორენა გონგლაძე

ბიზნესკომპანიები შრომის კოდექსში დაგეგმილი ცვლილებების ზოგიერთი დებულების წინააღმდეგ გამოდიან. ამ ინფორმაციას სააგენტო „სივიდ.გე" ავრცელებს. ინფორმაციის მიხედვით, ბიზნესკომპანიებმა მოუწოდეს საქართველოს ხელისუფლებას, შრომის კოდექსში შესატანი ცვლილებების პროექტის ზოგიერთ პუნქტს გადახედონ, სანამ მას პარლამენტი დაამტკიცებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, მათ გააფრთხილეს, რომ ეს სადავო პუნქტები უმუშევრობის შემდგომ ზრდასა და ბიზნესის სტაგნაციას გამოიწვევს.

ამერიკის სავაჭრო პალატამ საქართველოში და საერთაშორისო სავაჭრო პალატამ 15 აპრილს ცალ-ცალკე განცხადებები გამოაქვეყნეს, სადაც ორივე ორგანიზაცია პარლამენტს და მთავრობას მათი წუხილების დაუყონებლივ განხილვისკენ მოუწოდებს.

2006 წელს მიღებული საქართველოს შრომის კოდექსი წლების განმავლობაში ადგილობრივი და საერთაშორისო პროფკავშირების კრიტიკის წყაროს წარმოადგენს, ვინაიდან მათი შეფასებით, ეს დოკუმენტი დამსაქმებლებს გაცილებით მომგებიან პირობებს უქმნის, ხოლო დასაქმებულებს ყოველგვარი ბერკეტების გარეშე ტოვებს. შრომის კოდექსში ცვლილებების შეტანა კოალიცია „ქართული ოცნების" ერთადერთი წინასაარჩევნო დაპირება იყო. იუსტიციის სამინისტრომ შესაბამისი ცვლილებები მოამზადა, რომლებიც, მთავრობის თქმით, დასაქმებულებსა და დამსაქმებლებს შორის „დაბალანსებულ" ურთიერთობებს უზრუნველყოფს. ცვლილებები პარლამენტმა პირველი მოსმენით უნდა განიხილოს.

ამერიკის სავაჭრო პალატა საქართველოში, რომელიც 150-ზე მეტ მსხვილ, საშუალო და მცირე კომპანიას აერთიანებს, თავის განცხადებაში მიესალმა ბიზნესასოციაციებთან მთავრობის ჩართულობას პროექტის შემუშავების პროცესში. იგი ასევე მიესალმა ინიციატივას, რომ შეიქმნას „დაბალანსებული და სამართლიანი" შრომის კოდექსი, ასევე შემოთავაზებებს, რომ გამოირიცხოს ნებისმიერი სახის დისკრიმინაცია, გაძლიერდეს მექანიზმები, რათა დასაქმებულს ხელი მიუწვდებოდეს სამსახურის პირობების შესახებ ინფორმაციაზე, უფრო ნათელი გახდეს ზეგანაკვეთური ანაზღაურების წესები, გაძლიერდეს კანონი არასრულწლოვანთა დასაქმების, დასაქმებულთა უსაფრთხოების კუთხით, ასევე იმ ღონისძიებებს, რომლებიც უზრუნველყოფს პასუხისმგებლიან და გამჭვირვალე შრომით ურთიერთობებს დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის.

ცვლილებების პროექტის თანახმად, დამსაქმებელი ვალდებულია კონტრაქტი გააფორმოს ნებისმიერ შრომით ურთიერთობაზე, რომელიც სამ თვეზე მეტხანს გრძელდება.

კანონპროექტის თანახმად, განსაზღვრული ვადის მქონე კონტრაქტების დადება მხოლოდ იმ რამდენიმე შემთხვევაშია შესაძლებელი, როცა სამსახური დაკავშირებულია კონკრეტული სამუშაოს შესრულებასთან, სეზონურ სამუშაოსთან, სამსახურში დროებით არმყოფი თანამშრომლის ჩანაცვლებასთან; ასევე სამუშაო ძალის დროებითი გაზრდის და სხვა ობიექტური გარემოებების არსებობასთან. სხვა შემთხვევებში, დამსაქმებლები ვალდებულნი იქნებიან უვადო ხელშეკრულებები გააფორმონ.

ამერიკის სავაჭრო პალატამ გაიზიარა, რომ კანონპროექტის ის დებულება, რომელიც ავალდებულებს კომპანიებს შრომითი ხელშეკრულება გააფორმონ 3 თვეზე მეტი ხანგრძლივობის შრომითი ურთიერთობისას, „არარეალურია".

„მცირე და საშუალო კომპანიებს დააწვებათ დიდი ადმინისტრაციული და ფინანსური ხარჯი იმისთვის, რომ ხელშეკრულება გაუფორმონ ყველა დასაქმებულს, ვისაც 3 თვეზე მეტი ვადით აიყვანენ სამუშაოდ", – განაცხადა ამერიკის სავაჭრო პალატამ, – ერთწლიანი შრომითი ხელშეკრულებები ზოგად პრაქტიკას წარმოადგენს მსოფლიოში, ასე რომ, მუდმივი ხელშეკრულებების სისტემაზე გადასვლა იქნება რადიკალური გადახვევა გავრცელებული ბიზნეს პრაქტიკიდან და საზიანო იქნება საქართველოს ეკონომიკისთვის. მარტივად რომ ვთქვათ, უმუშევრობა გაიზრდება, რაც უკანასკნელია, რაც რომელიმე ჩვენგანს სურს".

ამერიკის სავაჭრო პალატამ განაცხადა, რომ კომპანიებს უნდა შეეძლოთ ერთწლიანი კონტრაქტების გაფორმება დასაქმებულებთან და აღნიშნა, რომ ეს ხელს შეუწყობს სტაბილურ დასაქმებას ერთი მხრივ და უკეთეს ფინანსურ და ადმინისტრაციულ დაგეგმვას კომპანიებისთვის მეორე მხრივ.

თავის განცხადებაში საერთაშორისო სავაჭრო პალატამ, რომელიც ქვეყანაში მოქმედ ასზე მეტ მცირე, საშუალო და მსხვილ ბიზნეს ორგანიზაციას აერთიანებს, ასევე გააფრთხილა კანონპროექტის ამ პუნქტის შესახებ და აღნიშნა 15 აპრილს გავრცელებულ განცხადებაში, რომ უვადო ხელშეკრულებების ვალდებულება „მნიშვნელოვან ზეგავლენას მოახდენს კონკურენციასა და კარიერული განვითარების შესაძლებლობებზე და ხელს შეუწყობს არაოფიციალურ დასაქმებას".

შემოთავაზებული პროექტის თანახმად, დასაქმებულის მიერ შესრულებული სამუშაო დრო კვირაში 40 საათს არ უნდა აღემატებოდეს; ზეგანაკვეთურ სამუშაოდ მიიჩნევა დასაქმებულის მიერ ამ საათობრივი ლიმიტის ზევით შესრულებული სამუშაო, რომელიც ანაზღაურდება ხელფასის საათობრივი განაკვეთის გაზრდილი ოდენობით. ამასთან, პროექტის თანახმად, ანაზღაურების ოდენობა განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით, რომელთაც ასევე ექნებათ უფლება შეთანხმდნენ ანაზღაურების ნაცვლად დამატებითი დასვენების დროის მიცემაზე.

ამერიკის სავაჭრო პალატა აცხადებს, რომ კანონპროექტი არ ითვალისწინებს ცვლებში მუშაობის წესს და მოქნილ სამუშაო გრაფიკს.

„ზოგიერთი სპეციფიკური სამუშაო (დაცვის სამსახური, სამედიცინო დაწესებულებები, საწარმოები, საჰაერო კონტროლი და ა.შ.) მოითხოვს მოქნილ სამუშაო დროს კვირის განმავლობაში. ზოგიერთ სამუშაოზე ერთი კვირა შესაძლებელია სამუშაო დრო 40 საათზე მეტიც იყოს, ხოლო შემდეგი კვირა 40 საათზე ნაკლები. ზოგიერთ კომპანიას აქვს 2 კვირა სამუშაო და შემდეგი ორი კვირა დასვენება და დასაქმებულებისთვის ასეთი გრაფიკი მისაღები და სასურველია. კანონმდებლობით შესაძლებელი უნდა იყოს, რომ მხარეთა შეთანხმებით კვირის სამუშაო დრო განისაზღვროს 40 საათზე მეტით და ეს კომპენსირდებოდეს შესაბამისი დასვენების დროით", – აცხადებს ამერიკის სავაჭრო პალატა.

ორგანიზაციამ გააფრთხილა, რომ ამ საკითხისადმი არამოქნილი მიდგომა ისეთ ვითარებას გამოიწვევს, სადაც დამსაქმებლებს მოუწევთ დასაქმებულებისთვის ან ხელფასის იმ რაოდენობით შემცირება, რომ ანაზღაურდეს მათთვის ზეგანაკვეთურად გადასახადი თანხა, ან მათი სამუშაო საათების შემცირება.

„გაიზრდება რისკი გაუფორმებელი და, შესაბამისად, დაუბეგრავი დასაქმებულების არსებობისა. თუ გავითვალისწინებთ, რომ საშემოსავლო გადასახადი ერთ-ერთი უმთავრესი შემოსავალია ქვეყნის ბიუჯეტში (საშემოსავლო გადასახადებიდან შემოსავლები 2013 წლის ბიუჯეტში 1.81 მილიარდი ლარით განისაზღვრა), ასეთი რისკი ფრთხილად უნდა შეფასდეს პარლამენტის და გადასახადის მომგროვებელი ორგანოს მიერ", – განაცხადა ამერიკის სავაჭრო პალატამ.

ამერიკის სავაჭრო პალატამ ასევე გამოხატა შეშფოთება იმასთან დაკავშირებით, რომ კომპანიებს არ ექნებათ უფლება შრომით ხელშეკრულებაში ჩადონ ურთიერთშეთანხმებული პირობა, რომელიც აუკრძალავს დასაქმებულს გამოიყენოს შრომითი ურთიერთობებისას მიღებული კონფიდენციალური ცოდნა და ინფორმაცია სამუშაოს დატოვებიდან გარკვეული დროის განმავლობაში და ასევე მის მიწოდებას კონკურენტი დამსაქმებლისთვის.

რა პრობლემები ექმნებათ აჭარელ ეკომიგრანტებს

გულიკო ბალაძე

ეკომიგრანტთა უფლებების დაცვის ორგანიზაციის ხელმძღვანელი სიმონ შარაძე აღნიშნავს, რომ იმ დროს ჯერ კიდევ საბჭოთა ხელისუფლება იყო. საბჭოთა ხელისუფლების წლებში ასეთი საშიში ზონები საქართველოში და განსაკუთრებით აჭარაში ბევრი იყო. ამიტომ მაშინდელმა მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება, საქართველოს უხვმიწიან რეგიონებში ჩასახლებულიყვნენ ეკოლოგიური საფრთხის ქვეშ მყოფი ოჯახები. ასეთი კი ძალიან ბევრი იყო, რომელიც საჭიროებდა განსახლებას. განსახლების ადგილებად შერჩეულ იქნა ქვემო ქართლის, შიდა ქართლის, კახეთისა და გურიის რეგიონები, ასევე მესხეთ-ჯავახეთი, სადაც ძალიან დიდი რაოდენობით იქნენ ჩასახლებული. შედგა სახელმწიფო მშენებლობის პროგრამა. შენდებოდა ორსართულიანი ოდა-სახლები, რომლებშიც უნდა ეცხოვრათ ეკომიგრანტ ოჯახებს. ბევრი რამ გაკეთდა, მაგრამ შემდეგ ე.წ. გარდაქმნის პერიოდში მოხდა ამ პროცესის შენელება, თუმცა, მას შემდეგ, რაც მოქალაქეთა კავშირი მოვიდა ხელისუფლებაში, ვითომ მივაღწიეთ რა დამოუკიდებლობას, ყველაფერი ჩაიშალა. ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებისაგან განსხვავებით, ჩვენ მასობრივად დავიწყეთ სოციალისტური სახელმწიფოს ნგრევა და ყველა გადაწყვეტილებაზე, რაც მიღებული იყო საბჭოთა პერიოდში, უარი ვთქვით და მასობრივად დავიწყეთ ქვეყნის სახალხო მეურნეობის ნგრევა, რამაც უარყოფითად იმოქმედა ეკომიგრანტთა ბედზეც.

ახლა პრობლემებია, კერძოდ, წალკის რაიონში, რადგან ეკომიგრანტი ოჯახები ხელისუფლებისაგან მიწებს ითხოვენ, რომლის დიდი ნაწილი, როგორც სიმონ შარაძე აცხადებს, თბილისელ ბობოლებზე, მიმდებარე რაიონების ბობოლებზე, სომხებსა და ბერძნებზეა გაფორმებული, ეკომიგრანტ აჭარლებს კი მიწისა და სათიბის დიდ ფასად ქირაობა უწევთ.

როგორც სიმონ შარაძე აცხადებს, ეკომიგრანტები განაწყენებული არიან იმის გამო, რომ „ქართული ოცნების" თანხმობით, წალკაში გამგებლად დაინიშნა ყოფილი უშიშროების განყოფილების ხელმძღვანელი, რომელიც მათ ავტომატით დასდევდა ანუ ნაციონალების კადრი, ხოლო „ოცნების" პარტიის ხელმძღვანელად – ყოფილი გამგებელი.

– ბატონო სიმონ, ეკომიგრანტებთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებები და დადგენილებები გაუქმებულია?

– ოფიციალურად გაუქმებული არ არის, მაგრამ აღარ მოქმედებს. ეკომიგრანტთა საცხოვრებელი სახლების მშენებლობები სახელმწიფო მშენებლობის გეგმიდან ამოვარდა. ძალიან ბევრი სახლი გადახურვამდე იყო მისული, მაგრამ მშენებლობა შეჩერდა და დღესაც ისეთ მდგომარეობაშია, როგორც მაშინ.

– სად არის ასეთი მშენებარე სახლები?

– ქვემო ქართლის ბევრ რაიონში, კახეთში. ზოგიერთმა ეკომიგრანტმა თვითონ დაამთავრა სახლი და შევიდა საცხოვრებლად, მაგრამ სხვაგან ასეთი მშენებლობები აღარ დაწყებულა. 90-იან წლებში საქართველოდან ბერძენი და დუხაბორი მოსახლეობა წავიდა. ბერძნები სახლობდნენ წალკაში, თეთრიწყაროსა და მანგლისში. მათგან ბევრი წავიდა საბერძნეთში და სახლები დატოვეს. ეს დატოვებული სახლები მიზერულ ფასებში იყიდებოდა. სახელმწიფოს უნდა ეყიდა ეს სახლები და ნაწილი მიგრანტებისა მაინც ჩასახლებინა, თუმცა ამ სახლების მცირე რაოდენობაც კი არ შეისყიდა სახელმწიფომ. 10 ათასზე მეტი ბერძენი და დუხაბორია წასული და შესყიდულ იქნა სულ 300 სახლი. დანარჩენ სახლებში ხალხი თავისით შესახლდა, რომლებსაც შეჰპირდა ჯერ მოქალაქეთა კავშირი, შემდეგ კი ნაცების ხელისუფლება, რომ დაეხმარებოდა სახლების გამოსყიდვაში, მაგრამ დღემდე ეს საკითხი გადაუწყვეტელია.

გაგრძელება მე-7 გვერდზე

„თსუ, ყველა მონაცემის მიხედვით, წამყვანი უნივერსიტეტია"

დასაწყისი მე-4 გვერდზე

სუფლებამ უნდა გაითვალისწინოს არსებული სამართლებრივი დოკუმენტები, ეროვნული და დარგობრივი მიღწევები და საერთაშორისო გამოცდილება. სასურველია, ხშირი შეხვედრები ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ექსპერტებთან. ექსპერტებმა კარგად იციან უმაღლესი განათლების სფეროს მიღწევები, ნაკლოვანებები, მიღწევების გაუმჯობესებისა და ნაკლოვანებების აღმოფხვრის გზები.

– როგორც განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის აკრედიტაციის ექსპერტი, რა შეფასებას გააკეთებდით აგრარული უნივერსიტეტის ავტორიზაციის შესახებ ატეხილ აჟიოტაჟზე?

– მახსენდება 2007 წელი, როდესაც საქართველოს ტექნიკურმა უნივერსიტეტმა ვერ გაიარა ავტორიზაცია, რადგან ავტორიზაციის სტანტარტებს ვერ აკმაყოფილებდა გარკვეული ხარვეზების გამო. მაშინ ეს ფაქტი არ გამხდარა პოლიტიკური განცხადებების საფუძველი. არ მიმაჩნია სწორად ავტორიზაცია-აკრედიტაციის პროცესების პოლიტიზირება, რომელ უმაღლეს დაწესებულებასაც არ უნდა ეხებოდეს იგი.

– თსუ-ში ბოლო პერიოდში ადგილი ჰქონდა რამდენიმე სკანდალს, რა პოზიტივებზე შეიძლება ამჟამად საუბარი, თქვენ უნივერსიტეტის ხარისხზე ზრუნვაც გევალებათ...

– თსუ საქართველოს უპირველესი უნივერსიტეტია და ამიტომ საზოგადოება მუდამ ინტერესით ადევნებს თვალყურს იქ მიმდინარე პროცესებს. აკადემიურ კონკურსებს ხშირად ახლავს კონკურსმიღმა დარჩენილთა უკმაყოფილება. ეს მარტო თსუ–ს პრობლემა არ არის. ასე ხდება ყველგან, სადაც თანამშრომლების კონკურსის საფუძველზე აყვანა ხდება. უნივერსიტეტის საკონკურსო კომისიები ყოველთვის ცდილობენ სამართლიანი და სწორი არჩევნის გაკეთებას. უნივერსიტეტი ცდილობს ჩამოაყალიბოს თანამედროვე საგანმანათლებლო და სამეცნიერო გარემო. თსუ ქართულ აკადემიურ სივრცეში ლიდერი უნივერსიტეტია. აქ არასოდეს რჩება ვაკანსია ეროვნული გამოცდების შემდეგ, რაც საზოგადოების მაღალი ნდობის უდავო გამოხატულებაა. თსუ წელიწადში მხოლოდ ერთხელ აცხადებს გარემობილობას ვაკანსიების არქონის გამო. თსუ-ს სამივე საფეხურის (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა) ყველა საგანმანათლებლო პროგრამას მიღებული აქვს პროგრამული აკრედიტაცია. ჩვენს სტუდენტებს აქვთ საშუალება მონაწილეობა მიიღონ სტუდენტთა გაცვლით პროგრამებში და სწავლა გააგრძელონ მსოფლიოში ცნობილ უნივერსიტეტებში. თსუ ლიდერია, როგორც კვლევითი უნივერსიტეტიც. 2012 წლის სამეცნიერო კონკურსის შედეგებმა ეს ფაქტი კიდევ ერთხელ დაადასტურა. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ გამოყენებითი კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების 2012 წლის შედეგებით: სულ დაფინანსდა 38 პროექტი, აქედან თსუ – 18 პროექტი. პრეზიდენტის სამეცნიერო გრანტებით ახალგაზრდა მეცნიერთთვის სულ დაფინანსდა 77 პროექტი, მათ შორის 30 პროექტი ეკუთვნის თსუ-ს.

ნინო ბურჯანაძე: „არ არსებობს მიზანი, რომელიც ბოსტონში მომხდარ ტერაქტს გაამართლებს"

ნინო ბურჯანაძე და „დემოკრატიული მოძრაობა" ბოსტონში, მარათონის ფინიშის ხაზთან მომხდარი აფეთქებების შედეგად ადამიანების გარდაცვალების გამო ღრმა მწუხარებას გამოთქვამს და ამერიკელ ხალხს თანაგრძნობას უცხადებს.

„განსაკუთრებით მძიმეა ცნობა იმის შესახებ, რომ გარდაცვლილთა და დაშავებულთა შორის აღმოჩნდნენ მცირეწლოვანი ბავშვები. არ არსებობს მიზანი, რომელმაც შეიძლება ბოსტონში განხორციელებული ტერაქტი და მსგავსი ტიპის უსასტიკესი ძალადობა გაამართლოს. სამწუხაროდ ტერორიზმთან ბრძოლა ისევ რჩება თანამედროვე მსოფლიოს ერთ-ერთ პრიორიტეტად. ეს არის „შავი ჭირი", რომელიც ბოლო წლების მანძილზე სულ უფრო და უფრო მეტ უდანაშაულო ადამიანს უსწრაფებს სიცოცხლეს.

მომხდარმა შემაძრწუნებელმა ტრაგედიამ ყველას დაანახა, რომ ტერორისტებს არა აქვთ ეროვნება, რომ ამ უბედურებისაგან არც ერთი ერი და ქვეყანა დაცული არ არის. „დემოკრატიული მოძრაობა" გმობს ნებისმიერი ტიპის ძალადობას, მით უფრო მაშინ, როცა ძალადობა მშვიდობიანი მოსახლეობის და განსაკუთრებით, მცირეწლოვანი ბავშვების წინააღმდეგ ხორციელდება"-ნათქვამია პარტიის განცხადებაში.

ნიუსპრესი

რა უნდა უგულავას ოქრუაშვილისგან

ნათია ხურცილავა

დათა ახალაიას ფეისბუკის გვერდზე გამოქვეყნებულ მიმართვას „ნაციონალური მოძრაობის“ მხრიდან არაერთგვაროვანი შეფასებები მოჰყვა. შეფასებისგან თავი არ შეუკავებია დედაქალაქის მერს.

თბილისის მერის განცხადებით, დათა ახალაიას სახელით გავრცელებული განცხადება თავდაცვის ყოფილი მინისტრის ირაკლი ოქრუაშვილის ბალადას ახსენებს.

უგულავას თქმით, საჭიროა ახალაია ქვეყანაში ჩამოვიდეს ან დაადასტუროს, რომ ეს წერილი ნამდვილად მას ეკუთვნის.

– დადასტურდება თუ არ დადასტურდება, ეს მისი პირადი საქმეა. მე ეს ძალიან მაგონებს ოქრუაშვილის ბალადას, – აცხადებს გიგი უგულავა.

უგულავა ამბობს, რომ წერილში არაფერი ახალი არ წერია, რაც აქამდე გაზეთებსა თუ ტელევიზიით არ თქმულა.

– წერილში ახალი ისეთი არაფერი ეწერა, რაც ამ შვიდი თვის განმავლობაში გაზეთებში ან ტელევიზიებში არ ყოფილა. ამიტომ, შინაარსზე საუბარი ზედმეტად მიმაჩნია, იმდენად აბსურდული რამეა, – ამბობს დედაქალაქის მერი.

აშკარაა, რომ უგულავას გია ხუხაშვილის განცხადება უფრო აშფოთებს, რადგან ის აცხადებს, რომ ხელისუფლება და ახალაიები ორკესტრირებულად მოქმედებენ.

– ჩემთვის უფრო მნიშვნელოვანია გია ხუხაშვილის გუშინდელი გამოსარჩლება, რაც პირდაპირ მიუთითებს იმაზე, რომ რაღაც ორკესტრირებულ მოქმედებას აქვს ადგილი. ეს ერთადერთ რამეზე მიუთითებს, რომ ისე ეშინია ამ ხელისუფლებას 19 აპრილის აქციის, რომ ცოტა, მე მგონი, ეპარებათ კიდეც. რაც შეეხება ახალაიას, მან ან უნდა დაადასტუროს, ან უნდა ჩამოვიდეს. რაც უნდა ის მოუყოლია, ეს მისი საქმეა, მაგრამ გავმეორდები, რომ ეს ყველაფერი ძალიან ჰგავს ოქრუაშვილის ეპოპეას, – ამბობს გიგი უგულავა.

გიგი უგულავა გამძლეობაზე საუბრობს და ის არ გამორიცხავს, რომ ბევრს შეიძლება ნერვებმა უმტყუნოს. თუმცა, უგულავა აქვე საუბრობს ახალაიას თანამშრომლების 80 პროცენტზე, რომლებიც ივანიშვილის ხელისუფლებას სამსახურიდან არ გაუყრია და ისევ თავიანთ ადგილებზე მუშაობენ.

– ახალაიას თანამშრომლების 80%, თუ მეტი არა, ისევ იმ ადგილებზეა და ახლა უკვე ნამდვილად, პოლიტიკური ოპონენტების დევნით არიან დაკავებული. ასე რომ, იმ ბრძოლაში, რომელშიც ახლა ჩვენ ვიმყოფებით, შეიძლება ბევრს ნერვებმა უმტყუნოს, ბევრი რაღაც გარიგებაშიც შეიძლება შევიდეს. ძალიან დასანანია, თუ დადასტურდა, რომ ეს ასე იქნება, მაგრამ ცხადია, რომ ეს ყველაფერი 19 აპრილის აქციას უკავშირდება. აქციამდე რამდენიმე დღეა დარჩენილი და შეიძლება, საზოგადოებამ ხუხაშვილის თავში მოხარშული კიდევ ბევრი ავადმყოფობა იხილოს, – განაცხადა გიგი უგულავამ.

უგულავას თქმით, საჭიროა, ახალაია ქვეყანაში ჩამოვიდეს და დაადასტუროს, რომ ეს წერილი ნამდვილად მას ეკუთვნის.

არჩილ გეგეშიძემ ბარაკ ობამას რწმუნებათა სიგელები გადასცა

ნათია ხურცილავა

ამერიკის შეერთებულ შტატებში საქართველოს რიგით მეშვიდე საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი არჩილ გეგეშიძე უკვე შეუდგა მუშაობას.

საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ამერიკის შეერთებულ შტატებში არჩილ გეგეშიძემ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს ბარაკ ობამას რწმუნებათა სიგელები უკვე გადასცა.

– ბატონო ელჩო, საქართველოსთან ორმხრივი ურთიერთობების გაღრმავება ჩვენთვის ძალზე მნიშვნელოვანია და ამ მიზნით მე ველი თქვენთან თანამშრომლობას, – განაცხადა ცერემონიაზე ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ.

– ბატონო პრეზიდენტო, ჩემთვის დიდი პატივია ამერიკის შეერთებულ შტატებში საქართველოს წარმოვადგენდე. საქართველო ყოველთვის მადლიერი იყო ამერიკელი ხალხისადმი, ჩვენი ქვეყნისადმი გამოჩენილი სულგრძელობისათვის. ის, რომ საქართველო, როგორც დემოკრატიული და თავისუფალი ქვეყანა დღეს არსებობს, მნიშვნელოვანწილად ამერიკელი ხალხის თანადგომისა და თქვენი მთავრობის ძალისხმევის შედეგია და ამისათვის ჩვენ მადლიერნი ვართ, – ასეთი ტექსტით მიმართა გეგეშიძემ რწმუნებათა სიგელების გადაცემისას ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს.

რწმუნებათა სიგელების გადაცემის ცერემონიალის შემდეგ არჩილ გეგეშიძემ, როგორც მან ქართველ ჟურნალისტებს განუცხადა, პირველი დავალება საგარეო საქმეთა სამინისტროდან უკვე მიიღო.

საგარეო უწყებიდან პირველი დავალება ახალი ელჩისთვის ამერიკის შეერთებულ შტატებში პრემიერ-მინისტრის ბიძინა ივანიშვილის ვიზიტის მომზადება იქნება.

ამერიკის შეერთებულ შტატებში პრემიერ-მინისტრის ვიზიტს არსებული პოლიტიკური რეალობის გათვალისწინებით, როგორც ექსპერტები აცხადებენ, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს.

იქნება თუ არა ეს ვიზიტი წარმატებული? ეს დიდწილად ამ ვიზიტის მომზადებაზე და ჩანიშნული შეხვედრების დონეზეც იქნება დამოკიდებული, რაც ელჩის პირდაპირი მოვალეობაა.

ნანუაშვილი ლაფანყურის ოპერაციის გამოძიებას ითხოვს

ნათია ხურცილავა

სახალხო დამცველი უჩა ნანუაშვილი დათა ახალაიას განცხადებას ეხმაურება, რომელიც „ფეისბუქით“ გავრცელდა.

აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით სახალხო დამცველმა უკვე მისცა პარლამენტს რეკომენდაცია, რომ საპარლამენტო კომისია შეიქმნას, რომელიც შეისწავლის დათა ახალაიას მიერ გაჟღერებულ ფაქტებს, რომელზეც „ფეისბუქის“ გვერდზეა საუბარი. დაადასტურებს თუ არა დათა ახალაია, „ფეისბუქის“ გვერდზე გამოქვეყნებული წერილის ავტორი თავად არის თუ არა, ამაზე საუბარი უჭირს უჩა ნანუაშვილს.

უჩა ნანუაშვილის თქმით, მას უჭირს განცხადების დეტალებზეც საუბარი:

– მე გამიჭირდება, რა თქმა უნდა, ამ დეტალებზე საუბარი, მაგრამ ფაქტია ის, რა რეკომენდაციაც მივეცით პარლამენტს, რომ მოხდეს ამ საქმის გამოძიება, შეიქმნას კომისია, ჩვენ კიდევ უფრო მეტი არგუმენტები გვაქვს ამისთვის და ჩვენი კითხვები, რა თქმა უნდა, კიდევ უფრო მეტ დამაჯერებლობას იძენს, რომ საჭიროა ამ გამოძიების ჩატარება, – განუცხადა ნანუაშვილმა პრესას.

რაც შეეხება ლაფანყურის სპეცოპერაციაში ვანო მერაბიშვილის შესაძლო მონაწილეობას, სახალხო დამცველი აცხადებს, რომ ამის შესახებ არ იცის და ვერაფერს ვერ იტყვის.

– მე არ ვიცი, მე საუბარი მაქვს იმაზე, რომ არის სერიოზული კითხვის ნიშნები, არის დარღვევის ფაქტები. ადამიანები არიან გარდაცვლილი და ოჯახის წევრებს არ მიუღიათ არანაირი პასუხი მიზეზების შესახებ, თუ როგორ და რა გარემოებებში მოხდა ამ ადამიანების გარდაცვალება. ამიტომ არის მნიშვნელოვანი, რომ ჩატარდეს გამოძიება და გამოძიებამ უნდა გასცეს ყველა კითხვას პასუხი, – განაცხადა ნანუაშვილმა.

სახალხო დამცველი ასევე აცხადებს, რომ ვერაფერს იტყვის იაღლუჯაზე ჯარისკაცების მიმართ განხორციელებული ძალადობისა და არაადამიანური მოპყრობის საქმეში ვანო მერაბიშვილის მონაწილეობაზე.

როგორც ცნობილია, დათა ახალაია ციხის კადრების შექმნას, არჩევნებში დამარცხებასა და ბაჩო ახალაიას წინააღმდეგ ლაფანყურის ოპერაციის დაგეგმვას ვანო მერაბიშვილს უკავშირებს.

სახალხო დამცველის 2012 წლის საპარლამენტო ანგარიშში უჩა ნანუაშვილი ცალკე თავს უთმობს ლოპოტას ხეობაში განვითარებულ მოვლენებს და ლაფანყურის სპეცოპერაციას და ამ ფაქტის გამოძიების რეკომედაციით მიმართავს ხელისუფლებას.

განცხადება

2013 წლის 6 ივნისს 12 საათზე, მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში (მისამართი: ქ. მცხეთა, ანტიოქიის ქ. №7) გაიმართება ლუდსახარში „ნატახტარი“-ს ფუნქციონირების პროცესში წარმოქმნილი ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა.

საქმიანობის მიზანია ლუდსახარში „ნატახტარი“-ს ფუნქციონირების პროცესში წარმოქმნილი ჩამდინარე წყლების გაწმენდა.

საზოგადოებრიობის წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართებზე:

- ლუდსახარში „ნატახტარი“-ს ადმინისტრაციულ შენობაში – მცხეთის მუნიციპალიტეტი, სოფ ნატახტარი;
- მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში – ქ. მცხეთა, ანტიოქიის ქ. №7
- შპს „გამა კონსალტინგი“-ს ოფისში – ქ. თბილისი, გურამიშვილის გამზირი №17ბ. ტელ. 2 60 15 27;

დაინტერესებული მხარეებისაგან შენიშვნების და წინადადებების მიღების ვადაა 2013 წლის 31 მაისი.

ლუდსახარში „ნატახტარი“-ს ადმინისტრაცია

რა პრობლემები ექმნებათ აჭარელ ეკომიგრანტებს

დასაწყისი მე-6 გვერდზე

– ხომ არ იცით, რამდენი სახლია შესასყიდი და რას წარმოადგენს მისი ღირებულება?

– 1995-2003 წლებში ერთი სახლის ღირებულება შეადგენდა 3-5 ათას დოლარამდე. ამ რაოდენობის თანხას ითხოვდნენ იმ სახლების პატრონები. ეს მაქსიმალური ფასი იყო. შემდეგ ისე მოხდა, რომ ვინც სახლებში შესახლდა, ნაწილობრივ თვითონ გადაუხადა. სახელმწიფო შეჰპირდა, მაგრამ არ გადაუხადა, რადგან აჭარლების ჩასახლება ამ რაიონებში ხელისუფლებაში მყოფ ძალას არ აწყობდათ. ცოტა სხვანაირად გამოდის, მაგრამ აჭარელი გლეხი დიდი შრომისმოყვარეობით გამოირჩევა, მიწა უყვარს. ოღონდ მიწა მიეცი და ის ყველაფერს წალკოტად აქცევს. იმის გამო, რომ ეკომიგრანტებს უნდა მისცემოდათ სახლები და მიწა, ეს არ აწყობდა როგორც მოქკავშირის, ისე ნაცების ხელისუფლებას.

– რატომ არ აწყობდათ?

– არ აწყობდათ იმის გამო, რომ ეკომიგრანტი მიწის მეპატრონე ხდებოდა. მიწის კანონი რომ მივიღეთ, ამ მიწების 99% გადავიდა ბობოლების ხელში. ისინი მიწებს მუქთად დაეპატრონენ. კაპიკებში აქვთ აღებული ასეულობით ჰექტარი. ამის ხელიდან გაშვება მათ აღარ აწყობდათ. ამიტომ მოქკავშირისა და ნაცების ხელისუფლებებმა ყველაფერი გააკეთეს იმისათვის, რომ აჭარელი ოჯახები ხსენებულ ტერიტორიებზე ვერ დამკვიდრებულიყვნენ. სწორედ ამიტომ 1997-98 წლებში და განსაკუთრებით 2003-2004 წლებში ბევრი ოჯახი დაბრუნდა აჭარაში ახალქალაქიდანაც და წალკიდანაც. გამუდმებით ემუქრებოდნენ ავტომატით. ახლა წალკაში გამგებლად ვინც დანიშნეს, ის იმ დროს უშიშროების უფროსი იყო ამ რაიონში, ავტომატით დასდევდა და კონფლიქტს აღვივებდა ბერძნებს, სომხებსა და აჭარლებს შორის. სწორედ მაშინ ძალიან დიდი შეჯახებები მოხდა ამ რაიონებში და რამდენიმე ადამიანი დაიჭრა კიდეც. მერე ისინი შეარიგეს. მახსოვს, მაშინ კანცელარიაში ვმუშაობდი და იქ ჩასვლაც მომიწია.

– რომელ წლებში მოხდა შეტაკებები?

– 2003-2004 წლებში. ბოლოს იმ დონემდე მივიდა საქმე, რომ შეარიგეს. ხელისუფლება დაჰპირდა, რომ დაეხმარებოდა, სინამდვილეში არაფერში დაეხმარა, სახლებიც არ შეისყიდეს. რაც შეეხება მიწებს, პრეზიდენტის განკარგულება გამოვიდა (ესეც, ალბათ, ხალხის მოტყუებისთვის), რომ თითოეულ ოჯახს ხუთი ჰექტარი მიწა უნდა მისცემოდა. 1 ჰექტარი, ჰექტარ-ნახევარი სახნავი, დანარჩენი – სათიბი, რადგან ეს არის მეკარტოფილეობისა და მეცხოველეობის ზონა. აჭარლები მეცხოველეობას მისდევენ, მაგრამ, იმის გამო, რომ სათიბი ტერიტორიები არ აქვთ, ეკომიგრანტი ოჯახები იძულებული გახდნენ, მიწები სხვებისაგან ქირით აეღოთ. გადასახადი იმდენად დიდია, რომ გლეხს მიზერული რაოდენობის თივაც არ რჩება. ამან გამოიწვია წინააღმდეგობა და უკმაყოფილება. ახლანდელ არჩევნებში მე ძირითადად ამ რაიონში ვმუშაობდი. ეკომიგრანტთა გამგეობა თითოეულ სოფელში შევიდა. ყველას მოვუწოდეთ, მხარი დაეჭირათ. მართლაც, აჭარელთა 90%-მა მხარი დაუჭირა „ქართული ოცნების“ წარმომადგენელს, მაგრამ, ვინაიდან დეპუტატობის კანდიდატი სომეხი ჰყავდათ (ამ რაიონში დაახლოებით მოსახლეობის ნახევარი სომხებია), თვითონ სომხების 3%-მა არ მისცა ხმა. არ ვიცი, რა მოლაპარაკება იყო, მაგრამ გაიმარჯვა ნაცების წარმომადგენელმა. ამიტომ შემდეგ, როცა საქმე მიდგა რაიონში გამგებლისა და პარტიის ლიდერის არჩევაზე, ორივე პიროვნება დაინიშნა ნაცებიდან. გამგებლად დაინიშნა ყოფილი უშიშროების უფროსი, ხოლო პარტიის ხელმძღვანელად დაინიშნა პიროვნება, რომელიც ნაცების დროს გამგებლად მუშაობდა. ამ ყველაფერმა გამოიწვია წალკის მოსახლეობის უკმაყოფილება. დელეგაცია 20 ავტობუსით ჩამოვიდა კანცელარიასთან. ჩვენი ჩარევით, ისინი იქაურობას მოვაშორეთ, გადავიყვანეთ „ქართული ოცნების“ ოფისის წინ. შემდეგ ეს ხალხი დაპირებით გავუშვით უკან. მიეცათ ვადა, რომ საკითხი 3 დღეში უნდა გადაწყვეტილიყო, მაგრამ ახალმა ხელისუფლებამ ისინი მაინც დანიშნა.

– იმის შემდეგ დანიშნეს ნაციონალების წარმომადგენლები, რაც ამ ხალხმა პროტესტი გამოთქვა?

– დიახ, შეჰპირდნენ, რომ ისინი იქ არ დაინიშნებოდნენ, მაგრამ გამგებლად და ოცნების პარტიის ხელმძღვანელად მაინც ის პირები დანიშნეს, რომლებზეც მოგახსენეთ.

– გამგებელს ხომ პრეზიდენტი ნიშნავს?

– პრეზიდენტი აქ არ ჩარეულა. გამგებელი წარადგინა ოცნებამ და დაამტკიცა საკრებულომ.

– საკრებულო ხომ ნაციონალებისაა?

– საკრებულო ნაციონალებისაა, მაგრამ ამ მომენტისთვის ოცნებისა და ნაცების დეპუტატების რაოდენობა დაახლოებით თანაბარი იყო, თუმცა ოცნების დეპუტატები არ დაასწრეს და აარჩევინეს თავიანთი კანდიდატი ოცნების მხარდაჭერით, რადგან მხარს უჭერდა ოცნების შტაბი.

– რატომ უნდა სდომებოდა ოცნებას ნაციონალების კანდიდატის დანიშვნა?

– იმიტომ უნდოდა, რომ იქ ვითარება რთულია. ამ რაიონში ქონების 90-95% ნაცების ხელშია. სწორედ იმის გამო, რომ ეს ქონება არ დაკარგონ, მის შესანარჩუნებლად ნაცებმა ყველაფერი გააკეთეს.

– „ქართული ოცნება“ რატომ იყო დაინტერესებული, რომ ნაციონალებს ქონება არ დაეკარგათ?

– ალბათ, ვიღაც-ვიღაცები დააინტერესეს. ახლა მე ამის გაშიფვრა ბოლომდე არ შემიძლია.

– ვერ გავიგე?

– ნაციონალების ხელში იყო ეს ქონება. იქ რომ მისულიყო არანაციონალი გამგებლად, იქ არსებული ქონების მეპატრონეების ინტერესები ილახებოდა, რადგან მათ უნდა ჩამორთმეოდათ მიწები, მათ უნდა ჩამორთმეოდათ არასწორად გაფორმებული ქონება. დიდი წყალსაცავია იქ, სადაც მეთევზეობაა განვითარებული და ხალხს ეს ერთ-ერთი შემოსავალიც ერთმეოდა.

– ასეული ჰექტრობით მიწები უკანონოდ თუ აქვთ გადაცემული, ეს ხომ გამოძიების საგანია?

– უკანონოდ აქვთ გადაცემული, რა თქმა უნდა. ხომ იცით, როგორი დრო იყო სააკაშვილის მმართველობისას? მიზერულ ფასებში, კაპიკებში გაუფორმეს ასეულობით ჰექტარი გარკვეულ პირებს. მათზე მიწები დარჩა გაფორმებული და მისი დაკარგვა აღარ აწყობთ.

– მიწები სომხებსა და ბერძნებზეა გაფორმებული?

– არა. სამწუხაროდ, მიწები არა მარტო სომხებსა და ბერძნებზეა გაფორმებული, არამედ უმეტესად თბილისელ ან ქვემო ქართლის სხვა რაიონებიდან ჩასულ ბობოლებზე, რომლებიც იქ არ ცხოვრობენ, მაგრამ მიწებს ფლობენ.

– მაშინ ეს საკითხი პროკურატურამ უნდა გამოიძიოს და უკანონოდ მიტაცებული მიწები ჩამოართვას ნაციონალებსა და მათ ბობოლებს.

– რა თქმა უნდა, პროკურატურის ინტერესის საგანია, მაგრამ, სანამ არ შეიცვლება ვითარება მთლიანად ქვეყანაში, სანამ ბატონი ბიძინა არ მოვა თავისი ახალი კოალიციით, სანამ „ქართული ოცნება“ თვითონ არ დამკვიდრდება...

– რა ახალი კოალიცია?

– მე მიმაჩნია, რომ დღეს ქვეყნის ყველაზე დიდი სირთულე არის კოალიციის სიჭრელე. ვფიქრობ (სხვებიც ფიქრობენ ასე), ბევრი რამ ამ ქვეყანაში კეთდება ბიძინას ზურგს უკან. შეგნებულად თუ შეუგნებლად, მიზანმიმართულადაც, ეშლება ხელი ბატონ ბიძინას ქვეყნის სახალხო მეურნეობის განვითარებასა და ქართველი ერისთვის საწადელი ცხოვრების მოყვანის საქმეში. ბატონი ბიძინას დაპირებების შესრულებაში ბევრი ხელშემშლელი პირობაა თვითონ კოალიციის შიგნით.

– კონკრეტულად ვინმე შეგიძლიათ დაასახელოთ?

– კონკრეტულად, ეს უკვე ჩანს. კოალიციის ყოველდღიური ქმედებიდან იკვეთება. ავიღოთ პარლამენტში პაექრობა კანონების მიღებაზე, კონსტიტუციაში ცვლილებებზე.

ნიჭიერ კინემატოგრაფისტებს ინოვაციურ პროგრამაში ჩართავენ

ეკა ირემაშვილი

ნიჭიერი კინემატოგრაფისტების მოძიება საქართველოშიც იწყება. ამის ინიციატორი მიკროვეივის მიკროსკოლაა, რომელიც მხარს უჭერს ნიჭიერ კინემატოგრაფისტებს საერთაშორისო მასშტაბით. როგორც სპეციალურად ჟურნალისტებისთვის გამართულ შეხვედრაზე გახდა ცნობილი, სანარმოო სქემის ტრეინინგის ინოვაციური პროგრამა ხორციელდება თბილისში, ექვსი ქართული ჯგუფი შეირჩევა მიკროსქულ ინტერნეშენალის სამდღიანო პროგრამისთვის, რომელიც ჩატარდება სექტემბერში, ხოლო განაცხადების მიღება უკვე დაწყებულია.

– ფილმ ლონდონი აცხადებს ტრეინინგს ქართველი კინემატოგრაფისტებისთვის თბილისში. პროგრამას აფინანსებს დიდი ბრიტანეთის საბჭო. ეს საპილოტე პროგრამა ხორციელდება საქართველოს ეროვნულ კინოცენტრთან და ბათუმის არტ-ჰაუზ ფილმების საერთაშორისო ფესტივალთან პარტნიორობით. მოცემული პროგრამა მოიცავს ინტენსიურ სამდღიან ტრეინინგს კინემატოგრაფისტთა ჯგუფებისთვის და მიზნად ისახავს პროექტების განვითარებას. მიკროსქულ ინტერნეშენალის ბაზა არის ფილმ ლონდონის მიკროვეივს მიკროსქულ. ტრეინინგში მონაწილეობა ხდება შერჩევის საფუძველზე. მიკროსქული შედგება სემინარების, მასტერკლასების და ინდივიდუალური სესიებისგან. ყურადღება გამახვილებულია ცალკეული პროექტების განვითარებაზე და ფილმების შექმნაზე მცირე ბიუჯეტით, – განაცხადა ეროვნული კინოცენტრის წარმომადგენელმა ნინია ახვლედიანმა.

მისივე თქმით, ამ პროექტის მონაწილეები იყვნენ ერან კრივი, რომელმაც ამ პროგრამის წყალობით შექმნა ბაფთას ნომინანტი ფილმი „შიფტი“, ასევე ახლახან რიდლი სკოტი, აღმასრულებელი პროდიუსერი ფილმისა „ველქამ თუ ზი ფანჩ“, ასევე რეჟისორი და სცენარისტი ბენ დრიუ მხატვრული დებიუტით „მანორს“.

– ამ პროექტის ეგიდით ექვსი ქართული ჯგუფი მიიღებს მონაწილეობას სპეციალურ პროგრამაში, რომელიც ჩატარდება სექტემბერში ბათუმის საერთაშორისო კინოფესტივალის მსვლელობისას. მასში მონაწილეობა შეუძლიათ რეჟისორისა და პროდიუსერისაგან შემდგარ ჯგუფებს, რომლებსაც უკვე შექმნილი აქვთ კინემატოგრაფიული პროდუქცია და შეუძლიათ პროგრამაში წარადგინონ მხატვრული ფილმის სცენარის საწყისი ვარიანტი. განაცხადის მიღების საბოლოო ვადაა 24 მაისი და ნებისმიერმა მსურველმა განაცხადი საქართველოს ეროვნულ კინოცენტრში უნდა შეიტანოს, – აღნიშნავს ნინია ახვლედიანი.

როგორც ფილმ ლონდონის და ბრიტანეთის კინოკომისიის მთავარი აღმასრულებელი ედრიან ვუტონი ამბობს:

– მოხარული ვარ, რომ ჩვენი ახალი მოდელი შეგვაქვს ახალ ქვეყნებში. მინდა მადლობა გადავუხადო ბრიტანეთის საბჭოს გაწეული მხარდაჭერისთვის. ამ პროექტის წარმატება ემყარება სქემას, რომელიც მოიცავს ტრეინინგის ელემენტებს, ამაში კი მთავარ როლს თამაშობს პროგრამა მიკროსქულ. პროგრამის მონაწილეებმა დიდი სარგებლობა მიიღეს მისი კარგად აწყობილი სტრუქტურის წყალობით. პროგრამის შინაარსი გამიზნულია პროექტებსა და შერჩეულ მონაწილეებზე. მოხარული ვარ, რომ ამჟამად ეს პროგრამა დამწყებ უცხოელ კინემატოგრაფისტებს შეუწყობს ხელს. მოუთმენლად ველი ამ საპილოტე პროგრამის შედეგებს, პროგრამის მონაწილეთა ფილმებს და პროგრამის განხორციელებას ახალ ტერიტორიებზე.

ეს პროექტი გამიზნულია კინემატოგრაფისტთა ჯგუფებისთვის, რომლებსაც უკვე შექმნილი აქვთ კინემატოგრაფიული პროდუქცია და აქვთ მცირე ბიუჯეტით ფილმის შექმნის პოტენციალი.

– პროგრამა მოიცავს ფილმის შექმნის მთლიან პროცესს, კონცეფციიდან ეკრანზე გასვლამდე, ასევე იმ პრობლემებს, რომელთა გადალახვაც უწევთ კინემატოგრაფისტებს მცირე ბიუჯეტით მუშაობისას. პროგრამა მოიცავს საკითხთა წყებას: ფილმის ღირებულებათა ჯაჭვი, პროექტის განვითარება, პიტჩინგი და შეფუთვა, საავტორო უფლებების დაცვა და გამოყენება და სხვა. პროგრამის გავლის შემდეგ მონაწილეებს ექნებათ კარგად განვითარებული მხატვრული ფილმის პროექტი. ისინი ბევრ რამეს შეიტყობენ კინოინდუსტრიის შესახებ, შეიძენენ მეტ თავდაჯერებულობას და დაამყარებენ კონტაქტებს, რაც დაეხმარება მათ პროექტების განხორციელებაში. პროექტი ასევე ხელს შეუწყობს საწარმოო სექტორის განვითარებას საქართველოში, მხარს დაუჭერს კინემატოგრაფის ბიზნესის კუთხით განვითარებას და კინემატოგრაფისტებს, რომელთაც აქვთ მათი ფილმების მაყურებლის და ბაზრის მკაფიო ხედვა, – აღნიშნავს ეროვნული კინოცენტრის წარმომადგენელი.

ფილმ ლონდონი დიდი ბრიტანეთის დედაქალაქში არსებული კინო და მედია სააგენტოა, რომელიც მიზნად ისახავს ლონდონის კინოსექტორის განვითარებას, რაც, თავის მხრივ, სასარგებლო იქნება დედაქალაქის ეკონომიკისა და მოსახლეობისთვის.

სააგენტო თანამშრომლობს კინოსთან დაკავშირებულ ყველა ინდუსტრიასთან იმ მიზნით, რომ აქციოს ლონდონი საერთაშორისო წარმოებისა და კინოკულტურის დედაქალაქად. ამდენად, სააგენტო ხელს უწყობს ლონდონში მცხოვრებ ახალგაზრდა ნიჭიერ კინემატოგრაფისტებს. ფილმი ლონდონი დააარსეს ლონდონის მერმა და ეროვნულმა ლატარეამ ბრიტანეთის კინოინსტიტუტთან თანამშრომლობით. სააგენტოს მხარს უჭერს ინგლისის ხელოვნების საბჭო და ერთ-ერთი ბრიტანული ორგანიზაცია.

– რაც შეეხება ფილმ ლონდონ მიკროვეივი, ის დაარსდა 5 წლის წინ. ეს არის ცნობილი სქემა, რომელიც მოიცავს მცირებიუჯეტიან მხატვრულ ფილმებს. ეს სქემა შეადგინეს ფილმ ლონდონმა და ბიბისი ფილმსმა. ამ პროექტის მიზანია ლონდონის ნიჭიერი კინემატოგრაფისტების აღმოჩენა და მხარდაჭერა. იგი მხარს უჭერს ნიჭიერ ჯგუფებს, რომლებსაც აქვთ ახალი და საინტერესო ისტორიები. სწავლების სქემის მიზანია მხარი დაუჭიროს კინემატოგრაფისტებს, რომლებსაც აქვთ ორიგინალური იდეები, კარგად ჩამოყალიბებული სცენარები და მოკლევადიანი საწარმოო განრიგი. კინემატოგრაფისტებს სთავაზობენ ინტენსიურ ტრეინინგ-პროგრამას სცენარის განვითარებიდან ფილმის ეკრანებზე გამოსვლის ჩათვლით როგორც დიდ ბრიტანეთში ასევე სხვა ქვეყნებშიც, – განმარტავს ნინია ახვლედიანი.

ბრიტანეთის საბჭო გაერთიანებული სამეფოს წამყვანი საერთაშორისო ორგანიზაციაა საგანმანათლებლო და კულტურული პროგრამების სფეროში, რომელიც ამჟამად ფუნქციონირებს 110 ქვეყნის 216 ქალაქში მსოფლიოს მასშტაბით. მისი შტაბბინა მდებარეობს ლონდონსა და მანჩესტერში, ასევე აქვს ოფისები ჩრდილოეთ ირლანდიაში, შოტლანდიასა და უელსში. ის ამყარებს კავშირებს დიდი ბრიტანეთის კინემატოგრაფისტებსა და საერთაშორისო აუდიტორიას შორის. ბრიტანეთის საბჭოს გლობალურ ქსელთან თანამშრომლობით, წარმოაჩენს ბრიტანული ფილმების ინოვაციას, მრავალფეროვნებას, კრეატიულობას და მნიშვნელოვნებას მთელ მსოფლიოში, ასევე ეძებს შესაძლებლობებს ბრიტანელ კინემატოგრაფისტებსა და უცხოელ კოლეგებს შორის შემოქმედებითი გაცვლა-გამოცვლისთვის.

– ბრიტანეთის საბჭო საქართველოში ფუნქციონირებს 1993 წლიდან. მისი საქმიანობა მოიცავს ხელოვნებას, განათლებას, ინგლისური ენის სწავლებას და სასერტიფიკატო გამოცდებს, ქართველი და ბრიტანელი პროფესიონალების და აუდიტორიის დაახლოვებას და სხვა საქმიანობას, – ამბობს ეროვნული კინოცენტრის წარმომადგენელი.

თავის მხრივ, საქართველოს ეროვნული კინოცენტრი საჯარო სამართლის იურიდიული პირია საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაში, რომლის მიზანსაც წარმოადგენს ქართული კინოინდუსტრიის სახელმწიფო მხარდაჭერის კოორდინირება შემდეგ დონეებზე: პროექტების განვითარება, ფილმების წარმოება, ფრომოუშენი და საერთაშორისო თანამშრომლობა. ეროვნული კინოცენტრი ასევე მოიცავს ადგილობრივ კინოკომისიას, რომლის მიზანია საქართველოს, როგორც კინოწარმოებისთვის მიმზიდველი ქვეყნის წარმოჩენა.

– ეროვნული კინოცენტრის მიზნებია ქართული კინოსექტორის განვითარების სტრატეგიული კურსის განსაზღვრა, ადგილობრივი კინოწარმოების – ეროვნული ფილმებისა და კოპროდუქციის მხარდაჭერა, უწყვეტი კინოგანათლების მხარდაჭერა, საერთაშორისო ბიზნეს-კონტაქტების დამყარება და პროფესიული თანამშრომლობის გაღრმავება, ქართული კინომემკვიდრეობის დაცვისკენ მიმართული პროექტების ხელშეწყობა, ადგილობრივი კინოფესტივალების და კინოსთან დაკავშირებული სხვა ღონისძიებების მხარდაჭერა, ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე ფილმების ექსპორტის სტრატეგიის განვითარება. პროექტი ხორციელდება ბათუმის საერთაშორისო კინოფესტივალთან ერთად. არტ-ჰაუზ ფილმების ბათუმის საერთაშორისო კინოფესტივალი 6 წლისაა. მისი დამაარსებელი და ორგანიზატორია ბათუმის ხელოვნების სახლი „არგანი“. ის არის ყოველწლიური ღონისძიება, რომელიც ტარდება სექტემბრის მეორე ნახევარში ბათუმში. ფესტივალის ყურადღების ცენტრშია არტ-ჰაუზ ფილმები. ბათუმის კინოფესტივალის მთავარი სექციებია საერთაშორისო კონკურსი (მხატვრული, დოკუმენტური და მოკლემეტრაჟიანი ფილმები), აბრეშუმის გზა, ცნობილი რეჟისორების ნამუშევრების რეტროსპექტივები, ჟიურისთან შეხვედრა. გარდა ფილმების ჩვენებისა, ფესტივალი მოიცავს სემინარებს, მასტერ-კლასებს და ინდუსტრიულ ღონისძიებებს. ბათუმის ფესტივალის საპატიო სტუმრები გასულ წლებში იყვნენ ბელა ტარი, ნური ბილგე ჯეილანი, ზბიგნევ რიბჩინსკი, კრისტოფ ზანუსი, ჯოს სტელინგი, აბას კიაროსტამი, დარიუშ მეჰრჯუი, ოთარ იოსელიანი და კინოსამყაროს სხვა ცნობილი წარმომადგენლები.

განცხადება

სს „სურინჯის“ დირექტორატი იწვევს სს-ის აქციონერებს მორიგ საერთო კრებაზე, რომელიც გაიმართება 2013 წლის 10 მაისს, თბილისში, აბუსერიძეტბელის №15-ში, 14 საათზე.

დღის წესრიგი:

1. 2012 წლის ანგარიშის წარმოდგენა დირექტორისა და სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიშთან ერთად;
2. დირექტორის ანგარიშის დამტკიცება;
3. სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიშის დამტკიცება.

დირექტორი გ.მამაცაშვილი

ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

თუ გსურთ, მიიღოთ მონაწილეობა მიმდინარე სამუშაოების განხორციელებაში, დარეკეთ ყველა მობილური ოპერატორიდან და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ნომერზე: 0-901-900-900.

ზარის ღირებულება - 1 ლარი.

იცხოვრეთ მომავალისთვის.
უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.



საბანკო რეკვიზიტები:
ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი
ბ/კ: LBRTGE22
ანგ. N GE28LB 0122 1802 48686 000

თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი იღუმენია ანა (მუსელიანი)

განცხადებები

● უცხოეთში კვალიფიციური პროფესიონალი ექიმი გთავაზობთ სხეულის კორექციას ვაკუუმ მასაჟის მეთოდით, გამანჯასაღებელ, სარელაქსაციო, შოკოლადის მასაჟს. შეიძლება ბინაზე მომსახურება. 599 48 66 39; 558 57 68 06

● დაქვეითებული სმენის, ნევრიტის, პროსტატიტის, ხშირი შარდვის, წითელი ქარის, სხვა დაავადებების განკურნება ასაკის მიუხედავად, ბიოენერგოინფორმაციული მასაჟის უნიკალური მეთოდით, არასკეპტიკოსებისათვის. მიღება შეზღუდულია ჩაწერით. ტრადიციული სამედიცინო საქმიანობის მართვის ცენტრთან არსებული საზოგადოების წევრი, სერთიფიცირებული დამსახურებული სახალხო მკურნალი ლევან სეხნიაშვილი. ტელ: 599-97-85-46.

● ქალბატონებო! დიდუბეში, აგლაძის 67-ში შეგიძლიათ ბამბის, მატყლის გაჩეჩა საბან-ლეიბების განახლების მიზნით. საბან-ლეიბებს შეგიკერავთ პროფესიონალი მკერავი. განახლებული ლოგინი ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა. ტელ: 235-15-96.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემების: გასტრიტი (მწვ. და ქრო.), კოლიტი, ენტერიტი, ყაბზობა, დისბაქტერიოზი. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. ორგანიზმის გაწმენდა, იმუნიტეტის გაძლიერება. 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-96-44-94 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ძვალსახსართა პრობლემის მკურნალობა – ოსტეოპოროზი, ართრიტები, კოქსართროზი, დაზიანებული ხრტილის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-15-63-33 ექიმი ქ-ნი ნინო.

● სიმაღლეში ზრდის ეფექტური, სწრაფი პროგრამა კურსით 3-5 სმ-ის მომატება 25 წლამდე, ძვლის მკვებავი მინერალებისა და ვიტამინების ნაკრებით + ვარჯიშებით, უნებლიე შარდვის მკურნალობა მოზარდებშიც, ასაკიანებშიც, ასევე გახდომა 5-20 კგ-მდე, გასუქება 2-5 კგ-მდე თვეში, უვნებლად. ორგანიზმი სწავლობს სწორ კვებას, მადა რეგულირდება, პირიდან უსიამოვნო სუნი ქრება, ავტომატურად წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავის პრობლემები, ხდება სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან! იმუნიტეტის აღდგენა-გაძლიერება, კანის გაახალგაზრდავება. გვაქვს წარმატებული მუშაობის გამოცდილება. 234-02-38; 599-90-54-78 ქ-ნი ქეთევანი.

● ფირმის ოფისში გვაქვს რეალური ვაკანსიები, გვჭირდება უმაღლესგანათლებული, რუსულის მცოდნე თანამშრომლები. სამუშაო კონტრაქტითაა, მუშაობის უფლებით 98 ქვეყანაში. საუკეთესო მენეჯერებს ეძლევათ უფლება, უფასოდ იმოგზაურონ ტრენინგებისათვის. ანაზღაურება მაღალი, სტაბილური, მზარდი. გვაქვს 33-წლიანი წარმატებული მუშაობის გამოცდილება. 247-58-83, 577-29-37-41 დიმიტრი.

● ნანა ქიბრონაშვილი. შპს „იადიგარ დაუდის“ დირექტორი, მოგიხსნით ნეგატიური ზემოქმედებით გამოწვეულ პრობლემებს ფოტოსურათით: აგრესიას, აკვიატებას, ეჭვი-ანობას, თვითმკვლელობის სურვილს, უიმედობას, აფორიაქებას, დაძაბულობას, შებოჭილობას, აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულებას, პათოლოგიურ სიმთვრალეს, სევდას, ნაღველს, მელანქოლიას.მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7. მიღება 12-დან 15 სთ-მდე, გარდა შაბათ-კვირისა. ტელ: 599-498-423

კანი შურისძიებას ითხოვს!

გერმანული და მსოფლიო ფეხბურთის ლეგენდა ოლივერ კანი ავტორიტეტულ „ბილდისთვის“ მიცემულ ინტერვიუში ბევრ საინტერესო თემაზე საუბრობს.

– ჰერ კან, ძალიან გვაინტერესებს თქვენი შთაბეჭდილებები ამ მართლაც სუპერ-ბაიერნის შესახებ.

– აღტაცებაში მომიყვანა იმ ფაქტმა, რომ გუნდს „იუვენტუსის“ გამოსაგდებად ორი ჩვეულებრივი მატჩი დასჭირდა და ეს კარგად აღნიშნავს იმას, თუ რამდენად უმაღლესი დონის ფეხბურთს თამაშობენ მიუნხენელები ამ სეზონში.

– წინ გერმანულ-ესპანური დუელები გველის. თქვენი აზრით, მიღწეული აქვს „ბაიერნს“ იმ დონემდე, რომ „ბარსელონასთან“ ან „რეალთან“ ფავორიტად ითვლებოდეს?

– დამიჯერეთ, არც ერთ გუნდს არ გაახარებდა დღევანდელ „ბაიერნთან“ შეხვედრა, თუმცა „ბარსელონა“ ახლა ბრწყინვალე ფეხბურთს ვერ აჩვენებს, მაგრამ ნებისმიერ დროს სახიფათონი არიან – იმავეს ვიტყვი „დორტმუნდზეც“.

– რატომ?

– ის, რაც ამ ახალგაზრდულმა გუნდმა გააკეთა და რა სიძნელეებსაც გაუძლო, ნამდვილად იმსახურებენ ნახევარფინალში გასვლას.

– ხომ არ ფიქრობთ, რომ „ჩელსისთან“ მარცხმა გუნდი გააძლიერა?

– ამ საშინელი იმედგაცრუების შემდეგ მათ გამოსავლის ნახვა შეძლეს, შემადგენლობა უფრო გააძლიერეს, ტიტული კი, ადრე თუ გვიან, ჩვენს ხელთ იქნება.

– ტრიპლეტის შესასრულებლად 5 თამაშია დარჩენილი.

– ბოლო სამი სეზონის განმავლობაში „ბაიერნმა“ ორჯერ ითამაშა ლიგის ფინალში და რატომ შეიძლება მიაღწიოს ტიტულს მაინცდამაინც წელს? „ბარსელონა“ ექვსჯერ გავიდა ნახევარფინალში, „ბაიერნი“ კი ევროდომინირების ზღვარზე იმყოფება.

– რას გვეტყოდით იუპ ჰაინკესის შესახებ?

– იმისათვის, რომ მართო ასეთი დიდი გუნდი, სადაც უამრავი უმაღლესი დონის ფეხბურთელი თამაშობს, უდიდესი გამოცდილებაა საჭირო და ჰაინკესი წელს ყველაფერს კარგად ასრულებს.

– რა როლს ასრულებს „ბაიერნის“ საერთო წარმატებაში მატიას ზამერი?

– ეს ამ წარმატებაში უმნიშვნელოვანესი ფორმულაა. თუ საჭიროა, მას ხმამაღალი განცხადებების არ ეშინია, ფეხბურთელებთან უშუალო კონტაქტის დამყარებითა და მისი გამოცდილებით შეიძლება, კრიზისიდან გამოსვლის გზებიც მოვნახოთ. ასევე გადამწყვეტი ფაქტორია ის, რომ მან ფეხბურთელებს საერთო შედეგზე პასუხისმგებლობის გრძნობა ჩაუნერგა.

4 ქართველი ევროვარსკვლავებში

მიმდინარე წლის 1 მაისს ბაქოში აზერბაიჯანელი და ევროპული ფეხბურთის „ვარსკვლავების“ ვეტერანთა მატჩი გაიმართება, რომელშიც მონაწილეობას 4 ქართველი ფეხბურთელი მიიღებს.

აზერბაიჯანული მედიის ინფორმაციით, ევროპელი „ვარსკვლავების“ სიაში არიან ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, თენგიზ სულაქველიძე და კახა ცხადაძე.

გაირკვა იმ ფეხბურთელთა ვინაობაც, რომლებიც „ვარსკვლავთა მატჩში“ მიიღებენ მონაწილეობას: ბერტი ფოგსი, ული შტაინი, ბერნდ შუსტერი, დარიო შიმიჩი, ჟან-პიერ პაპენი, ვიტალი შევჩენკო, იური კუზნეცოვი, ვაგიზ ხიდიატულინი, ლეონიდ ბურიაკი, ნიკოლაი ბოგდანოვი, ანდრეი ზიგმანტოვიჩი, ჯონ ტოშაკი, იგორ პონომარიოვი. ასევე, ევროპელ „ვარსკვლავებში“ მოხვდა ბრაზილიის ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი ედმარ ბერნანდეს დოს სანტოსი.

აზერბაიჯანელებმა ჰაქან შუქური, ბიულენთ ქორქმაზი და რეჩბერ რუშთუც მიიწვიეს, მაგრამ თურქებისგან საბოლოო პასუხი ჯერ არ მიუღიათ.

სამაგიეროდ, გაირკვა მსაჯის ვინაობა – „ვარსკვლავთა მატჩს“ რუსტამ რაგიმოვი მოემსახურება.

შედეგები

ფეხბურთი

ესპანეთი. ჰიმეჰა დივიზიონი

მალიორკა-სელტა 1:0

სატურნირო ცხრილი:

1.ბარსელონა	31	26	3	2	98:33	81
2.რეალი	31	21	5	5	80:29	68
3.ატლეტიკო	31	20	5	6	56:25	65
4.სოსიედადი	31	15	9	7	57:39	54
5.ვალენსია	31	14	8	9	47:45	50
6.მალაგა	31	14	8	9	44:32	50
7.ბეტისი	31	14	6	11	47:46	48
8.ხეტაფე	31	12	8	11	39:46	44
9.რაიო	31	14	2	15	40:51	44
10.სევილია	31	12	6	13	48:45	42
11.ესპანიოლი	31	10	10	11	40:42	40
12.ლევანტე	31	11	7	13	35:50	40
13.ვალიადოლიდი	31	10	8	13	40:44	38
14.ბილბაო	31	10	5	16	34:56	35
15.ოსასუნა	31	8	7	16	26:36	31
16.დეპორტივო	31	7	8	16	42:64	29
17.გრანადა	31	7	7	17	28:50	28
18.სარაგოსა	31	7	6	18	28:49	27
19.მალიორკა	31	7	6	18	33:63	27
20.სელტა	31	6	6	19	29:46	24

იტალია. სერია ა

ლაციო-იუვენტუსი 0:2

სატურნირო ცხრილი:

1.იუვენტუსი	32	23	5	4	63:20	74
2.ნაპოლი	32	18	9	5	58:30	63
3.მილანი	32	17	8	7	56:35	59
4.ფიორენტინა	32	16	7	9	58:39	55
5.რომა	32	15	6	11	63:53	51
6.ლაციო	32	15	6	11	40:39	51
7.ინტერი	32	15	5	12	50:45	50
8.უდინეზე	32	12	12	8	44:39	48
9.კატანია	32	13	8	11	40:37	47
10.კალიარი	32	11	9	12	39:49	42
11.პარმა	32	10	9	13	39:42	39
12.ბოლონია	32	10	8	14	42:41	38
13.სამპდორია	32	10	8	14	37:39	37
14.ატალანტა	32	11	6	15	34:47	37
15.ტორინო	32	8	13	11	40:43	36
16.კიევო	32	10	6	16	32:48	36
17.სიენა	32	9	9	14	34:44	30
18.პალერმო	32	5	13	14	29:45	28
19.ჯენოა	32	6	10	16	32:50	28
20.პესკარა	32	6	3	22	24:66	21

შენიშვნა:

სამპდორიას დაკლებული აქვს 1 ქულა
ტორინოს დაკლებული აქვს 1 ქულა
ატალანტას დაკლებული აქვს 2 ქულა
სიენას დაკლებული აქვს 6 ქულა

გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა

აუე-კაიზერი 1:1

საფრანგეთი. მე-2 ლიგა

შატორუ-ნანტი 0:4

ჰოლანდია. 1 დივიზიონი

ალმერე-დენ ბოსხი 1:5

პორტუგალია. თასი

ბემფიკა-ფერეირა 1:1

ხუსეთი. ჰიმეიჰლიგა

ალანია-მორდოვია 3:1

თურქეთი. სუპერლიგა

ბეშიქთაში-ანთალია 1:0

ჩეხეთი. გამბრინუსლიგა

ბოლესლავი-ბანიკი 2:0

პოლონეთი. ექსტრაკლასი

პიასტი-ლეხი 0:3

დანია. სუპერლიგა

ნორდსიელანდი-კოპენჰაგენი 2:3

შვედეთი. ალსვენსკა

ჰელსინბორგი-მიალბი 1:2

ელფსბორგი-გიოტებორგი 0:0

ირლანდია. ჰიმეიერ დივიზიონი

სტ.პატრიკი-შელბურნი 4:0

არგენტინა. ჰიმეჰა დივიზიონი

ბელგრანო-ქილმესი 3:0

კალათბურთი

ნბა. ჩემპიონატი სეზონი

კლივლენდი-მაიამი 95:96
ორლანდო-ჩიკაგო 84:102
შარლოტი-ნიუ იორკი 106:95
ბრუკლინი-ვაშინგტონი 106:101

თორნიკე შენგელია: 11 ქულა, 11 მოხსნა
დალასი-მემფისი 97:103
დეტროიტი-ფილადელფია ... 109:101
მილუოკი-დენვერი 111:112
მინესოტა-იუტა 80:96
ოკლაჰომა-საკრამენტო 104:95
ფინიქსი-ჰიუსტონი 119:112
გოლდენ სტეიტი-სან ანტონიო .. 116:106

ჰოკეი

ნჰლ. ჩემპიონატი სეზონი

ტორონტო-ნიუ ჯერსი 2:0
მონრეალი-ფილადელფია 3:7
ნეშვილი-ვანკუვერი 2:5
ჩიკაგო-დალასი 5:2
კალგარი-მინესოტა 3:4
კოლორადო-კოლამბუსი ..... 3:4(ოტ)
ფინიქსი-სან ხოსე 0:4

ტურის ონიანს მიეძღვნა

ეროვნული საფეხბურთო ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში მეორე ეტაპის პირველი წრე დასრულდა და სეზონის დასრულებამდე გუნდებს 5-5 მატჩი დარჩათ ჩასატარებელი, გარდა იმ კლუბებისა, რომლებიც საქართველოს თასის ნახევარფინალში არიან გასული.

ტურის მთავარი ამბავი ქუთაისის „ტორპედოს“ მცველ გიორგი ონიანისადმი თანადგომის გამოხატვა იყო. შეგახსენებთ, რომ 10 აპრილს დავით ყიფიანის სახელობის საქართველოს თასის მეოთხედფინალურ მატჩში ბოლნისის „სიონსა“ და ქუთაისის „ტორპედოს“ შორის, რომელიც ნეიტრალურ მოედანზე, სფფის ტექნიკურ ცენტრ „ბასაზე“ მიმდინარეობდა, სამწუხარო ინციდენტი მოხდა. მატჩის მიწურულს, ირაკლი კლიმიაშვილთან ორთაბრძოლისას, ქუთაისელთა 29 წლის ცენტრალური მცველი მოედნის დამცავი ღობის ბოძს შეეჯახა და გონება დაკარგა. ფეხბურთელი სასწრაფოდ გადაიყვანეს საავადმყოფოში, სადაც კისრის მეხუთე მალის მოტეხილობა და ზურგის ტვინის დახურული ტრავმა დაუდგინეს. გიორგის ოპერაცია იმ საღამოსვე გაუკეთეს. ექიმების თქმით, ყველაფერმა კარგად ჩაიარა, ფეხბურთელს ხერხემალში ფირფიტები ჩაუდგეს. გიორგი ინვალიდობას კი გადაურჩა, მაგრამ, შეძლებს თუ არა კარიერის გაგრძელებას, ჯერ უცნობია, თუმცა ექიმები იმედიანად არიან განწყობილი.

ქუთაისში თამაშის წინ „ტორპედოსა“ და „ზუგდიდის“ ფეხბურთელებს ფორმებზე მეორე მაისური ჰქონდათ გადაცმული, ზუგდიდელებს „ონო, ჩვენ შენ გვერდით ვართ“ ეწერათ, ხოლო ქუთაისელთა გუნდი ორად იყო გაყოფილი, ზოგს 20-ნომრიანი მაისური ეცვა, ზოგს კი – 77-ნომრიანი. ერთი ონიანის ნომერია, მეორე – აგრეთვე ტრავმირებული ვალერი ბოლქვაძისა, რომელმაც იმავე მატჩში, იმავე კლიმიაშვილთან ორთაბრძოლისას მძიმე ტრავმა მიიღო და სეზონის დარჩენილ ნაწილს გამოტოვებს.

ტრიბუნაზე ზუგდიდის ფანებმა, „აბრაგებმაც“ გამოფინეს ონიანის მხარდამჭერი ბანერი.

ონიანი არც ზესტაფონურ მატჩში დავიწყებიათ – „ზესტაფონისა“ და „დინამოს“ ფეხბურთელებმა გიორგის მხარდასაჭერი ბანერი დაიჭირეს ხელში, გიორგის თანადგომას ტრიბუნებზე „ზესტაფანებიც“ უცხადებდნენ. სხვადასხვა ფორმით ყველა მატჩში იქნა გამოხატული ონიანისადმი მხარდაჭერა.

ტურის ეს ცენტრალური მატჩი იმითაც იყო საინტერესო, რომ მოედანზე 9 ლეგიონერი ვიხილეთ: ლოსანო, იელიჩი, ბოტი გოა, რეკრუკი (ყველა ზესტაფონი), გლიშიჩი, კოტო, გრაციარი, ჩისკო, ალვარო (ყველა დინამო). ამასთან, ნუ დაგვავიწყდება, რომ ორივე გუნდში სხვა ლეგიონერებიც ირიცხებიან – პეტკოვი (ზესტაფონი), უსტარიცი, მენდი (დინამო) და იმის ალბათობაც არსებობდა, რომ მოედანზე ერთდროულად 12 უცხოელი ფეხბურთელი ყოფილიყო.

ლეგიონერებზე ვსაუბრობთ და არც ის დაგვავიწყდეს, რომ შეხვედრის არბიტრიც უცხოელი გახლდათ! სირიელი აბდულა ბასლეჰლო ჯერ საქართველოს ჩემპიონატის პირველ ლიგაში გამოჩნდა, ახლა კი უკვე უმაღლეს ლიგას „გაუშინაურდა“ და, ვფიქრობთ, ტურის ამ ცენტრალურ მატჩში ურიგოდ არ უმსაჯია.

„დინამომ“ ლევან ხმალაძის ერთადერთი გოლით მოიგო და 4-ქულიანი ჰანდიკაპი შეინარჩუნა „დილასთან“, რომელმაც, თავის მხრივ, საჩხერის „ჩიხურა“ სტუმრად, ივანწმინდაში 2:1 დაამარცხა. ამ მოგებამ კიდევ ერთხელ აალაპარაკა გულშემატკივარი, რომლებიც ფიქრობდნენ, რომ „ჩიხურა“ გორელებს ვალს დაუბრუნებდა – „დილამ“ საჩხერელები თასის ნახევარფინალში გაატარა, სამაგიეროდ, ჩემპიონატში 6 ქულას აიღებსო. 3 უკვე აქტივშია – ისიც სტუმრად, ასე რომ, დაგეგმილ 6 ქულას წინ ვეღარაფერი უნდა დაუდგეს.

ჰო, მატჩის შემდეგ „დილას“ მთავარმა მწვრთნელმა ვალდას ივანიუსკასმა უფულობაზე დაიჩივლა, თუმცა, იქვე დასძინა, რომ ოთხშაბათისთვის ყველაფერი გასტუმრდებაო. ესეც კიდევ ერთი ნათელი მაგალითი საბიუჯეტო კლუბისა. არადა, საკმაოდ სიმპათიური „დილა“, რბილად რომ ვთქვათ, დაშლას არ იმსახურებს, მაგრამ ასეთი პირი კი უჩანს.

„ჩიხურას“ წაგებით ისარგებლა „ტორპედომ“ და ზემო იმერლებს 4 ქულით გაუსწრო, რაც მესამე ადგილისთვის ბრძოლაში წაადგება, მესამე ადგილი კი გარანტირებული ევროთასებია.

საინტერესო ამბები მოხდა ქვედა ექვსეულშიც: პირველ რიგში აღსანიშნავია რუსთავის „მეტალურგისა“ და ფოთის „კოლხეთის“ სამართლიანი თამაშები. ორივე გუნდს თავისი საქმე მოლეული აქვს – რუსთაველებს იმდენი ქულა აქვთ, რომ მე-7 ადგილს ვერავინ წაართმევს, ხოლო კოლხები პირველ ლიგაში გავარდნისგან თავს ვერ დაიძვრენენ, თუმცა ორივე გუნდმა იომა და ქულები არ დათმო. რუსთაველებმა სტუმრად ბათუმის „დინამოს“ მოუგეს, ხოლო ფოთელებმა ფრე გაახერხეს „ვიტ ჯორჯიასთან“.

მნიშვნელოვანი 3 ქულა მოიპოვა ბოლნისის „სიონმა“, რომელმაც „ბასაზე“ მარტვილის „მერანი“ დასცა – 3:1. არადა, საბა ლომიას პენალტით სტუმრები იგებდნენ, მაგრამ კოკა მიკუჩაძემ ჰეთ ტრიკი გაახერხა, აქედან 2 გოლი პენალტით მიითვალა.

1-6 ადგილებისთვის

ჩიხურა – დილა 1:2

0:1 ირაკლი მოდებაძე (4), 1:1 ბესიკ დეკანოიძე (68), 1:2 ირაკლი მოდებაძე (1:2)

ტორპედო – ზუგდიდი 2:0

1:0 ბექა ტუღუში (17), 2:0 ელგუჯა გრიგალაშვილი (90)

ზესტაფონი – დინამო (თბ) 0:1

0:1 ლევან ხმალაძე (49)

სატურნირო ცხრილი:

1.დინამო (თბ)	27	19	6	2	71:20	63
2.დილა	27	19	2	6	47:19	59
3.ტორპედო	27	16	6	5	46:20	54
4.ჩიხურა	27	15	5	7	40:27	50
5.ზესტაფონი	27	11	6	10	31:24	39
6.ზუგდიდი	27	10	6	11	28:40	36

28-ე ტური. 19 აპრილი: ზუგდიდი – დინამო (თბ), ზესტაფონი – დილა, ჩიხურა – ტორპედო

7-12 ადგილებისთვის

ვიტ ჯორჯია – კოლხეთი 0:0

სიონი – მერანი 3:1

0:1 საბა ლომია (30პ), 1:1, 2:1, 3:1 კოკა მიკუჩაძე (42პ, 58, 80პ)

დინამო – მეტალურგი 0:1

0:1 გოგი ფიფია (68)

28-ე ტური. 19 აპრილი: კოლხეთი – მეტალურგი; დინამო (ბთ) – მერანი; სიონი – ვიტ ჯორჯია;

სატურნირო ცხრილი:

1.მეტალურგი	27	12	6	9	27:29	42
2.მერანი	27	8	3	16	27:42	27
3.სიონი	27	6	7	14	20:42	25
4.დინამო (ბთ)	27	6	5	16	27:49	23
5.ვიტ ჯორჯია	27	5	8	14	17:38	23
6.კოლხეთი	27	2	6	19	15:46	12

ბომბარდირები: ჩისკო (დინამო თბ) – 21 ბურთი; ჯაბა დვალი (დინამო თბ) – 17; საბა ლომია (მერანი) – 16.

სარაგბო პლეი ოფები დაიწყო

საქართველოს მორაგბეთა 23-ე ჩემპიონატში გადამწყვეტი ეტაპი დაიწყო. საჩემპიონო პლეი ოფში გასული ექვსეულიდან ოთხმა (მესამე-მეექვსე ადგილსნები), იმ გუნდების ვინაობა გაარკვიეს, რომლებიც თასისთვის ბრძოლას განაგრძობენ, ხოლო ორი დამარცხებული უმედლოდ დარჩა. პლეი ოფის პირველ მატჩში, მეოთხე-მეხუთე საფეხურზე მდგომი გუნდების შეხვედრაში, თბილისის „არმაზმა“ დაძაბულ ბრძოლაში 23:18 „ჯიქები“ დაამარცხა და მომდევნო ეტაპზე გავიდა. მესამეადგილსანმა ქუთაისის „აიამ“ კი მე-6 ადგილზე გასულ „ლოკომოტივს“ 35:16 მოუგო.

20 აპრილს „აია“ გასავარდნ ფინალში „არმაზს“ დაუპირისპირდება. გამარჯვებული გუნდი ჩემპიონობისთვის ბრძოლას გააგრძელებს.

„არმია“ და „ლელო“ კი ერთმანეთს შესარჩევის ფინალში შეერკინებიან. ამ წყვილს შორის დამარცხებული მაინც აგრძელებს ოქროსთვის ბრძოლას და აია-არმაზს შორის მოგებულს გაეჯიბრება, ხოლო გამარჯვებული საჩემპიონო მატჩში თავის მეტოქეს დაელოდება.

უეფამ ახალი ბრენდი შექმნა

უეფამ ევროპის 2016 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირისა და მსოფლიოს 2018 წლის პირველობის ევროპული ზონის საკვალიფიკაციო ეტაპისთვის ახალი ბრენდი შექმნა. როგორც უმაღლეს საფეხბურთო ორგანოში აცხადებენ, ეს ეროვნული საფეხბურთო ნაკრებების პრესტიჟის ასამაღლებლად არის განკუთვნილი.

ბრენდის ლოგოტიპზე გამოსახულია ეროვნული ნაკრების მაისური, რომელიც გულშია მოთავსებული. ამ ემბლემას მომდევნო ორ შესარჩევ ტურნირზე და ასევე სხვადასხვა სახის პროდუქციის რეკლამირების დროსაც გამოიყენებენ.

გულის გამოსახულება ასახავს ბრენდის დევიზს „ითამაშე გულით“ და უეფას ხედვას, რომლის თანახმადაც, ევროპულ შესარჩევ ტურნირებში ეროვნული ნაკრებების მიერ ჩატარებული მატჩები გულშემატკივრებში სიამაყეს უნდა იწვევდეს.

მკაფიო და სტაბილური ბრენდ-პლატფორმის შექმნამ გრძელვადიან პერსპექტივაში ხელი უნდა შეუწყოს ევროპულ ზონაში ჩატარებულ შესარჩევ ტურნირებს, რომლებიც ცოტა ხნის წინ ცენტრალიზებული გახდა. უეფას ოფიციალურ ვებგვერდზე უკვე მუშაობს განყოფილება „ევროპული კვალიფიკაცია“. მალე ანალოგიური გვერდები სოციალურ ქსელებში გაჩნდება.

ასევე, შემუშავდება დეტალური რეკომენდაციები ბრენდის გამოყენებასთან დაკავშირებით და ინტერაქტიური კომპლექტი ბეჭდური, სამაუწყებლო და ციფრული მედიასაშუალებების გასაფორმებლად.

თორნიკე შენგელიას პირველი ორმაგი დუბლი

დასაწყისი მე-12 გვერდზე

მოხსნა, 1 ჩაჭრა და 1 დაფარება ისე მოაგროვა, ბურთი არ დაუკარგავს.

ბრუკლინელთაგან ორმაგი დუბლი კიდევ ერთ კალათბურთელს ჰქონდა. 20 ქულით და 12 მოხსნით ანდრეი ბლეტჩი საუკეთესო იყო, კრის ჰამფრიმ კი 20 ქულა და 9 მოხსნა მიითვალა. მირზა ტელეტოვჩმა 24 წუთში 14 ქულა დააგროვა, ისევე, როგორც კიდევ ერთმა ახალბედა ტაიშონ ტეილორმა.

„ბრუკლინ ნეთსს“ 48 მოგება და 33 წაგება აქვს და, როგორც ვთქვით, მე-4 ადგილზეა. ბრუკლინელები ელოდებიან საპლეიოფო მეტოქეს, რომელიც 2 დღეში გაირკვევა. დიდი შანსია, შენგელიას გუნდს ტრავმირებული ზაზა ფაჩულიას „ატლანტა ჰოუქსი“ შეხვდეს, რომელსაც მე-5 ადგილის დაკავებაში „ჩიკაგო“ ეცილება.

რეგულარული ჩემპიონატის ბოლო მატჩს „ბრუკლინი“ 17 აპრილს „დეტროიტთან“ გამართავს და დიდი შანსია, შენგელიამ კვლავ ხანგრძლივი დროით ითამაშოს.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ლადო გუდიაშვილის ახალი ალბომი გამოცემულია

ეკა ირემაშვილი

ცნობილი ქართველი მხატვრის ლადო გუდიაშვილის ახალი ალბომი გამოცემულია. მის პრეზენტაციას 17 აპრილს „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“ და ლადო გუდიაშვილის საგამოფენო დარბაზი ერთობლივად გამართავენ. „ლადო გუდიაშვილი (1940-1950) სატირული გრაფიკა“ – ასე ეწოდება ალბომს, რომელშიც მხატვრის საუკეთესო ნამუშევრებია გაერთიანებული.

– ლადო გუდიაშვილის შემოქმედებაში დიდი ადგილი უჭირავს სატირულ გრაფიკას, სადაც ალეგორიული თხრობა მნიშვნელოვანი ფორმაა მხატვრის დამოკიდებულებათა გადმოსაცემად. სატირა და ალეგორია საუკეთესო ხერხი გახდა ხელოვანისთვის, რომელმაც იცხოვრა ეპოქაში, სადაც მომწიფებული იყო საბჭოთა რეჟიმი, ნაციზმი და მათი რეპრესიები. გრაფიკული შემოქმედება მხატვრისთვის ყოველდღიური რეალობის ბუნებრივი პროცესი გახლდათ. ის არასდროს იცილებდა ფანქარს და ყველაფერს, რასაც ირგვლივ ხედავდა ხაზით ფურცელზე გადაჰქონდა. ეს იყო მისი ხედვა, მისი ფანტაზია, ხშირად მისი პროტესტიც, – განმარტავს პროექტის კურატორი სოფიო კილასონია.

როგორც ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფესორი ირინა არსენიშვილი კატალოგის წინასიტყვაობაში წერს:

– გუდიაშვილისთვის ხაზით აზროვნება, გრაფიკის სახვითი შესაძლებლობების ვიზუალური ფლობა, მუსიკოსის აბსოლუტური სმენის მსგავსად, მისი ნიჭის ბუნებრივი და მთავარი მახასიათებელი მხარეა. ხაზის უზადო ოსტატობა მას გენეტიკურად ეროვნული ხელოვნების ტრადიციებთან აკავშირებს.

წიგნის რედაქტორი და შემდგენელია ანა მელივა. პრეზენტაციაზე მიწვეული არიან ლადო გუდიაშვილის კოლეგები, მისი შემოქმედების თაყვანისმცემლები და ოჯახის წევრები. ალბომის წარდგენისას მხატვრის შემოქმედებაზე ისაუბრებენ გამომცემლები და ქართველი მხატვრები.

ქართველი მესაყვირე კონსერვატორიაში კონცერტს გამართავს

ეკა ირემაშვილი

ქართველი მესაყვირე პაატა ბერიძე კონსერვატორიაში სოლო კონცერტს 17 აპრილს გამართავს. საკონცერტო პროგრამაშია ალბინონის ჰობოის (საყვირის) კონცერტი, ჰენდელის „ოდა“, „სამსონი“, გია ყანჩელის „ყარაჩოღლის ანდერძი“, რეზო კიკნაძის სეპტეტი, მარიამ ღვინიაშვილის „კენტ ფაინდ“, „აი ლავდ იუ“, ანსამბლი „კონსილია“ იმპროვიზაცია.

პაატა ბერიძის საღამოში მონაწილეობას მიიღებენ პაატა ბერიძე (საყვირი), ია დავითაშვილი (ვიოლინო), ანა ცარციძე (სოპრანო), გვანცა ფუტკარაძე (ფორტეპიანო), ნოდარ ბიწაძე (კლარნეტი), თამარ საკანდელიძე (ფლეიტა), შალვა ნანობაშვილი (ფაგოტი), თორნიკე გეწაძე (ჩელო), საქართველოს სიმფონიეტა, ჯორჯიან ბრასი, ანსამბლი „კონსილია“ და პაატა ბერიძის ბენდი ნუცა ნებიერიძის (ვოკალი), პაატა ბერიძის (საყვირი), მარიამ ღვინიაშვილის (ფორტეპიანო), სოსო გელოვანის (ბასი) და ირაკლი ჭოლაძის (დრამი) შემადგენლობით.

კონსერვატორიის ფოიეში წარმოდგენილი იქნება გია გოგატიშვილის ფოტოგამოფენა. საღამოზე დასწრება თავისუფალია.

მოსკოვში რუსთაველის თეატრის გასტროლები გაუქმდა

დასაწყისი მე-12 გვერდზე

და ერთგულება შესაძლოა დამღუპველი აღმოჩნდეს თავად პრეზიდენტისთვის.

კიევიდან რუსთაველის დასი მოსკოვში უნდა გამგზავრებულიყო და სპექტაკლები „მოსსავეტის“ თეატრში უნდა წარედგინა. 16 აპრილიდან 21 აპრილის ჩათვლით რუსთაველის თეატრის დასს რუსეთის დედაქალაქში სპექტაკლები უნდა ეთამაშა. ამ გასტროლის ორგანიზება კი უნდა ეთავა ორგანიზაციას ,,ქართველთა კავშირი რუსეთში“. მოსკოვში „მოსსოვეტის“ სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში 16, 17 და 18 აპრილს რუსთაველის თეატრის დასს „ნადირობის სეზონი“ უნდა ეთამაშა, 20 და 21 აპრილს კი – ,,ჯარისკაცი, სიყვარული, დაცვის ბიჭი და... პრეზიდენტი“.

ამ გასტროლის შემდეგ „მოსსოვეტის“ თეატრის დასი საპასუხო გასტროლს საქართველოში 23 აპრილიდან 1 მაისამდე გეგმავდა, მაგრამ ეს გასტროლიც მოიხსნა.

დაგეგმილ გაცვლითი კულტურული ღონისძიებების ფარგლებში 24 აპრილიდან 30 აპრილის ჩათვლით მოსკოვის მოსსოვეტის თეატრს რუსთაველის თეატრის სცენაზე უნდა გაემართა გასტროლი. დასს თბილისში სამი სპექტაკლი უნდა ჩამოეტანა. 24 და 25 აპრილს დაგეგმილი იყო ჩეხოვის ,,სამი და“ (რეჟისორი ანდრეი კონჩალოვსკი), 26 და 27 აპრილს – ჩეხოვის ,,ძია ვანია“ (რეჟისორი ანდრეი კონჩალოვსკი) და 29 და 30 აპრილს – ვაცეტისის ,,აბანოს წინა შესასვლელი“ (რეჟისორი სერგეი იურსკი).

ამ გასტროლების გაუქმების მიუხედავად, რუსთაველის თეატრში შემოქმედებითი მოღვაწეობა აქტიურად გრძელდება და რუსთაველის თეატრი 2013 წლის 12 აპრილიდან 7 მაისის ჩათვლით აცხადებს კონკურსს ახალგაზრდა რეჟისორებისათვის.

როგორც „ახალ თაობას“ რუსთაველის თეატრში განუცხადეს, კონკურსში გამარჯვებულ 4 მონაწილეს საშუალება მიეცემა დადგას სპექტაკლი რუსთაველის თეატრის მცირე ან ექსპერიმენტულ სცენაზე. კონკურსის პირობებია თამამი ექსპერიმენტები და მინიმალური დეკორაცია. კონკურსი ჩატარდება 2 ტურად. 12 აპრილიდან 7 მაისის ჩათვლით კონკურსანტებმა რუსთაველის თეატრში უნდა წარმოადგინონ საკონკურსო პროექტი – თანამედროვე დრამატურგია (ქართული და უცხოური). 8 მაისიდან 20 მაისამდე კი მოხდება პროექტების განხილვა და კონკურსანტებთან გასაუბრება.

იოსებ კეჭაყმაძის ხსოვნას ფესტივალი მიეძღვნება

ეკა ირემაშვილი

19, 21, 22, 24 და 25 აპრილს გაიმართება თბილისის მერიის მიერ დაფუძნებული მესამე თბილისის საგუნდო მუსიკის ფესტივალი, რომელშიც მონაწილეობენ აკადემიური გუნდები. ფესტივალის ახლახან გარდაცვლილი ქართველი კომპოზიტორის იოსებ კეჭაყმაძის ხსოვნას ეძღვნება.



2011-2012 წლებში ფესტივალი ჩატარდა ეროვნული მუსიკალური ცენტრის ბაზაზე.

ფესტივალის მიზანია ქართული საგუნდო საშემსრულებლო ტრადიციების შენარჩუნება, განვითარება და პოპულარიზაცია. საქართველოში არსებული აკადემიური გუნდების ერთმანეთთან დაახლოება და მათი შემოქმედების გაცნობა მსმენელისათვის. აღსანიშნავია, რომ ყოველწლიურად ფესტივალში მონაწილე გუნდების რაოდენობა მატულობს. წელს მონაწილეობს 15 აკადემიური საგუნდო კოლექტივი – ეროვნული საგუნდო კაპელა, ბათუმის სახელმწიფო კაპელა, ბათუმის ქალთა გუნდი, კონსერვატორიის მაგისტრატურისა და ბაკალავრიატის გუნდები, აფხაზეთის სახელმწიფო კაპელა, გორის ქალთა გუნდი, ყოვლადწმიდა სამების კათედრალის საპატრიარქო გუნდი, თელავის ქალთა გუნდი, ქუთაისის სასწავლებლის გუნდი, ქუთაისის ოპერის გუნდი, რუსთავის ვაჟთა ვოკალური ანსამბლი „ფიროსმანი“, მათ შორის პირველად, ფესტივალის გამგეობის გადაწყვეტილებით 2 (ორი) – მე-6 ხელოვნების სკოლისა და გორის ბავშვთა გუნდი.

გარდა საკონცერტო საღამოებისა ფესტივალის ფარგლებში ასევე ჩატარდება მასტერკლასები.

სტუმრის სტატუსით თბილისში ჩამოდის სტოკჰოლმის წმიდა კატარინას ტაძრის ვაჟთა ვოკალური ანსამბლი. ასევე საპატიო სტუმრის სტატუსით ფესტივალში მონაწილეობას მიიღებს ტიგრან ეკიკიანი – სომხეთის ტელევიზიისა და რადიოს ბავშვთა გუნდის მთავარი დირიჟორი, საგუნდო ხელოვნების საერთაშორისო ფედერაციის წევრი.

დასკვნით კონცერტზე უკვე ტრადიციად იქცა ფესტივალში მონაწილე ყველა საგუნდო კოლექტივის ერთობლივი გამოსვლა. მათი შესრულებით საგუნდო მუსიკის მოყვარულებს შესაძლებლობა ექნებათ მოისმინონ არჩილ ჩიმაკაძის კანტატა „ქართლის გული“, სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრის მონაწილეობით, დირიჟორი – ქუთაისის ოპერისა და თეატრის მთავარი დირიჟორი რევაზ ჯავახიშვილი.

ფესტივალი თბილისის კულტურული ღონისძიებების მიერ დაფინანსდება.

უკვე ცნობილია ფესტივალში მონაწილე გუნდები და მათი საკონცერტო განრიგი: 19 აპრილს რიგით მესამე ფესტივალი ეროვნული მუსიკალური ცენტრის საკონცერტო დარბაზში გაიხსნება. მასში მონაწილეობას მიიღებენ მე-6 ხელოვნების სკოლის მოსწავლეთა გუნდი (ხელმძღვანელი ლალი ჭიკაიძე), კონსერვატორიის მაგისტრების გუნდი (ხელმძღვანელები შალვა მოსიძე, არჩილ უშვერიძე), სტოკჰოლმის წმიდა კატარინას ტაძრის ვაჟთა ვოკალური ანსამბლი (ხელმძღვანელი ანდერს მირინი), რუსთავის ვაჟთა ვოკალური ანსამბლი „ფიროსმანი“ (ხელმძღვანელი მამუკა გულაღაშვილი).

თბილისის საგუნდო მუსიკის ფესტივალი 21 აპრილს კონსერვატორიის მცირე დარბაზში გაგრძელდება და მასში გაერთიანდებიან კონსერვატორიის ბაკალავრიატის გუნდი (ხელმძღვანელები ლია ჭონიშვილი, არჩილ უშვერიძე), გურამ ყურაშვილი ფესტივალის ფარგლებში გამართავს მასტერკლასს და საღამოს დაასრულებს აფხაზეთის სახელმწიფო კაპელას გამოსვლა (სამხატვრო ხელმძღვანელი გურამ ყურაშვილი).

22 აპრილს ფესტივალი ისევ ეროვნული მუსიკალური ცენტრის საკონცერტო დარბაზში გადაინაცვლებს. კონცერტში მონაწილეობას მიიღებენ გორის ბავშვთა გუნდი (ხელმძღვანელი ნინო წიკლაური), გორის ქალთა კამერული გუნდი (ხელმძღვანელი თეონა ცირამუა), სახელმწიფო საგუნდო კაპელა (ხელმძღვანელი არჩილ უშვერიძე), ყოვლადწმიდა სამების კათედრალის საპატრიარქო გუნდი (ხელმძღვანელი სვიმონ ჯანგულაშვილი).

24 აპრილს ეროვნული მუსიკალური ცენტრის საკონცერტო დარბაზში წარმოდგენილი იქნება თელავის ქალთა გუნდი, ქუთაისის სასწავლებლის გუნდი, ბათუმის ქალთა გუნდი და ქუთაისის ოპერის გუნდი.

ფესტივალის საზეიმო დახურვა 25 აპრილს ეროვნული მუსიკალური ცენტრის საკონცერტო დარბაზში გაიმართება. საღამოში მონაწილეობას მიიღებენ ბათუმის სახელმწიფო კაპელა (ხელმძღვანელი ქეთევან მანელიშვილი), ფესტივალში მონაწილე ყველა გუნდი შეასრულებს თითო ნაწარმოებს. ღონისძიების დასასრულს გაერთიანებული გუნდი არჩილ ჩიმაკაძის „ქართლის გულს“ შეასრულებს.

მხატვართა კავშირი 80 წლისაა

ეკა ირემაშვილი

17 აპრილს თბილისის ისტორიის მუზეუმში მხატვართა კავშირის 80 წლის იუბილესადმი მიძღვნილი ფესტივალი საზეიმოდ გაიხსნება. ფესტივალი დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების მხატვართა ნამუშევრების ექსპოზიციით დაიწყება. გამოფენაზე წარმოდგენილი იქნება 200-მდე მხატვრის შემოქმედება. აღსანიშნავია, რომ საქართველოს მხატვართა კავშირი 1933 წელს შეიქმნა თბილისში, აერთიანებდა მხატვრებსა და ხელოვნებათმცოდნეებს. ქართველი მხატვრები, სიონის 8-ში მდებარე, საქართველოს ისტორიის მუზეუმის საგამოფენო დარბაზ „ქარვასლაში“ გამოფენენ ნამუშევრებს შესრულებულს გამოყენებითი ხელოვნების ყველა დარგში – თექაში, ბატიკაში, მინანქარში, გობელენში.

ექსპოზიციაზე მისულ დამთვალიერებელს საშუალება ექნება 23 აპრილამდე 20-მდე ქართველი გარდაცვლილი მხატვრისა და 180-მდე თანამედროვე მხატვრის ნამუშევრებს გაეცნოს. გამოფენაზე წარმოდგენილი იქნება ნანო ჩოტკოველის (კერამიკა), გოგი ქართველიშვილის (კერამიკა), მედეა ჩიხლაძის (ბატიკა), გია იაშვილის (კერამიკა), რაისა ეკალაძის (კერამიკა), გულიკო ჭუმბაძის (დეკორატიული მინა), ეკატერინე აბესაძის (მინანქარი) ნამუშევრები.

საქართველოს მხატვართა კავშირის 80 წლის იუბილესთან დაკავშირებული ღონისძიებები სახვითი ხელოვნების ნამუშევართა გამოფენების ციკლით გაგრძელდება და მთელი წლის განმავლობაში ნებისმიერ მსურველს შეეძლება სხვადასხვა საგამოფენო სივრცეში წარმოდგენილი ნამუშევრები დაათვალიეროს.

საქართველოს მხატვართა კავშირი არასამთავრობო საზოგადოებრივი ორგანიზაციაა და ის დაარსდა 1932 წლის 5 იანვარს. იგი მემკვიდრეა 1916 წელს დიმიტრი შევარდნაძის მიერ დაარსებული ქართველ ხელოვანთა საზოგადოებისა, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა საქართველოში სამუზეუმო საქმისა და სამხატვრო ცხოვრების განვითარებას. საქართველოს მხატვართა კავშირის მიზანია ეროვნული ტრადიციების შენარჩუნება და დაცვა. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების, ხელოვნებათმცოდნეობის განვითარების ხელშეწყობა, ქართული ხელოვნების პოპულარიზაცია საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ. მხატვართა შემოქმედების, რეწვისა და ხალხურ ოსტატთა მხარდაჭერა. ზრუნვა კავშირის წევრთა სოციალური და მატერიალური პირობების გაუმჯობესებისათვის, ხელშეწყობა პროფესიული საავტორო უფლებების დაცვისათვის. საქართველოს მხატვართა კავშირში ჩამოყალიბებულია რეგიონალური განყოფილებები, მათ შორის, აჭარის, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების, ქუთაისის, თელავის, ფოთის, ზუგდიდის და შემოქმედებითი სექციები – ფერწერის, გრაფიკის, გამოყენებითი ხელოვნების, ქანდაკების, მონუმენტური ხელოვნების, კრიტიკისა და ხელოვნებათმცოდნეობის, კინოსა და თეატრალურ-დეკორატიული, კომისიები – ხალხური ოსტატების, ბავშვთა ესთეტიკური აღზრდის. კავშირი ხელმძღვანელობს საწარმოო საქმიანობას, აწყობს სამეცნიერო-შემოქმედებით კონფერენციებს, სიმპოზიუმებს, პლენერებს, რესპუბლიკურ და საერთაშორისო გამოფენებს, მონაწილეობს რესპუბლიკურ და საერთაშორისო კონკურსებში, ეწევა საგამომცემლო საქმიანობას, აწესებს პრემიებს, წარადგენს მხატვართა კავშირის წევრებს სახელმწიფო ჯილდოებზე.

80 წლის განმავლობაში მხატვართა კავშირმა არაერთი საერთაშორისო მნიშვნელობის გამოფენა მოაწყო, მათგან აღსანიშნავია გამოფენები „ქართული ფერწერა“, „ქართული ქანდაკება“, „ქართული გრაფიკა“, „ქართული გამოყენებითი ხელოვნება“, აფხაზეთის მხატვართა საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი გამოფენა და ქართველ მხატვართა პერსონალური ნამუშევრების გამოფენები.

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. თანამედროვე ქართველი ფოტოხელოვანი; 2. დასავლეთ საქართველოში გავრცელებული ხორბლის უძველესი ქართული ჯიში; 3. ფრანგი შანსონიე ქალი; 4. ტბა თურქეთ-საქართველოს საზღვარზე; 5. აჭარული ხის სახლი; 10. ტვირთბრუნვით ყველაზე დიდი ნავსადგური გერმანიაში; 11. გაზეთის, ჟურნალის თანამშრომელი; 12. პოეზიისა და მუსიკის მუზა ბერძნულ მითოლოგიაში; 15. ერთკუზიანი აქლემი; 16. კაზინოს თანამშრომელი; 17. სტადიონი ერევანში; 20. ჭიდაობის ერთ-ერთი სახეობა.

თარაზულად: 6. პოლიციის ქვედანაყოფი საფრანგეთში; 7. თავფეხიანთა კლასის ზღვის მოლუსკი, ძვირფასი სარეწაო პროდუქტი; 8. მსუბუქი ერთ ან ორ ადგილიანი სპორტული ნავი; 9. ფულის ერთეული ერაყში; 13. ტბა გაგრის ნაკრძალში; 14. ქალაქი კახეთში; 18. დელტაპლანის სახელწოდება ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში; 19. ფრანგი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 21. აზიის ყველაზე გრძელი მდინარე; 22. ფრანგი კინოვარსკვლავი მამაკაცი; 23. ქართველი სპორტული ტელეკომენტატორი მამაკაცი; 24. თბილისთან დამეგობრებული ბრიტანული ქალაქი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული ჯოსვოხდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ჩედვიკი; 2. საფირონი; 3. დიპლომატი; 4. ბროკერი; 5. მანერგეიმი; 10. შტანგა; 11. ფარავანი; 12. ჯინჯილა; 13. კელნერი; 16. მონტესუმა; 17. „კიმიგაიო“; 19. „ანტიგონე“; 21. გესლი; 23. აჭარა.

თარაზულად: 6. დეგრადაცია; 7. ფრაქცია; 8. „წიქარა“; 9. კორონერი; 14. რეიტინგი; 15. დინოზავრი; 18. „ლეგია“; 20. ყიფიანი; 22. პიანინო; 24. „ხერესი“; 25. ბუცეფალი; 26. კარტიე.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ბარიტონი; 2. ნირვანა; 3. სმოგი; 4. ქუვეითი; 5. ვივიენი; 10. დინასტია; 11. „მუჯურეთული“; 12. აზბესტი; 15. კაბალიერო; 16. „ჰაიატი“; 17. ფერმერი; 20. დუომო.

თარაზულად: 6. კარდიოგრამა; 7. კუბრიკი; 8. ფრიმანი; 9. ვოლანი; 13. ბიტი; 14. კუვეზი; 18. ლელობურთი; 19. „პეპსი“; 21. გურია; 22. სინუსი; 23. აინშტაინი; 24. ტრომბონი.

ვენესუელაში საპრეზიდენტო არჩევნების შედეგებს აპროტესტებენ

ვენესუელას დედაქალაქ კარაკასში საპრეზიდენტო არჩევნების შედეგებს აპროტესტებენ. ოპოზიციური კანდიდატის ენრიკე კაპრილესის ათასობით მხარდამჭერმა აქცია გამართა. აქციის მონაწილეები ქვეყნის საარჩევნო კომისიისაგან შედეგების გადახედვას ითხოვდნენ.

საპროტესტო აქცია სამართალდამცავებთან შეტაკებაში გადაიზარდა. აქციის მონაწილე სტუდენტებმა პოლიციას ქვები დაუშინეს, სამართალდამცავებმა კი აქციის დასაშლელად ცრელმსადენი გაზი გამოიყენეს.

ვენესუელას საპრეზიდენტო არჩევნებში პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა ნიკოლა მადურომ ხმათა 51%-ით გაიმარჯვა. მიუხედავად ოპოზიციური კანდიდატის ბრალდებისა, საარჩევნო კომისია საკუთარი შედეგების გადახედვას არ გეგმავს.

რუსეთისა და კუბის პრეზიდენტებმა ვლადიმერ პუტინმა და რაულ კასტრომ მადუროს პირველმა მიულოცეს გამარჯვება. ვენესუელის ახლადარჩეული პრეზიდენტის ინაუგურაცია 19 აპრილს გაიმართება.

ბოლო მონაცემებით, მადუროს საპრეზიდენტო არჩევნებში ამომრჩეველთა 50,75% დაუჭირა მხარი. მისმა კონკურენტმა, ოპოზიციის კანდიდატმა ენრიკე კაპრილესმა 48,89% მოაგროვა. იგი დამარცხებას არ აღიარებს და ხმების გადათვლას მოითხოვს.

სირიის პრეზიდენტმა ქვეყანაში საყოველთაო ამნისტია გამოაცხადა

სირიის პრეზიდენტმა ბაშარ ასადმა ქვეყანაში საყოველთაო ამნისტია გამოაცხადა. აღნიშნული ამნისტია ყველა იმ დანაშაულზე ვრცელდება, რომელიც 2013 წლის 16 აპრილამდე იქნა ჩადენილი. აღნიშნულთან დაკავშირებით ინფორმაციას ადგილობრივ მედიაზე დაყრდნობით „ბიბისი“ ავრცელებს.

გავრცელებული ინფორმაციით, პატიმრებს რომლებსაც სასიკვდილო განაჩენი ჰქონდათ მისჯილი, სასჯელი სამუდამო პატიმრობითა და ძლიერი ფიზიკური შრომით შეეცვლებათ.

ცნობისათვის სირიის პრეზიდენტმა ბაშარ ასადმა მსგავსი გადაწყვეტილება გასულ წელსაც მიიღო. ქვეყანაში საყოველთაო ამნისტიით საპყრობილე 2012 წლის ოქტომბრამდე ჩადენილი დანაშაულისთვის მსჯავრდებულებმა დატოვეს.

მსოფლიოს ლიდერებმა დაუყოვნებლივ უნდა იმოქმედონ, თუ მათ სურთ რომ სირიაში არსებულმა კრიზისმა საშიშ ზღვარს არ მიაღწიოს. აღნიშნულის შესახებ გუშინ გაეროს დახმარების სააგენტოებმა გააკეთეს მოწოდება.

შეგახსენებთ, რომ გაეროს მონაცემებით ორი წლის წინ დაწყებულ კონფლიქტს 70 000 ადამიანი ემსხვერპლა, თუმცა ჩინეთი და რუსეთი დღემდე ეწინააღმდეგებიან სირიის პრეზიდენტ ბაშარ ალ-ასადის რეჟიმის წინააღმდეგ რეზოლუციის მიღებას. ევროპაში კი გერმანია დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მოწოდებას ეწინააღმდეგება, რომელიც ამბიხებულებისათვის იარაღის მიწოდებაზე ემბარგოს მოხსნას გულისხმობს.

„ჩვენ გაეროს სააგენტოების ლიდერები მოვუწოდებთ მსოფლიოს ლიდერებს გააცნობიერონ მათი პასუხისმგებლობა სირიელი ხალხისა და რეგიონის მომავლის მიმართ. ჩვენ მათ ვეუბნებით, რომ გამოიყენონ მათი გავლენა და მიოძიონ ამ კრიზისის დასრულების გზები, სანამ კიდევ ათი ათასობით ადამიანი სიცოცხლეს არ გამოესალმა და უსახლკაროდ დარჩა“, – საუბარია განცხადებაში, რომელიც დღეს სხავდასხვა გაზეთში გამოქვეყნდა.

ბოსტონში მომხდარ აფეთქებას 3 ადამიანი ემსხვერპლა

ბოსტონში მომხდარ აფეთქებას 3 ადამიანი ემხვერპლა, 140-ზე მეტი კი დაჭრილია. დაღუპულთა შორისაა 8 წლის ბავშვი. 17 დაჭრილი კრიტიკულ მდგომარეობაშია. ორი აფეთქება ბოსტონის 117-ე მარათონის მსვლელობისას ორშაბათს, 15 აპრილს მოხდა. აფეთქებები აშშ-ის აღმოსავლეთ სანაპიროს დროით 2 საათსა და 50 წუთზე, ერთმანეთისაგან 12 წამის ინტერვალით მოხდა, – იუწყება უცხოურ მედია.

„ეიბისი ნიუსის“ ინფორმაციით, აფეთქება მარათონის ლიდერების ფინიშის ხაზთან მისვლიდან 3 საათის შემდეგ მოხდა. ბევრი მონაწილე კი ჯერ კიდევ მისგან დაშორებით იმყოფებოდა. პირველი აფეთქება მაღაზია „მარათონ სპოტსში“ მოხდა, რასაც მეორეც მოჰყვა. დაშავებულთა შორის აღმოჩნდნენ მარათაონის მონაწილეები, პოლიციელები და ღონისძიების ორგანიზატორები.

„ფოქს ნიუსის“ ცნობით, თვითმხილველები იუწყებიან, რომ ბევრ დაჭრილს კიდურები მოსწყდა. შემთხვევის ადგილას პანიკა ატყდა. პოლიციამ უბედური შემთხვევის რაიონის ბლოკირება მოახდინა. ადგილზე მივიდნენ გამნაღმველები, რომლებმაც სავარაუდო ასაფეთქებელი მოწყობილობების ძებნა დაიწყეს. მალე ცნობილი გახდა, რომ მათ 2 აუფეთქებელი ყუმბარა იპოვეს. ფედერალურმა ბიურომ დაადასტურა, რომ საუბარია ტერაქტზე, რომელიც თვითნაკეთი ასაფეთქებელი მოწყობილობებით მოაწყვეს.

მომხდარზე პასუხისმგებლობა ჯერჯერობით არცერთ ტერორისტულ ორგანიზაციას არ აუღია.

ტერაქტის შემდეგ მალევე გავრცელდა ინფორმაცია ჯონ კენედის სახელობის ბიბლიოთეკაში მომხდარ აფეთქებაზე. ჯერჯერობით გაურკვეველია, უკავშირდება თუ არა ერთმანეთს ეს ორი აფეთქება.

აფეთქების შემდეგ ბოსტონის მარათონის ფინიშზე პოლიციამ ერთ-ერთი დაჭრილი – ტერაქტში მონაწილეობაში ეჭვმიტანილი საუდის არაბეთის წარმომადგენელი დაიკავა, – იუწყება გაზეთი „ნიუ-იორკ-პოსტი“. თუმცა ეს ინფორმაცია ჯერჯერობით ოფიციალურად არ არის დადასტურებული.

მედია-საშუალებებში ბოსტონის ტერაქტის ამსახველი შემზარავი კადრები გავრცელდა, სადაც ნათლად ჩანს კიდურებმოწყვეტილი ადამიანები და ასობით ადამიანის დაღვრილი სისხლი.

აღნიშნული ვიდეოს ყურება რეკომენდებული არ არის სუსტი ნერვების მქონე ადამიანებისა და მცირეწლოვანი ბავშვებისთვის.

აშშ-ის პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ, ბოსტონში მომხდარ აფეთქებასთან დაკავშირებით ოფიციალური განცხადება გააკეთა. ქვეყნის პირველმა პირმა ბოსტონელებს და დაღუპულთა ოჯახის წევრებს სამძიმარი გამოუცხადა.

„ჩვენთვის ჯერ-ჯერობით უცნობია, თუ ვინ დგას ამ აფეთქების უკან, თუმცა ეს უახლოეს დროში ცნობილი გახდება. პირობას გაძლევთ, რომ ყველა დამნაშავე კანონის სრული სიმკაცრით დაისჯება“, – განაცხადა ოფიციალურ მიმართვაში ბარაკ ობამამ.

პრეზიდენტის განცხადებით, ის ბოსტონის მერს და მასაჩუსეტსის გუბერნატორს უკვე დაუკავშირდა და ფედერალური ხელისუფლების სრულ მხარდაჭერას შეპირდა.

შეგახსენებთ, რომ ბოსტონში აფეთქება, ამერიკაში 11 სექტემბრის ტერაქტის შემდეგ პირველი შემთხვევაა.

„პოლიციამ ბოსტონის ტერაქტში პირველი ეჭვმიტანილი უკვე დაიკავა“, – აღნიშნულთან დაკავშირებით ინფორმაციას „ნიუ იორკ პოსტი“ ავრცელებს.

გავრცელებული ინფორმაციით, დაკავებული საუდის არაბეთის მოქალაქეა. აფეთქების შედეგად ეჭვმიტანილმა სხეულის მძიმე დაზიანება მიიღო და გაძლიერებული დაცვის ქვეშ საამედიცინო დაწესებულებაში იქნა გადაყვანილი.

ტერაქტის ადგილზე მომუშავე სპეცსამსახურებმა, რამდენიმე ასაფეთქებელი მოწყობილობა გააუვნებელყვეს. ასევე გავრცელდა ინფორმაცია, რომ აფეთქების შემდეგ ბოსტონის კენედის სახელობის ბიბლიოთეკაში ცეცხლი გაჩნდა.

აფეთქების შედეგად დაშავებულთა ინტერნეტ ბაზა შეიქმნა. „გუგლმა“ ყველა დაშავებულის მდგომარეობა ერთ ბაზაში მოათავსა, რომლითაც ნებისმიერ მსურველს შესაძლებლობა ეძლევა პიროვნების გვარითა და სახელით ტერაქტის შედეგად დაზარალებულთა მდგომარეობა მოიძიოს. ამ დროისთვის „გუგლის“ ბოსტონის დაშავებულთა ბაზაში 1 800-ზე მეტი ადამიანია რეგისტრირებული.

ისლამისტური მოძრაობა „სალფის“ ლიდერმა, მოჰამედ ალ-ჩალაბიმ ბოსტონში მომხდარი აფეთქების შესახებ მიმართვა გაავრცელა. იორდანიაში მოქმედი დაჯგუფების ლიდერი მომხდარი ტერაქტის გამო კმაყოფილებას გამოთქვამს.

„ამერიკელები ჩვენს ხალხს ხოცავენ, ამიტომ ისინიც ისე უნდა დაიტანჯონ, როგორც ერაყსა და ავღანეთში მუსლიმებს ტანჯავენ. მათი სისხლი ჩვენსაზე ძვირფასი არ არის“, – განაცხადა მოჰამედ ალ-ჩალაბიმ.

იორდანიაში მოქმედი ისლამისტური მოძრაობა „სალაფის“ ლიდერს „ალ ქაიდასთან“ თანამშრომლობისთვის 7 წლით თავისუფლების აღკვეთა ჰქონდა მისჯილი.

ფხენიანი სამხრეთ კორეაზე თავდასხმამდე მის გაფრთხილებას აღარ აპირებს

ოფიციალური ფხენიანის განცხადებით, სამხრეთ კორეაზე თავდასხმის შემთხვევაში ქვეყანას წინასწარ არ გააფრთხილებს. ინფორმაციას ადგილობრივ სააგენტოებზე დაყრდნობით „სი-ენ-ენი“ ავრცელებს.

„ჩვენს მომდევნო საპასუხო მოქმედებებს ყოველგვარი წინასწარი გაფრთხილებების გარეშე ჩავატარებთ. ფხენიანი სამხრეთ კორეას მოსალოდნელი საფრთხის შესახებ აღარ გააფრთხილებს“ ნათქვამია ფხენიანის ოფიციალური სააგენტოს მიერ გამოქვეყნებულ მიმართვაში.

ჩრდილოეთსა და სამხრეთ კორეას შორის მდგომარეობის განეიტრალების მიზნით, ამერიკის სახელმწიფო მდივანმა ჯონ კერიმ იაპონიაში ვიზიტისას ისაუბრა და ჩრდილოეთ კორეას კიდევ ერთხელ ბირთვული იარაღი გამოუყენებლობისკენ მოუწოდა. სამხრეთ კორეისა და ამერიკის ერთობლივ წვრთნებში მონაწილე ამერიკული სამხედრო ვერტფრენი კი, ჩრდილოეთ და სამხრეთ კორეას საზღვაზე ჩამოვარდა. წინასწარი ინფორმაციით ვერტმფრენის ბორტზე მყოფი 13 ადამიანიდან არავინ დაღუპულა. ჯერ-ჯერობით უცნობია, მიზეზი რამაც ვერტფრენის ვარდნა გამოიწვია.

შეგახსენებთ, რომ ფხენიანის მხრიდან ბირთვული იარაღის გამოყენების მუქარა, სწორედ ამერიკისა და სამხრეთ კორეის ერთობლივმა სამხედრო წვრთნებმა გამოიწვია.

ფხენიანის მუქარის შემდეგ სამხრეთ კორეამ სამხედრო მობილიზება გამოაცხადა, ასევე იაპონიამ სამხედრო გემზე სარაკეტო დანადგარები სრულ მზადყოფნაში მოიყვანა.

ამ ფონზე, აშშ-ს 7 მაისს ოფიციალური ვიზიტით, სამხრეთ კორეის პრეზიდენტი პაკ კინ ჰე ესტუმრება. სამხრეთ კორეის პრეზიდენტისთვის, ეს ამერიკაში პირველი ოფიციალური ვიზიტი იქნება, პაკ კინ ჰე ქვეყნის ლიდერი 2013 წლის 25 თებერვალს გახდა.

ბარაკ ობამა და პაკ კინ ჰე, შეხვედრაზე ეკონომიკურ და უსაფრთხოების საკითხებს განიხილავენ. ასევე ერთ-ერთი განსახილველი თემა ჩრდილოეთ კორეის მუქარა და მის მიერ ატომური ბომბის გამოყენების საფრთხე იქნება.

ჩრდილოეთ კორეა სამხრეთ კორეას, იაპონიასა და აშშ-ს ატომური იარაღის გამოყენებით რამდენჯერმე დაემუქრა.

მოამზადა გერა მამულაშვილმა

სამგლოვიარო განცხადებები

უახლოესი მეზობლები – იაშა, ლილი და თინიკო ლეჟავები თანაგრძნობას უცხადებენ თემურ და ნინო ჩუბინიძეებს დედისა და დედამთილის

ნანული ჩუბინიძის

გარდაცვალების გამო.

შვილები დავითი, თამარი, დები სვეტლანა, ნინა ფოცხიშვილები, სიძე მიშა ჩაჩუა, შვილიშვილები ლუკა ფოცხიშვილი, სანდრო და ნინო ჩაჩუები, დისშვილი სოფო ჯორბენაძე, მამიდაშვილები თეიმურაზ, თამარ კობიძეები ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ვოვა (ვალერიანე) ფოცხიშვილი

პანაშვიდი: 16, 17 აპრილს.
დაკრძალვა: 18 აპრილს, 15 საათზე.
მისამართი: კანდელაკის 25.

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

TV პროგრამა

ოთხშაბათი
17 აპრილი

06.30 „მოამბე“ (აფხაზურ“ ოსურ“ სომხურ“ აზერბაიჯანულ ენებზე) 07.30 „ჩვენი დილა“ (პ/ე) 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 01.00 „მოამბე“ 11.00 „სამოთხის ვაშლები“ (პ/ე) 12.45 „პირადი ექიმი“ — მარი მალაზონია (პ/ე) 13.30 „დღეს ორის ნახევარზე“ (პ/ე) 15.00 ტ/სერ „როსელა“ 17.00 დ/ფ „სახელგანთქმული თვითმფრინავები“18.00 „პეპე და მეგობრები“ 19.05 ტ/სერ „დავ-ქორწინდეთ“21.00 ტ/სერ „როსელა“ 22.00 „დიალოგი დავით პაიჭაძესთან“ 23.00 მხ/ფ „შეუპოვარი“ (ჰ. ფორდი) 01.20 დ/სერ „კავასაკელი კანდიდატის საარჩევნო კამპანია“

08.00 „მოამბე“ (აფხაზურ“ ოსურ“ სომხურ“ აზერბაიჯანულ“ რუსულ ენებზე) 09.00,18.00, 20.00 „ბრიფინგის დრო“ 11.00 საქართველოს პარლამენტის სხდომის ტრანსლაცია 19.00 ტ/სერ. „საიდუმლო გამოძიებანი“ 13 სერ. 00.00 „მოამბე“ (აფხაზურ“ ოსურ“ სომხურ“ აზერბაიჯანულ“ რუსულ ენებზე)

07.30 ს დილა 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00 ქრონიკა 09.10 ს დილა (გაგრძელება)10.00 სერ. „დაუვიწყარი“ 11 სერ.11.20 სერ. „მაფიის ქვრივი“13.00 სერ. „24 – 6“ 14.40 ღამის შოუ (გ/ჩ)16.00 სერ. „დამალული სიმართლე“17.50 სერ. „თილისმა“18.50 სერ. „აკრძალული სიყვარული“ 8 სერ.21.00 სერ. „მარტოსული“ 22.00 ფულთან თამაში23.00 მხ/ფ „ნიკო – აპლოდისმენტი“ 00.15 არტარეა

07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. „სიყვარული მშვენიერია“11.00 სერ. „იდუმალი ქალი“12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი12.30 „შუა დღე“17.00 სერ. „ვნების უფსკრული“18.45 სერ. „ცრემლების გვირგვინი“20.05 სერ „ერთგულების ძალა“22.00 ნანუკას შოუ.23.30 სერ. „გრიმი“ 01.00, 03.30 მხ/ფ. 03.00 კურიერიჰ დაიჯესტი კლიპები

06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 ჩვენ ვუკრავთ კლასიკას 06.25 მხ/ფ „პრემიერა“ 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 „განთიადი“ 10.00, 21.20 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05, 18.55, 21.55, 22.55, 00.25 ისტორიის დღიური 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.35, 21.25 ლექსით ქებათა ქება 10.40 ჩვენი ფონდი 11.00 ქრისტიანული ხელოვნება 11.30 მგზავრები წუთისოფლისა 12.05 ამინდი 12.10 დროის ჩანაწერები 13.20 ქრისტიანული სწავლება 13.40 კონცერტი - ვენის სიმფონიური ორკესტრი 14.50 მართლმადიდებლური კატეხიზმო 15.05 განთიადის სტუმარი 15.30 დოკ/ფ „ველური ბუნება“ 15.55 მხ/ფ „ბაბა ქექია“ I სერია 16.55 კვირიაკე 18.05 დიდ ხარ შენ,უფალო 18.30 დეკორატიული ფლორა 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 მხ/ფ „ძმა“ 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.30 ეპოქის სახელები 22.25 ქართული ალბომი 22.55 მართლმადიდებლური კატეხიზმო 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დოკ/ფ „წმინდა დიმიტრი ყიფიანი“ 00.35 განთიადის სტუმარი 01.00 მხ/ფ „გაქცევა შოუშენკოდან“ I ნან.

მაესტრო 7.00, 8.00, 9.00, 1.00, 6.30 ახალი ამბები 7.30 მულტფილმი 8.10, 9.15 მაღვიძარა 11.00 მაგთიფანი (სამშ. სერია) 11.30, 16.40 აბები (გამ.) 12.00 ახალი ამბები 12 საათზე 13.00, 4.30 თავისუფალი დრო 15.00 ახალი ამბები 3 საათზე 16.00 პრესკლუბი 17.00 გადაცემა „ჩვენ“ 18.00 ახალი ამბები 6 საათზე 18.15, 2.00 თოქ-შოუ „არგუმენტი“ 19.15 სერიალი 21.00 ახალი ამბები 9 საათზე 22.00, 1.30 „ყოველდღიური აბები“ 22.20, 0.30 მაგთიფანი 23.00, 3.00 თოქ-შოუ - „პოლიტმეტრი“

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

17 აპრილი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 1,6522	ევრო — 2,1599
ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,5325	100 რუსული რუბლი — 5,2777

ამინდის პროგნოზი 17 აპრილისთვის

23 აპრილიდან

„ახალ თაობასთან“ ერთად

მსოფლიოს ხალხთა ზღაპრები

ტომი 2

11 აპრილიდან!

„ახალ თაობასთან“ ერთად

„რჩეული ქართული ზღაპრები“

თითოეული ტომის ფასი გაზეთთან ერთად 3 ლარი

ჩეხური ზღაპრები

ასტროპროგნოზი 17 აპრილისთვის

ყველამ გაითვალისწინეთ!
წარმატებული დღეა

ვერძი – დიდი ხნის ოცნება აგისრულდებათ, ამ დღეს ელოდით. **კურო** – ფული გაქვთ, პრობლემა არ გაწუხებთ. **ტყუპები** – გაგიუმჯობესდებათ მატერიალური მდგომარეობა, გელით სხვა სიახლეც. **კირჩხიბი** – რომანტიკული შეხვედრა კარგ ხასიათზე დაგაყენებთ. **ლომი** – დიდი წარმატება გელით, გახარებული ხართ. **ქალწული** – ცოტა ფული დახარჯეთ, ცოტა შემოინახეთ. **სასწორი** – წინსვლა გელით, პერსპექტივა საინტერესოა. **ღრიანკალი** – არ აჩქარდეთ, საქმეს ბოლომდე ისედაც მიიყვანთ. **მშვილდოსანი** – ნურავის ენდობით, მხოლოდ ახლობლებს დაუჯერეთ. **თხის რქა** – ახალ ბიზნესს წამოიწყებთ, გაამართლებს კიდეც. **მერწყული** – რაღაც კითხვა გაქვთ, პასუხს თავად იპოვით. **თევზები** – დაისვენეთ და გაერთეთ, გადაღლილი ხართ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვოჰდი ა

შვეულად: 1. ქართველი რაგბისტი; 2. ცნობილი ჩეხი მეიოლინე მამაკაცი; 3. მთიანეთი ავღანეთში; 4. სამაგიეროს გადახდა; 5. პროდუქციის გასაღების ბაზრის შესწავლა და მისი მართვა; 10. შვეიცარიის ფეხბურთელთა გუნდი; 11. სპორტის სათამაშო სახეობა; 12. შექსპირის ტრაგედია; 13. მუსლიმანთა რელიგიური სამართალი; 16. ტვირთის ასაწევი მოწყობილობა; 17. დეკორაციული ფერწერა, რომელშიც გამოყენებულია მხოლოდ ორი ფერი, ღია და მუქი; 19. ნახევარკუნძული კასპიის ზღვაში; 21. იამაიკელი სპინტერი მამაკაცი მრავალგზის ოლიმპიური ჩემპიონი; 23. ეთერზეთოვანი მცენარე, სურნელოვანი ყვავილი.

თარაზულად: 6. სახელმწიფო ევროპაში; 7. მუსიკალური ინტერვალი ორ მეზობელ საფეხურს შორის; 8. წითელი ფერის ფრანგული სადესერტო ღვინო; 9. ატლანტიკის ოკეანესპირა, მსოფლიოში უდიდესი პლაჟი აშშ-ში; 14. ისტორიული ციხესიმაგრე თბილისში; 15. ამერიკელი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 18. ლუდის სასმელი ჭიქა; 20. ჰაერში დაგროვილი, შესქელებული წყლის ორთქლი; 22. მსხვილი საჯარისო შენაერთი; 24. ქართული კინოკომედია; 25. მეფის ან დედოფლის საყვარელი; 26. ესპანელი ჩოგბურთელი მამაკაცი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა



მოსკოვში რუსთაველის თეატრის გასტროლები გაუქმდა

ეკა ირემაშვილი

რუსთაველის თეატრის მოსკოვში დაგეგმილი გასტროლი გაუქმებულია. როგორც „ახალ თაობას“ რუსთაველის თეატრის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის წარმომადგენელმა მაკო ყანჩელაშვილმა განუცხადა, გასტროლის გაუქმების მიზეზი მხოლოდ და მხოლოდ ფინანსური საკითხების მოუგვარებლობაა.

– მოსკოვში დაგეგმილი გასტროლის გაუქმების მიზეზი ფინანსები გახდა. ამ ეტაპზე ეს გასტროლი არ განიხილება, რუსთაველის თეატრის დასი მხოლოდ უკრაინაში იმყოფებოდა გასტროლზე და საქართველოშიც უკვე დაბრუნდა, – განაცხადა მაკო ყანჩელაშვილმა.

რუსთაველის თეატრის დასი კიევში გამართული სპექტაკლების შემდეგ საქართველოში დაბრუნდა. უკრაინის დედაქალაქში ქართველმა მსახიობებმა საგასტროლო წარმოდგენები 12 აპრილიდან დაიწყეს. ფრანკოს სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში დასმა ორი სპექტაკლი წარმოადგინა. ორივე სპექტაკლი რობერტ სტურუას დადგმულია. 12 და 13 აპრილს ქართველმა მსახიობებმა უკრაინელი მაყურებლისთვის ითამაშეს თამაზ ჭილაძის ამავე სახელწოდების ნაწარმოების მიხედვით დადგმული სპექტაკლი „ნადირობის სეზონი“, რომელიც ტრაგიკომიკური ფანტასმაგორიაა ერთ მოქმედებად. სპექტაკლში გამოყენებულია ფრაგმენტები ბახის, ჩერჩილის, სტოტჰარტისა და რუბის მუსიკალური ნაწარმოებებიდან. წარმოდგენის მხატვარია თემურ ნინუა, კომპოზიტორი – გია ყანჩელი, ქორეოგრაფი – კოტე ფურცელაძე, რეჟისორის თანაშემწე – ციცინო გვაზავა. სპექტაკლში მონაწილეობენ მსახიობები გოგა ბარბაქაძე, სანდრო მიკუჩაძე-ღაღანიძე, ზუკა პაპუაშვილი, ია სუხიტაშვილი, ზაზა ბარათაშვილი, გელა თავბერიძე, კახა კუპატაძე, გაგი სვანიძე და ბექა სონღულაშვილი.

– ახალგაზრდა მსახიობი ქალი ია პრემიერისთვის ემზადება. პიესის ავტორი – ალე მისი საყვარელია. ქალი ძალიან ნერვიულობს, ეჩვენება, რომ მის ბინაში დასახლდა ბრმა პოლტერგეისტი. უაღრესად დაძაბული იას ცნობიერებაში არეულია სინამდვილე და ფანტაზია. თანდათან იშლება ზღვარი რეალურსა და ირეალურს შორის. დაბნეულ ქალს ვერ გაუგია, რა ხდება მის თავს. „აი თქვენ გღვიძავთ... მეც მღვიძავს, მაგრამ იქნებ მე ძინავს და თქვენ მესიზმრებით“, – მიმართავს იგი მაყურებელს. პიესის გმირი ფსიქიურად შერყეული მაწანწალაა. თავს მერლინ მონროს ქმრად წარმოგვიდგენს და თავისი ცხოვრების ისტორიას გვიყვება. მან შეთანხმება დადო ამერიკის პრეზიდენტთან. კაცმა თავის ცოლი მისცა, ხოლო პრეზიდენტს მშვიდობა უნდა დაემყარებინა მთელ მსოფლიოში, თუმცა... მშვიდობისათვის მებრძოლი გმირი დახვრიტეს. ექვსმა ჯარისკაცმა ესროლა, მაგრამ ოქმი რომ შეადგინეს, ხუთი ნატყვიარი აღმოჩნდა. ექვსივე დახვრიტეს. – ასეთი განმარტება აქვს სპექტაკლის შესახებ რუსთაველის თეატრს, რომელიც გასული წლის თეატრალური სეზონის ნამდვილი აღმოჩენა და ფავორიტი გახდა.

14 აპრილს უკრაინელი მაყურებლისთვის რუსთაველის თეატრის დასმა უკვე რობერტ სტურუას მეორე სპექტაკლი გაითამაშა. „ჯარისკაცი, სიყვარული, დაცვის ბიჭი და.. პრეზიდენტი“ რეჟისორმა ლაშა ბუღაძის პიესების მიხედვით დადგა, რომელიც ბოლო პერიოდში რუსთაველის თეატრში აკრძალული იყო და თეატრის რეპერტუარშიც აღარ ხვდებოდა. ორმოქმედებიანი კომედიის მხატვარი თემურ ნინუაა, ქორეოგრაფი – კოტე ფურცელაძე, რეჟისორის თანაშემწე – ციცინო გვაზავა. სპექტაკლში მონაწილეობენ მსახიობები ნინო არსენიშვილი, გოგა ბარბაქაძე, პაატა გულიაშვილი, ბესო ზანგური, ნინო თარხან-მოურავი, გაგი სვანიძე, ია სუხიტაშვილი, ნიკა ქაცარიძე, დარეჯან ხარშილაძე, ლევან ხურცია და ნანუკა ხუსკივაძე.

რუსთაველის თეატრის ცნობით, სპექტაკლში ლაშა ბუღაძის ორი პატარა პიესაა წარმოდგენილი. „ვალიკო და ანგელოზები“ მოგვითხრობს ჯარისკაცის ამბავს, რომელსაც ცოლად ჰყავდა ანგელოზი ფიელი. ხეიბარ მებრძოლს ანგელოზები ეწვევიან, მათ უნდათ უკან, ზეცაში დააბრუნონ ფიელი. ამავე დროს უფროსი ანგელოზი ვალიკოს ანეკდოტს უყვება მონადირესაე და დათვზე. მიხვდება კი ჯარისკაცი რისი თქმა სურს ანგელოზს? „დაცვის ბიჭი და პრეზიდენტი“ – ქვეყნის პირველ პირს ახალი მცველი ჰყავს. ბიჭი მზადაა თავი გაწიროს პრეზიდენტისთვის. მაგრამ მცველის ბრმა, ფანატიკური სიყვარული

გაგრძელება მე-10 გვერდზე

თორნიკე შენგელიას პირველი ორმაგი დუბლი

ნაციონალურ საკალათბურთო ასოციაციაში თორნიკე შენგელიამ პირველი ორმაგი დუბლი შეასრულა. ქართველმა ფორვარდმა, რომელიც განვითარების ლიგიდან დაბრუნების შემდეგ განაცხადში არ ყოფილა, გუშინ „ვაშინგტონ ვიზარდსის“ წინააღმდეგ 25 წუთი ითამაშა და ორმაგი დუბლით ბრუკლინელებს მეტოქის დამარცხებაში დაეხმარა. დაძაბული ბრძოლა საბოლოოდ ბრუკლინელების გამარჯვებით – 106:101 დასრულდა.

რეგულარული ჩემპიონატის დასრულებამდე 2 მატჩით ადრე ბრუკლინელებს დასავლეთ კონფერენციაში მე-4 ადგილი გარანტირებული ჰქონდათ და მწვრთნელებმა რამდენიმე წამყვანი მოთამაშე დაასვენეს, ახალბედებს კი თავის გამოჩენის შანსი მიეცათ, რაც მშვენივრად გამოიყენა თოკო შენგელიამ. ქართველმა ფორვარდმა ბრუკლინელთა სათადარიგოთაგან ყველაზე მეტი ითამაშა. შენგელიამ 13-დან 5 ორქულიანი და 3-დან 1 საჯარიმო ჩააგდო. ჯამში, თორნიკემ 11 ქულა, 11

გაგრძელება მე-9 გვერდზე